

ინტელუზიონური განათლება

სწავლის უნარის დარღვევის

მქონე

მოსწავლეთა სწავლება

---

2010

ავტორები

თინათინ ჭინჭარაული

მანა გაბრატინი

ანა ლალიძე

თათია პაჭკორია

პასუხისმგებელი რედაქტორი

თათია პაჭკორია

მხატვარ-დიზაინერი: ბუბა ოჩიაური

დამკაბადონებელი: ქეთევან გოგავა

რედაქტორი-სტილისტი: მანანა მიქელაძე



საქართველოს განათლების  
და მეცნიერების სამინისტრო  
Ministry of Education and  
Science of Georgia



ეროვნული სასწავლო გეგმებისა  
და შეფასების ცენტრი  
NATIONAL CURRICULUM AND  
ASSESSMENT CENTRE

**BRITISH  
COUNCIL**

ISBN 978-9941-0-2560-0



ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

მოცემული პუბლიკაციის გექსტის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ  
არაკომერციული მიზნებისათვის, წყაროს მითითებით.



# სწავლის გეგმა

## ■ შესავალი

- ვისთვის არის სახელმძღვანელო განკუთვნილი ..... 5
- რა თემებს მოიცავს სახელმძღვანელო ..... 5
- როგორ არის სახელმძღვანელო აგებული ..... 6

## ■ წინათქმა

### თავი I.

#### სწავლის უნარის დარღვევა

- 1.1 განვითარების ძირითადი კანონზომიერებები ..... 8✓
- 1.2 უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების განვითარება ..... 16✓
- 1.3 სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების ძირითადი მახასიათებლები ..... 34+
- 1.4 სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების სწავლებისა და სწავლის ძირითადი თავისებურებები ..... 43 ✓

### თავი II.

#### სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების

#### სწავლება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით

- 2.1 ეროვნული სასწავლო გეგმის არსი ..... 48
- 2.2 სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეთა განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში ..... 49
- 2.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების ტრადიციული მოდელი ..... 52
- 2.4 ეროვნული სასწავლო გეგმის მოქნილობა ..... 53
- 2.5 ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში დიფერენცირების შესაძლებლობები ..... 56

### **თავი III.**

**სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა  
სწავლების სტრატეგიები ეროვნული სასწავლო  
გეგმის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად**

<b>3.1</b>	ძირითადი პრინციპები სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში .....	59
<b>3.2</b>	სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა დიფერენცირებული სწავლება .....	62
<b>3.3</b>	სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას რეკომენდირებული სახელმძღვანელოები ....	65
<b>3.4</b>	სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიები .....	67
<b>3.5</b>	მოდულიზაციებისა და მხარდამჭერი ინსტრუმენტების გამოყენება სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში .....	91
<b>3.6</b>	კლასის მართვა და პოზიტიური ქცევის მხარდამჭერის სტრატეგია .....	101

### **თავი IV.**

	შემთხვევების განხილვა .....	123
■	გამოყენებული ლიტერატურა .....	183
■	საქართველოში მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სია .....	184
■	ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ვებ-გვერდების მოკლე სია .....	198

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. ვისთვის არის სახელმძღვანელო განკუთვნილი: მოცემული სახელმძღვანელო განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზირებული სკოლის ყველა მასწავლებლისთვის, ვინც ასწავლის სწავლის უნარის ამა თუ იმ ხარისხის დარღვევის მქონე მოსწავლეს. სახელმძღვანელო საინტერესო იქნება, ასევე, დღის მოვლის ცენტრებისა და ინსტიტუტებში მყოფი ბავშვების პედაგოგებისა და აღმზრდელებისთვის, ვინაიდან სახელმძღვანელოში განხილულია ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ერთ სივრცეში სწავლებას გულუსხმობს. ვიმედოვნებთ, რომ წიგნი საინტერესო იქნება ზოგადად ყველა მასწავლებლისთვის.
2. რა თემებს მოიცავს სახელმძღვანელო: სახელმძღვანელოში განხილულია:
  - სწავლის უნარის დარღვევის ტიპები (აქცენტი გაკეთდება გონებრივ ჩამორჩენილობაზე ხარისხების მიხედვით);
  - სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების სწავლისა და სწავლების თავისებურებები, მათი სწავლების სტრატეგიები (სახელმძღვანელოების, დამხმარე ვიზუალური მასალის, თვალსაჩინოების, კლასის ფიზიკური გარემოს გამოყენების თავისებურებები და წესები ამ მოსწავლეთა სწავლებისას);
  - ეროვნული სასწავლო გეგმის რაობა და მისი მოდიფიკაციის შესაძლებლობა მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებებისა და შესაძლებლობების, სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით;
  - სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის ხერხები, სხვადასხვა სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, როგორც ინკლუზიურ კლასში, ასევე სპეციალიზირებულ სკოლაში;
  - დიფერენციაციის საკითხები (დიფერენციაცია ნიშნავს თითოეული დავალებისა და სავარჯიშოს შესატყვისობას მოსწავლეთა საჭიროებებთან და შესაძლებლობებთან, ე.ი. დავალების მორგება გარკვეული ჯგუფის მოსწავლეთა შესაძლებლობებზე და სასწავლო საჭიროებებზე);
  - სწავლების, სწავლისა და ქცევის მართვის სტრატეგიები სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას. განსა-

კუთრებული ყურადღება ეთმობა პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთათვის სოციალურად მისაღები ქცევის სწავლებას.

3. როგორ არის სახელმძღვანელო აგებული: სახელმძღვანელო შედგება ოთხი თავისგან. ბოლოში მოყვება დანართი და იმ ვებ-გვერდების ჩამონათვალი, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ დამატებითი მასალა და თვალსაჩინოებები სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისათვის.

## ნ ი ნ ა თ ქ მ ა

ნიგნში განხილულია ის საკითხები, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების განათლებისა და მათი სოციალური ინტეგრაციის პროცესში. ნიგნის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების საკითხები, რაც მასწავლებლებისთვის ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და სასწავლო სტრატეგიების გაცნობასა და გააზრებას ემსახურება.

ნიგნი განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზირებული სკოლის ყველა მასწავლებლისთვის, ვისაც სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლე ყავს კლასში. სახელმძღვანელო საინტერესო იქნება, აგრეთვე, დღის მოვლის ცენტრების და ინსტიტუციებში მყოფი ბავშვების პედაგოგებისა და აღმზრდელებისთვის, ვინაიდან სახელმძღვანელოში განხილულია ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ერთ სივრცეში სწავლებას გულისხმობს.



## 1.1 ბანვითარების ძირითადი კანონზომიარებები

## ◆ ბავშვის გონებრივი განვითარება

ბავშვის განვითარება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელზეც მრავალი გენეტიკური და გარემო ფაქტორი ახდენს ზეგავლენას.

თეორიების უმრავლესობა განვითარებას განიხილავს ეტაპობრივ პროცესად, რომელიც წინასწარ განსაზღვრული საფეხურების მიხედვით მიმდინარეობს. ყოველ მომდევნო საფეხურზე გადასვლა დამოკიდებულია მისი წინმსწრების საფეხურისთვის შესაბამისი უნარების ათვისებაზე. მაგალითად: სანამ ბავშვი სირბილს ისწავლიდეს, იგი ჯერ ხოხვას, ხოლო შემდგომ სიარულს სწავლობს; მხოლოდ ამ ორი უნარის ათვისების შემდეგ ხდება შესაძლებელი სირბილის სწავლა.

კონკრეტული ჩვევისა და უნარების ათვისების საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ბავშვის განვითარების შესახებ. იმის მიხედვით, თუ როდის ჩნდება გარკვეული უნარები, მაგალითად, როდის იწყებს ბავშვი სიარულს, ლაპარაკს და. ა.შ. ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას ბავშვის განვითარების დონის შესახებ. ანუ ჩვენთვის მნიშვნელოვანია განვითარების ინდიკატორების ცოდნა და დრო (ასაკი), როდესაც მოსალოდნელია მოცემული ჩვევის ათვისება.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამა თუ იმ ჩვევის თუ უნარის ათვისება ყველა ბავშვთან ერთი და იგივე დროს არ ხდება. მაგალითად: ზოგიერთი ბავშვი წლის ასაკში უკვე წინადადებებით ლაპარაკობს, ზოგიერთი კი მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ამბობს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვის განვითარება ნორმას არ შეესაბამება. ბავშვთა პოპულაცია განვითარების ინდივიდუალური ვარიაციებით ხასიათდება, თუმცა თითოეული ინდიკატორისთვის (ჩვევისთვის, უნარისთვის) არსებობს დროითი საზღვრები, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია მოცემული უნარის განვითარება.

ბავშვის განვითარების დონის შესახებ მსჯელობისას, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია ბავშვის გარემოს გათვალისწინება: გარდა იმისა, რომ სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული ნორმები არსებობს, ბავშვები სხვადასხვა ოჯახებში იზრდებიან და მათი გარემო მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია განსაზღვრა, ბავშვის ქცევა

მისი პიროვნული, ინდივიდუური თავისებურებებით არის განპირობებული, თუ იგი რაიმე პრობლემის ასახვაა.

არსებობს ე.წ. უნივერსალური ცვლილებები, რომელიც ბავშვებში მათი კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. მაგალითად, ორი-სამი თვის ასაკში ყველა ბავშვი იწყებს გაღიმებას ნაცნობი სახეების დანახვისას; ერთი წლისთვის ამბობს პირველ სიტყვებს, ცამეტი თვისთვის იწყებს სიარულს.

უნივერსალური ცვლილებების გვერდით არსებობს განვითარების ინდივიდუალური განსხვავებები. ორი წლის ასაკში ზოგი ბავშვი იწყებს ტირილს, როცა დედა გადის ოთახიდან, ზოგი – აგრძელებს თამაშს. ერთნი ადვილად სწავლობენ მათემატიკას, მეორენი – ხატვას და ა.შ.

ეს ცვლილებები პროგრესირდება, იწვევს ორგანიზმის განვითარებას და ფუნქციონირების გამრავალფეროვნებას. მაგალითად, ბავშვის მეტყველების განვითარება იწყება ლულუნით, შემდეგ ერთ-ორ სიტყვიანი წინადადებების წარმოქმნით, ბოლოს კი სრულდება რთული წინადადების, აზრების გადმოცემით.

◆ განვითარების უწყვეტობა/ დისკრეტულობა

განვითარება მიმდინარეობს როგორც უწყვეტად, ასევე ნახტომისებურად (დისკრეტულად). განვიხილოთ უწყვეტი და დისკრეტული განვითარება მოტორული განვითარების მაგალითზე: ექვსი თვის ასაკიდან ბავშვი იწყებს ცოცვას. დროთა განმავლობაში ბავშვს უუმჯობესდება კოორდინაციის უნარი, შესაბამისად იგი ცოცავს უფრო სწრაფად და მოქნილად ვიდრე დასაწყისში ე.ი. ცოცვის უნარი ვითარდება უწყვეტად.

დაახლოებით 13 თვის ასაკში ბავშვები იწყებენ დამოუკიდებლად სიარულს. სიარული, რომელიც მოითხოვს აბსოლუტურად განსხვავებულ მოძრაობათა ერთობლიობას, ვიდრე მოითხოვდა ცოცვა, არ არის ცოცვის უნარის გაუმჯობესება თუ სრულყოფა. ის არის ქცევის თვისობრივად განსხვავებული ფორმა, ნახტომი განვითარებაში. შესაბამისად სიარულის ფუნქცია ნახტომისებურია (დისკრეტულია) თავისი განვითარებით.

დისკრეტულობა ხასიათდება განვითარების სტადიებით. ეს სტადიები თვისობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. გადადის რა ბავშვი ერთი სტადიიდან მეორეში, ეცვლება ქცევის და აზროვნების ბაზისური სტრუქტურა.

განვითარების უწყვეტობა/ დისკრეტულობა

სტადიები ერთმანეთს ცვლიან გარკვეული თანმიმდევრობით. მაგალითად, ხოხვის სტადია ყოველთვის წინ უსწრებს სიარულს. შესაძლოა ბავშვებმა ზემოხსენებული სტადიები გაიარონ სხვადასხვა ასაკში, მაგრამ – მკაცრად განსაზღვრული რიგით.

მნიშვნელოვანია გავამახვილოთ ყურადღება განვითარების სტადიების განსაზღვრულ თანმიმდევრობაზე, რამეთუ ეს ჯანმრთელი განვითარების აუცილებელი პირობაა. იმ შემთხვევაში თუ ბავშვი გამოტოვებს ცოცვის სტადიას და პირდაპირ სიარულს დაიწყებს, სასურველია ბავშვი თამაშის ფორმით მაინც წავახალისოთ იცოცოს ხალიჩაზე.

### ◆ განვითარების სფეროები:

1. **ფიზიკური** – ბავშვის სხეულის ზრდა და ცვლილება. იგულისხმება როგორც გარეგნული ცვლილებები, მაგალითად, ზომის და წონის დინამიკა, ასევე შინაგანი – ძვალ-კუნთოვანი სისტემის, ჯირკვლების, ტვინის და გრძნობათა ორგანოების ცვლილებები.
2. **კოგნიტური სფერო** – მოიცავს იმ ფსიქიკურ პროცესებს, რომლებიც აზროვნებას და ამოცანის გადაჭრას უკავშირდება. ასევე მოიცავს ცვლილებებს, რომლებიც აღქმაში, განსჯის უნარში, მეხსიერებაში, შემოქმედებით წარმოსახვაში და მეტყველებაში ხდება.
3. **ფსიქო-სოციალური სფერო** – მოიცავს პიროვნების და პიროვნებათშორისი ურთიერთობების განვითარებას. განვითარების ეს ორი სფერო ურთიერთკავშირშია და გულისხმობს, ერთის მხრივ მე-კონცეფციის, ემოციების და გრძნობების ცვლილებას, მეორეს მხრივ – სოციალური ჩვევების და ქცევის მოდელების ფორმირებას.

### ◆ გარემოს გავლენა ბავშვის განვითარებაზე

სიცოცხლის ბოლომდე გარემო ფაქტორები ზემოქმედებენ ადამიანის განვითარებაზე. არსებობს ასეთ ფაქტორთა რამდენიმე ტიპი:

1. ფაქტორები, რომელთა ზემოქმედებას დროებითი ხასიათი აქვს და შემოიფარგლებიან ერთი კონკრეტული სიტუაციით. მაგ. ბებიის გარდაცვალება 10 წლის ასაკში
2. ფაქტორები, რომლებიც მუდმივად ზემოქმედებენ ადამიანზე და ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს უწყვეტი (მშობლების ფაქტორი) ან პერიოდული ვიზიტები ბებია-ბაბუასთან.

ყველა ამ გარემო ფაქტორთა ზემოქმედება ადამიანის განვითარებაზე გაშუალებულია სწავლისა და სოციალიზაციის პროცესით, ანუ ბავშვს გარემოსთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილების საფუძველზე უყალიბდება გარკვეული წარმოდგენები, ჩვევები და ქცევის ნორმები.

**სწავლა** – პიროვნული გამოცდილების შექმნის და ვარჯიშის შედეგად ინდივიდის ცვლილებების პროცესი, რომელიც დაკავშირებულია განვითარებასთან. ანუ სწავლა არის ძირითადი პროცესი, რომლის საშუალებითაც გარემო იწვევს მდგრად ცვლილებას ადამიანის ქცევაში. დასწავლა ხორციელდება ცალკეული პიროვნული გამოცდილების მიღების და ვარჯიშის შედეგად.

◆ **სოციალიზაცია**

სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ბავშვი ხდება ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრი. იგი მოიცავს ყველა იმ განწყობის, აზრის, ნების, ღირებულებების, როლის და მოლოდინის შეთვისებას, რომელიც მოცემულ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს ახასიათებს. ეს პროცესი გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე და ეხმარება ადამიანს თავი იგრძნოს ჯგუფის წევრად. ბავშვი სოციალიზაციის პროცესში იმთავითვე იღებს გარკვეულ როლებს. გარკვეული როლის გათავისება კი დროს მოითხოვს. ბავშვის ზრდასთან ერთად, იზრდება სოციალური როლების რაოდენობაც.

სოციალიზაციის პროცესი ორმხრივია, რაც გულისხმობს, რომ არა მხოლოდ გარემო (მშობლები და სხვა უფროსები) ცვლის ბავშვის ქცევას, არამედ ბავშვიც ცვლის გარემოს.

◆ **განვითარების პროცესების ურთიერთქმედება**

ბიოლოგიური მომნიშვნებისა და სწავლის პროცესების ურთიერთქმედების პროდუქტი არის ქცევა. სწავლისა და მომნიშვნების ურთიერთქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ სიცოცხლის რომელ მონაკვეთში განიცდის ადამიანი გარემოს ზემოქმედებას. მომნიშვნების და გარემოს ზემოქმედების თანხვედრის გადამწყვეტი მნიშვნელობა გამოიხატება ტერმინით – **კრიტიკული პერიოდი**.

კრიტიკული პერიოდი არის დროის ის მონაკვეთი, რომელშიც (და მხოლოდ რომელშიც) გარკვეული გარემო ფაქტორის ორგანიზმზე ზე-

მოქმედება იწვევს შედეგს. ეს არის პერიოდი, როცა ორგანიზმი განსაკუთრებით მგრძობიარეა გარემოს ზემოქმედების მიმართ. სხვაგვარად მას სენსიტიურ პერიოდსაც უწოდებენ.

ასეთი კრიტიკული პერიოდები არსებობს ბავშვის პრენატალურ (მუცლად ყოფნის) განვითარებაშიც, როცა გარკვეულ გარემო ფაქტორებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ნაყოფის ან მისი ცალკეული ორგანოს განვითარებაზე. მაგალითად, ორი თვის ფეხმძიმე დედის დაავადება ნითურით იწვევს ნაყოფის განვითარების სერიოზულ გართულებებს (სიყრუე, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება ან მუცლის მოშლა) მაშინ, როცა 7 თვის ფეხმძიმობის შემთხვევაში, იგივე დაავადება ნაყოფზე არავითარ კვალს არ ტოვებს.

არსებობს სხვა ტიპის პერიოდიც, როცა ინდივიდი მეტ-ნაკლები ხარისხით მგრძობიარეა გარემო ზემოქმედებისადმი. ეს არის ოპტიმალური პერიოდი და იგი ჰგავს კრიტიკულ პერიოდს. ოპტიმალური პერიოდი არის დროის გარკვეული მონაკვეთი, რომელშიც მომნიშვნელოვანი გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, რომელიმე კონკრეტული ქცევა ვითარდება. თუმცა ოპტიმალურ პერიოდს არ ახასიათებს კრიტიკული პერიოდებისთვის ჩვეული რადიკალიზმი. ყოველი უნარის განვითარებისთვის არსებობს ოპტიმალური დრო. მიუხედავად ამისა, ამ უნარის დასწავლა შესაძლებელია ოპტიმალური პერიოდის დადგომამდე ან მის შემდეგ.

ცნება „**მზაობა**“ (მზადყოფნა) გამოხატავს განვითარების პროცესის იმ მომენტს, რომელშიც ბავშვი მომნიშვნელოვანია რომელიმე კონკრეტული ქცევის დასასწავლად. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოცემული ქცევა აუცილებლად მზაობის პერიოდში უნდა იქნას დასწავლილი.

### ◆ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

ბავშვის ნორმალურ განვითარებაზე შეიძლება მრავალმა გენეტიკურმა და გარემო ფაქტორმა მოახდინოს უარყოფითი გავლენა.

### გენეტიკური ფაქტორები

კვლევებმა დადგინა, რომ მრავალ ფსიქოლოგიურ მახასიათებელს, მათ შორის ინტელექტსა და ტემპერამენტს, ნაწილობრივ, გენეტიკური ფაქტორები განაპირობებენ. სპეციფიკური ფსიქოლოგიური პრობლემების აღმოცენებაში ამ ფაქტორებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

როლი ენიჭება. თუმცა, აუტიზმის, დაუნის სინდრომის, ბიპოლარული აფექტური დარღვევებისა და სხვადასხვა გენეტიკური მდგომარეობის გარდა, ბავშვის ფსიქოლოგიური პრობლემები მხოლოდ გენეტიკური ფაქტორებით როდია გამოწვეული.

### **პრენატალური ფაქტორები**

განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხანას წარმოადგენს მუცლად ყოფნის პერიოდი. ამ პერიოდში ნაყოფის ნორმალური განვითარება მრავალი ფაქტორის ზემოქმედებაზე დამოკიდებული: დედის ასაკი, ნაყოფისა და დედის სისხლის ჯგუფების შეუთავსებლობა, დედის არასრულფასოვანი კვება, თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა თუ სხვა ნამღებების ბოროტად გამოყენების ჩვევა, დაბინძურებული გარემო პირობები (ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და საკვები პროდუქტების დაბინძურება რადიოაქტიური ნივთიერებებით, ტყვიით, ვერცხლისწყლით და სხვ.), ინფექციური დაავადებები და სხვა მრავალი.

### **პერინატალური ფაქტორები**

მშობიარობის დროს ნაყოფის თავის ტვინის დაზიანება, მოგვიანებით ასაკში ინვესს შემეცნებითი ფუნქციების დარღვევებს. ცენტრალური ნერვული სისტემის ადრეული ნევროლოგიური დარღვევების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშობიარობის ისეთი გართულებები, როგორცაა მაშებით ან ვაკუუმექსტრაქტორით მშობიარობა, ნაყოფის ჯდომითი მდებარეობა ან მშობიარობისას ფეხების ნინამდებარე პოზიცია, ასფიქსია და ა.შ. დღენაკლული ბავშვები ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ განვითარებაზე.

### **ფიზიკური დარღვევები და დაავადებები:**

ფიზიკური დაზიანებებიდან ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქალა-ტვინის ტრავმა, რომელიც მოგვიანებით ინვესს კოგნიტური განვითარებისა და ქცევის პრობლემებს. ამ ფსიქოლოგიური პრობლემების ხარისხი დამოკიდებულია ტრავმის სიძლიერესა და ლოკალიზაციაზე.

ქრონიკული დაავადებები — ასთმა, დიაბეტი, გულსისხლძარღვთა პათოლოგიები და ამ დაავადებებით გამოწვეული მუდმივი სტრესი,

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ბავშვის ემოციური სფეროს განვითარებაზე, ისევე გარემოსთან მის დამოკიდებულებაზე.

ბევრი ბაქტერიული დაავადება გავლენას არ ახდენს ემბრიონზე ან ნაყოფზე, ვინაიდან ვერ აღწევენ პლაცენტაში. თუმცა არის რიგი ვირუსებისა, განსაკუთრებით წითურა, სიფილისი, ჰერპესი, პოლიომეღლიტი და გრიპის სხვადასხვა ვირუსი, რომლებიც აზიანებენ ნაყოფს. წითურას ზემოქმედება შედარებით კარგადაა შესწავლილი და აღმოჩნდა, რომ მან შეიძლება გამოიწვიოს სიბრმავე, სიყრუე, გულის დეფექტები ან დააზიანოს ტვინი. ყველაფერი ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ორსულობის რომელ პერიოდში იქნა ვირუსი გადატანილი.

### **დედის ფაქტორები:**

ნაყოფზე მოქმედი ფაქტორები თავისი ბუნებით შეიძლება იყოს, როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი (მაგალითად, დედის ორგანიზმის მეტაბოლიზმით გამოწვეული – თუ დედას დიაბეტი აქვს, სავარაუდოდ შეიძლება ჰქონდეს ინსულინის ნაკლებობა).

დედის ფაქტორთაგან ძირითადია სისხლის რეზუსი და ასაკი. ზოგჯერ დედის ორგანიზმისა და ნაყოფის სისხლი ერთმანეთს ვერ ეგუება. რაც შეეხება ასაკს, კვლევებით დადგინდა, რომ პათოლოგიები და ანომალიები ყველაზე ხშირად 35 წელს გადაცილებული ქალების მიერ პირველ ბავშვზე მშობიარობის შემთხვევაში აღინიშნება.

### **◆ ოჯახი, როგორც უსაფრთხოების გრძნობის საფუძველი**

ზემოთ აღწერილი ბავშვის განვითარებაზე მოქმედი გენეტიკური და ბიოლოგიური ფაქტორების შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ბავშვის შემდგომ განვითარებაზე ახდენს ის სოციალური გარემო, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს, იზრდება, სწავლობს და ვითარდება. სოციალური ფაქტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ბავშვებისათვის, რომელთაც განვითარების გარკვეული დარღვევები აღენიშნებათ და შეზღუდული შესაძლებლობით ხასიათდებიან.

ოჯახი უზრუნველყოფს ბავშვის ბაზისური უსაფრთხოების განცდას, რაც თავისთავად გარანტიანაა ბავშვის უსაფრთხო ურთიერთობისა გარე სამყაროსთან. გარდა ამისა, ოჯახის წევრები წარმოადგენენ ბავშვისთვის დამმედიების წყაროს ნერვულობის და განცდების დროს. ოჯახის ამ ფუნქციებს ადვილად დავინახავთ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაზე დაკვირვების დროს.

მაგალითად ბავშვი, რომელსაც ახალი ნასწავლი აქვს სიარული, დედას მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით შორდება და მაშინვე უკან ბრუნდება, იმაში დასარწმუნებლად, რომ დედა არსად წასულა. დედის გვერდით ყოფნა ანიჭებს მას უსაფრთხოების შეგრძნებას.

◆ **ოჯახური ურთიერთობები**

ოჯახური ურთიერთობები ბავშვს აძლევს საშუალებას შეიმუშაოს საკუთარი შეხედულებები, ნორმები, განწყობა და იდეები. ბავშვის მშობლებთან, და-ძმებთან საუბარი, პიროვნულ განვითარებაში მისთვის უმნიშვნელოვანეს ფაზას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვერბალური (სიტყვიერი) ურთიერთობები, არამედ ემოციების გაცვლა – მიმიკის, ჟესტების მეშვეობით. ბავშვის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგი პირობები აქვს ურთიერთობისათვის ოჯახში.

იმ ოჯახებში, სადაც მშობლების ქცევა არ არის თანმიმდევრული და ურთიერთგამომრიცხავია, ბავშვს უჭირს ქცევის ნორმების ჩამოყალიბება. ოჯახები, სადაც ერთმანეთის მიმართ უპატივცემულო და არაჯანსაღი დამოკიდებულებაა ვერ უზრუნველყოფენ ბავშვს სათანადო მზრუნველობითა და მხარდაჭერით/ ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლების ერთმანეთთან კონფლიქტური ურთიერთობის გამო, ბავშვზე გადამეტებულ მზრუნველობას იჩენენ, რაც თავისთავად ზღუდავს ბავშვის დამოუკიდებლობის ხარისხს და უარყოფით გავლენას ახდენს მის განვითარებაზე.

სწავლის სიძნელეების მქონე ბავშვებს აუცილებლად ჭირდებათ გარკვეული დამოუკიდებლობის ხარისხი. ისინი იზრდებიან და ზრდასთან ერთად უნდა ხდებოდეს მათი მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ოჯახებს ხშირად უჭირთ სწორი ბალანსის მოძებნა. ისინი დახმარების სურვილის მიზეზით, გადამეტებულ მზრუნველობას იჩენენ, რითაც ბავშვის დამოუკიდებლობის განვითარებას ზღუდავენ. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით თავს იჩენს მოზრდილობის ასაკში. მოზარდები ცდილობენ ოჯახთან არსებული ზოგიერთი კავშირის განყვეტას. ასეთი სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ აბსოლუტურად ბუნებრივია. აუცილებელია, რომ ბავშვები პატარაობიდანვე ასრულებდნენ გარკვეულ საპასუხისმგებლო ფუნქციებს ოჯახში და გრძნობდნენ, რომ ისინი საჭირონი არიან და რომ მათ გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლიათ ოჯახურ ცხოვრებაში.

ქართული ენის განვითარების მეთოდები



## 1.2 უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების განვითარება

უმაღლესი ფსიქიკური ფუნქცია (მოტორიკა, აღქმა, აზროვნება, მეტყველება, ყურადღება, მეხსიერება) არის რთულად ორგანიზებული ფუნქციური სისტემა, რომელიც, თავისი წარმოშობით, სოციალურია.

### ◆ მოტორიკა

მოტორიკა წარმოადგენს მოძრაობათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია კონკრეტული მიზნის შესრულებისკენ, გამოხატულია სხეულის მოძრაობებში და ხორციელდება მამოძრავებელი კუნთების საშუალებით. მოტორული აქტი შედგება, როგორც ერთი კონკრეტული მოძრაობისგან, ასევე მოძრაობათა სერიისგან. იგი დროში მიმდინარე და დინამიური პროცესია, რასაც წარმართავს ტვინის მამოძრავებელი უბნები და შესაბამისი მოტონეირონები. იმისათვის, რომ მოძრაობა განხორციელდეს, აუცილებელია არა მხოლოდ ეფერენტული (დაღმავალი) იმპულსების გაგზავნა ტვინიდან კუნთისაკენ, არამედ ისიც, რომ ტვინს განუწყვეტილვ უქონდეს ინფორმაცია მამოძრავებელი ორგანოს სივრცეში მდებარეობის შესახებ, რათა აკონტროლოს მოტორული აქტი. განასხვავებენ მსხვილ და ნატიფ მოტორიკას.

მსხვილი მოტორიკა არის დიდი ამპლიტუდის მოძრაობები, რომელთაც ახორციელებს დიდი ზომის კუნთები, ანუ ეს არის უნარი გამოიყენო მთლიანი სხეულის ან დიდი კუნთების შესაძლებლობები. მაგალითად, სიარული, სირბილი, ხტუნვა მსხვილი მოტორული აქტებია.



ნატიფი მოტორიკა არის მცირე ამპლიტუდის მოძრაობები, რომელთა შესრულებაში მონაწილეობენ თითები, ანუ ეს არის ადამიანის უნარი, გამოიყენოს ხელის და განსაკუთრებით, თითების შესაძლებლობები (წერა, ჭრა, მოზაიკის აწყობა და ა.შ.). სხვადასხვა მოტორული უნარების განვითარება მოითხოვს გარკვეულ ეტაპების განვითარებას. მაგალითად, ხელების გამოყენება მოიცავს ჩვილის ტაცებითი რეფლექსიდან ნებისმიერი ტაცების აქტში გადასვლას, ეს უკანასკნელი კი — შემდეგ ხელის პინციტისებური გამოყენების უნარში გადაიზრდება. სამი წლის ბოლოსთვის მანუალური (ხელის) სქემები ერთიანდება სხვა მოტორულ, პერცეპტულ და ვერბალურ სქემებში. მაგალითად, ბავშვს შეუძლია ილაპარაკოს და ამავდროულად გამოიყენოს ჩანგალი.

მოტორული უნარების საბოლოო სრულყოფა ხდება ათი-თორმეტი წლისათვის.

**ნატიფი მოტორული უნარების მნიშვნელობა**

ნატიფ მოტორიკას გადამწყვეტი როლი აქვს გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. ხელები არის ის იარაღი, რომელსაც ჩვენ განუწყვეტლად ვიყენებთ. ეს უნარი განვითარებას იწყებს ადრეული ბავშვობიდან და დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომლებიც მოიცავენ მზაობას და სენსორულ გამოცდილებას.

ბავშვს, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო უჭირს ხელების გამოყენება, ნაკლები შესაძლებლობა აქვს გარემოდან მიიღოს სენსორული ინფორმაცია. იმისთვის, რომ ბავშვს აქტიური ურთიერთობა ჰქონდეს გარემოსთან და გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორცაა ჩაცმა, დაბანა, მეგობრებთან ან სათამაშოებით თამაში, მაკრატლის და ფანქრის გამოყენება, ბევრ სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია მას გარემოდან ჰქონდეს სენსორული ინფორმაცია. შვიდ წლამდე ბავშვის ტვინი პირველ რიგში წარმოადგენს სენსორული ინფორმაციის გადამუშავების ორგანოს. დასაწყისში ბავშვები სწავლობენ საკუთარ სხეულს შეხების, მოძრაობის, ყნოსვის და გემოს შეგრძნებების საშუალებით, შემდეგ შეიმეცნებენ გარემოს და მასში არსებულ ობიექტებს მხედველობის და სმენის საშუალებით.

მოძრაობის პროცესში თავის ტვინი განუწყვეტლივ იღებს ინფორმაციას სხეულის და მისი ნაწილების სივრცეში მდებარეობის და გადაადგილების შესახებ. ეს საშუალებას აძლევს ბავშვს აკონტროლოს და დახ-



ვენოს მოძრაობა. ანალოგიურად, შეხება და ტაქტილური შეგრძნებები ეხმარება ბავშვს შეიცნოს საკუთარი სხეული და აკონტროლოს მოტორული აქტი, მაგალითად, მოზომოს ძალა და სისწრაფე ფანქრის ან მაკრატლის გამოყენებისას თუ ნებისმიერი სხვა სახის აქტივობისას.

მოძრაობათა ორგანიზაციასა და დახვეწაში დიდი როლი აქვს მხედველობას. მხედველობის ასეთი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში, როცა მოძრაობები (ამათგან ისინიც, რომლებიც შემდეგ ავტომატიზირებულია, მაგალითად, სიარული), აქტიურად კონტროლდება მხედველობის მიერ.

ძალიან მნიშვნელოვანია მხედველობის როლი თვალის და ხელის კოორდინაციის ჩამოყალიბებაში, რის გარეშეც შეუძლებელია წერა და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მოტორული აქტების განხორციელება.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სხეულის სხვადასხვა ნაწილების მოძრაობათა რეციპროკულობის ანუ შეთანხმებულობის, ერთდროულობის ჩამოყალიბება. ასეთი შეთანხმებულობის გარეშე შეუძლებელია მიზანმიმართული მოტორული აქტის განხორციელება. მოძრაობათა შეთანხმებულობის განვითარებაში დიდი როლი აკისრია ხოხვის სტადიას. ხოხვის პროცესში ბავშვი სწავლობს როგორ შეათანხმოს სხეულის ნაწილების მოძრაობები ერთმანეთთან, რაც საფუძვლად უდევს შემდეგში რეციპროკული მოტორული აქტების არსებობას.

### **მოტორული უნარების განვითარების პრინციპები:**

1. ბავშვები მოძრაობათა კონტროლს იწყებენ თავიდან და გადადიან ფეხის თითებზე. თავის და მხრების კონტროლის უნარი ონტოგენეტურად წინ უსწრებს სიარულის ან ნატიფი მოტორიკის ჩამოყალიბებას.
2. დასაწყისში ბავშვები სწავლობენ სხეულთან ახლო მყოფი სახსრების (პროქსიმალური), მოგვიანებით – შორს მყოფი სახსრების (დისტალური) კონტროლს. ე.ი. ბავშვი ჯერ ახერხებს მხრების გაკონტროლებას, მოგვიანებით კი იდაყვების, მაჯების და თითების.
3. პირველი მოძრაობა არის მთლიან სხეულბრივი მოძრაობა. მოგვიანებით ბავშვები სწავლობენ სხეულის კონკრეტული ნაწილის მოძრაობათა მართვას.

დასაწყისში ბავშვის მოძრაობები ნაკლებ დიფერენცირებული და დიფუზიურია. ოთხი თვის ასაკში მისი მიღწევა მოტორულ შესაძლებლო-

ბებში არის მუცლიდან ზურგზე გადატრიალება (ან პირიქით) და რკალი-  
ვით მოხრა. ასევე ოთხი თვის ბავშვები აღმოაჩენენ, რომ აქვთ ხელები  
და ფეხები.

ხუთი — რვა თვის ასაკში ხორციელდება ვიზუალურად მიმართუ-  
ლი ტაცება, ანუ ბავშვებს შეუძლიათ მოიპოვონ საგანი მხედველობით  
გაშუალებული მოძრაობით და გადაიტანონ იგი ხელიდან ხელში. ასევე  
რვა თვის ბავშვს შეუძლია დამოუკიდებლად წამოჯდომა და ჯდომა;  
გადაადგილება ცოცვით.

ცხრა თვის ასაკში ბავშვი იწყებს ძალების მოსინჯვას პირველი ნაბი-  
ჯების გადასადგმელად. ერთი წლის ბავშვი აქტიურად მანიპულირებს  
საგნებით, იწყებს თითების პინცეტისებურად გამოყენებას. ბევრი მათ-  
განი იწყებს კოვზით დამოუკიდებლად ჭამას.

თვრამეტი თვის ასაკში თითქმის ყველა ბავშვი დადის დამოუკიდე-  
ბლად. წლინახევრის ბავშვებს შეუძლიათ ააგონ კოშკი ორი-ოთხი კუბის-  
აგან. მოცემულ ასაკში აქტიურად ვითარდება მიბაძვის უნარი.

ორიდან ექვს წლამდე უფრო სწრაფად და ინტენსიურად ვითარდება  
მსხვილი მოტორიკა. ნატიფი მოტორიკა ვითარდება წელა.

სამი წლის ბავშვებს არამარტო სიარული და სირბილი შეუძლიათ,  
არამედ, სამთვლიანი ველოსიპედის ტარება და კოშკის აგება ექვსი-რვა  
კუბისაგან.

◆ ალქმა და შეგრძნება

ინფორმაციას გარე სამყაროს შესახებ ვიღებთ შეგრძნებების საშუ-  
ალებით. ჩვენ შევიგრძნობთ მხედველობით, სმენით, ტაქტილური შეგრ-  
ძნებით, ყნოსვით, გემოთი და პროპრიოცეპტული გამლიზიანებლებით.  
თუმცა ეს შეგრძნებები ჩვენში შემოდიან არა როგორც ცალკეული, ერთ-  
მანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული გამლიზიანებლები, არამედ  
ერთიანდებიან ალქმაში.

ალქმა (პერცეფცია) წარმოადგენს საგანთა თვალსაჩინო განცდას. ის  
სენსორული ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და გააზრების აქტიური  
პროცესია. მხედველობითი ალქმა არ დაიყვანება უბრალოდ ხედვის უნ-  
არზე, ის მოიცავს იმის გააზრებასაც, რასაც ვხედავთ.

ალქმისგან განსხვავებით — შეგრძნება არის გრძნობათა ორგანოე-  
ბის მიერ სტიმულის მარტივი რეგისტრაციის პროცესი. ჩვენ შეიძლება  
მთელი დღის განმავლობაში შევიგრძნობდეთ ტემპერატურას ან გუგუნს.

თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ, რომ ოთახში ცივა ან შემომავალი გუგუნი არის ქუჩაში მოძრავი მანქანების ხმაური, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ აქტიურად გადავამუშავებთ სენსორულ სიგნალს და ვინცებთ მის აღქმას. აღქმა არის აზროვნების და შემეცნების შემადგენელი ნაწილი.

### მხედველობითი აღქმა

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები იბადებიან მხედველობით აღქმის უნარის გარკვეული შეზღუდვებით, ისინი დაბადების პირველივე დღეებიდან რეაგირებენ შუქზე და შეუძლიათ თვალი გააყოლონ მოძრავ ობიექტს, თუმცა მათი თვალების მოძრაობა დასაწყისში მოკლეა, ნახტომისებურია და შემოიფარგლება მოკლე მანძილით. ასევე, ახალშობილებს ზოგჯერ არა აქვთ კონვერგენცია, ანუ მათ არ შეუძლიათ ორივე გუგის ერთ ობიექტზე ფოკუსირება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სივრცის აღქმას. კონვერგენციის უნარი ყალიბდება მეორე თვის ბოლოს.

4-6 თვემდე ჩვილის მხედველობითი უნარები სწრაფად ვითარდება. ბავშვები სამყაროს ვიზუალურ შემეცნებას იწყებენ უფრო ადრე, ვიდრე გაიცილიან ან საგნებით მანიპულირებას ისწავლიან.

ფერების გარჩევის უნარი, პირველი წლის მანძილზე, უწყვეტად ვითარდება. პირველი ორი თვის მანძილზე ბავშვებს შავ-თეთრი გამოსახულებები ურჩევნიათ ფერადს. 4 თვისთვის ისინი არჩევენ ფერების უმეტესობას, ხოლო 6 თვისთვის მათი ფერთა გარჩევის უნარი ისეთივეა, როგორც ზრდასრულებში.

ჩვილის აღქმა ძალიან თავისებურია. თავიდან ისინი აფიქსირებენ სახის კონტურს, მეორე თვის ბოლოსთვის იწყებენ მზერის ფიქსირებას თვალებზე, მეხუთე თვის ბოლოსთვის ისინი უყურებენ ტუჩების მოძრაობას, მეშვიდე თვისთვის ბავშვები რეაგირებენ მთლიან სახეზე და სახის ექსპრესიაზე; მეექვსე თვის ბოლოსთვის უმჯობესდება თვალის ფიქსაციის უნარი. ამ ასაკის ბავშვებს შეუძლიათ მოძრავ ობიექტებს ყურადღებით უყურონ და ხანგრძლივი დროის მანძილზე ადევნონ თვალყურით.

ახალშობილი ფინჯანს და ლამბაქს (თუ ფინჯანი დგას ლამბაქზე) აღიქვამს ერთ ობიექტად, თუმცა მას შეუძლია გამოყოს ერთმანეთისგან ფიგურა და ფონი. 3-4 თვის ბავშვმა იცის, რომ ბოთლი, რა ფონზეც არ უნდა იდგეს — მაგიდაზე თუ ოთახის კუთხეში — ბოთლია და არა რომელიმე სხვა საგანი. სიღრმის აღქმა შესაძლებელია 6 კვირის ასაკიდან და ეს უნარი ძალიან სწრაფად ვითარდება.

◆ სმენა

მიუხედავად ახალშობილის ნერვული სისტემის მოუმწიფებლობისა, ისინი სმენით გამლიზიანებლებს შეიგრძნობენ და მათზე რეაგირებენ. ძალიან მალე ბავშვი იწყებს სმენითი გამლიზიანებლის გარჩევას და მისდამი ემოციური დამოკიდებულების გამოვლენას (ადამიანის ხმა ურჩენია ხმაურს). ამასთან, ბავშვი ძალიან მალე იწყებს დედის ხმის გამორჩევას ნებისმიერი სხვა ხმისგან, რაც უკვე სმენითი ალქმის უნარის დახვეწას ადასტურებს. ჩვილები ასევე ძალიან კარგად ასხვავებენ ერთმანეთისგან ფონემებს და ავლენენ განსაკუთრებულ მგრძობელობას ადამიანური ხმების მიმართ.

◆ გემო, ყნოსვა და შეხება

სამივე ეს უნარი ბავშვს დაბადებიდანვე აქვს განვითარებული. უკვე ძალიან პატარები განასხვავებენ სხვადასხვა გემოს და სუნს და აკეთებენ არჩევანს, რაც მოწმობს, რომ მათ გემოს და სუნის არა მხოლოდ შეგრძნება, არამედ ალქმაც შეუძლიათ. რაც შეეხება ტაქტილურ შეგრძნებებს, არსებობს აზრი, რომ ის ბავშვებს ჯერ კიდევ დაბადებამდე აქვთ განვითარებული.



განვითარების პროცესისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვმა შესძლოს სენსორული იმპულსების ინტეგრაცია, ანუ ერთმანეთისგან განასხვავოს სენსორული იმპულსები და თითოეული მათგანი შესაბამის კატეგორიას მიაკუთვნოს. ეს უნარი, როგორც აღმოჩნდა, ბავშვს აქვს ძალიან ადრეული ასაკიდან და ინტენსიურად ვითარდება პირველი ექვსი თვის მანძილზე.

ასე რომ, ალქმა და შეგრძნება არის უმნიშვნელოვანესი უნარი, რათა ბავშვმა შეიმეცნოს სამყარო და



საკუთარი თავი, რათა განვითარდეს მისი მოტორული, კოგნიტიური, ემოციური და სოციალური ფუნქციები.

## ◆ ნებისყოფა

ნებისყოფა არის ნებელობითი აქტი, რომელიც კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებით სიტუაციის წინასწარ გააზრებას, დაგეგმვას, გადაწყვეტილების მიღებას ეფუძნება და იმპულსური ქცევისაგან განსხვავებით, შორეულ მიზანს ემსახურება. ანუ ნებისყოფა არ ეფუძნება უშუალო მოთხოვნილებას და ხშირად გულისხმობს იმპულსებისა და მოთხოვნილებებისაგან თავის შეკავებას. ნებისყოფა სპეციფიკურია ადამიანისათვის და იგი დროთა განმავლობაში ყალიბდება. ბავშვები არ იბადებიან ნებელობითი აქტივობის უნარით. წლამდე ასაკის ბავშვის ქცევა იმპულსურია. ნებისყოფის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მეტყველების განვითარება და სიტყვიერი ინსტრუქციების მიცემის თუ მიღების პროცესი. ბავშვები იღებენ დავალებებს, რომელიც მათ უშუალო მოთხოვნილებებს არ უკავშირდება და სიამოვნებით ასრულებენ მას შექების ან მოფერების მოლოდინში. მოგვიანებით, ორიდან ოთხ წლამდე ასაკში დგება ბავშვის ჯიუტობის ხანა, როცა ბავშვის თვითცნობიერება ყალიბდება. პარალელურად ბავშვი ეცნობა „ნორმებს“ და უჩნდება მათი დარღვევის სურვილი. მოგვიანებით ბავშვის სიჯიუტე ცხრება და ნებისყოფა ვითარდება. ამ უნარის ფორმირებას განსაკუთრებით ხელს უწყობს წლამდე, სოციალური თამაშები, მოგვიანებით კი, სკოლაში შესვლა და სასკოლო უნარების დაუფლება.

## ◆ მეტყველება

მეტყველება კომუნიკაციის, ინფორმაციის გადმოცემის თუ კატეგორიზაციის უნიკალური საშუალებაა და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებაში.

იმისათვის, რომ ამ უნიკალურ ფენომენზე წარმოდგენა შეგვექმნას, საჭიროა გავეცნოთ მის ასპექტებს.

განიხილავენ სამ ასპექტს:

1. ენის შინაარსი — რომელიც უკავშირდება შეტყობინების (ზეპირი, წერილობითი) მნიშვნელობას.
2. ფორმა — ესაა შინაარსის გადმოცემისათვის საჭირო სპეციფიკური სიმბოლოები: ბგერები, სიტყვები და გრამატიკა.
3. გამოყენება — გულისხმობს სოციალურ გაცვლა-გამოცვლას ორ ან მეტ ადამიანს შორის.

ჩვენ მეტყველებას ვიყენებთ სხვადასხვა მიზნით. მისი საშუალებით ვიკმაყოფილებთ მოთხოვნილებებს, ვმართავთ სხვა ადამიანებს, ვინარჩუნებთ სოციალურ კონტაქტებს, გამოვხატავთ ჩვენს გრძნობებს, ვოცნებობთ, ვსვამთ შეკითხვებს, ვხსნით და ა.შ. განვითარების პროცესში ბავშვი სიტყვებთან და მეტყველების ფორმასთან ერთად იმპლიციტურად ითვისებს ენის ზემოხეხებულ ფუნქციებსაც.

ბავშვის მიერ მეტყველების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ორ კომპონენტს:

1. მიბაძვა — მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენის შეთვისების პროცესში. პირველ სიტყვებს ბავშვი სწავლობს კარგად განვითარებული სმენის და მიბაძვის უნარის წყალობით — ესმის სიტყვები და ცდილობს გაიმეოროს.
2. განმტკიცება — ისევე, როგორც ნებისმიერი ქცევის, მეტყველების სწავლის პროცესშიც, განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვები ამბობენ პირველ სიტყვებს და პასუხად იღებენ მშობელთა აღფრთოვანებას, მოფერებას ან უბრალოდ აღწევენ მიზანს. მაგალითად, თუ ბავშვი იტყვის: „ორცხობილა“ — მიიღებს ორცხობილას. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეტყველების დიდი ნაწილის შეთვისება ხდება ყოველგვარი ასეთი განმტკიცების გარეშე და ბავშვები სწავლობენ ისეთ სიტყვებს, წინადადებებსა თუ ფრაზებს, რომელთა წარმოთქმისას არ ჯილდოვდებიან.

მეტყველებითი სტრუქტურები, ზოგი ავტორის აზრით, თანდაყოლილია. ასეთი მეტყველებითი სტრუქტურები უზრუნველყოფს ენის ურთულესი ასპექტების სწრაფად და ადვილად შეთვისებას. ამ მოსაზრების თანახმად, როცა ბავშვებს ესმით სხვების მეტყველება, არაცნობიერად იმუშავებენ გრამატიკულ წესებს და ამ წესების მიხედვით აგებენ საკუთარ მეტყველებას.



მეტყველების განვითარება პირდაპირ კავშირშია შემეცნებითი პროცესების განვითარებასთან. როგორც ადრე აღვნიშნეთ, თავდაპირველად ბავშვი აღიქვამს მეტყველების ფონეტიკურ მხარეს, შემდეგ 1 – 1.5 წლის ასაკისათვის ხდება ფონემათა ერთობლიობის – სიტყვების დაკავშირება გარკვეულ ობიექტებთან. როცა ბავშვი აცნობიერებს ობიექტების მუდმივობას და მოსწონს ობიექტების დამალვა და პოვნა, ეს პროცესები აისახება მის მეტყველებაში. (მაგ. ის იყენებს სიტყვებს – „აღარ არის“, „სად არის“, „იპოვე“ და ა.შ.)

ორი წლის ბოლოსთვის მნიშვნელოვნად იზრდება ბავშვის ლექსიკური მარაგი და ის ძირითადად შედგება საგანთა დასახელებებისგან. ეს პროცესი უკავშირდება კატეგორიზაციის უნარის პროგრესს.

ენის გრამატიკული ასპექტი ყალიბდება თანდათანობით და სკოლამდელი ასაკის ბოლოს, უახლოვდება ზრდასრული ადამიანის მეტყველების გრამატიკულ სახეს.

### მეტყველების განვითარება

მეტყველების განვითარება გულისხმობს, რომ ბავშვი დასაწყისში აღიქვამს მეტყველების ფონემატურ მხარეს – ბგერათა ერთობლიობას, შემდეგ კი მასში დებს გარკვეულ მნიშვნელობას (სემანტიკა).

სკოლამდელ ასაკში მეტყველება ვითარდება ორი მიმართულებით – ჯერ ვითარდება ენის, სხვისი მეტყველების გაგების უნარი – იმპრესიული მეტყველება. ამას კი მოსდევს სიტყვების, მოგვიანებით, წინადადებების წარმოთქმის უნარის ფორმირება – ექსპრესიული (აქტიური) მეტყველება.

მეტყველების გაგების უნარი ყოველთვის წინ უსწრებს წარმოთქმის უნარს, მაგალითად, რვა თვის ბავშვს ესმის „დედა“ და „მამა“ – სიტყვების მნიშვნელობა, ხოლო მისი წარმოთქმა შეუძლია 14 თვის ასაკში.

ასევე თოთხმეტი თვის ბავშვს ესმის საკმაოდ რთული ინსტრუქცია, მაგალითად, შედი ოთახში და მოიტანე ორცხობილა, მაშინ როცა ის ვერ ახერხებს ორ სიტყვიანი წინადადების შედგენასაც კი.

ბავშვის ენის განვითარება მოიცავს 3 პერიოდს:

#### 1. მეტყველებამდელი პერიოდი.

ამასაკში ბავშვი გამოსცემს ხმებს, ტირის, დაახლოებით ექვსი კვირის ასაკში იწყებს ლულუნს, ხოლო ექვსი თვის ასაკში – ტიტინს. ტიტინის პროცესში ბავშვები ვარჯიშობენ, სწავლობენ ბგერების გამოთქმას.

**2. ერთ სიტყვიანი წინადადებების პერიოდი**

ბავშვების უმრავლესობა პირველ სიტყვებს ამბობს ერთი წლის ბოლოს, 2 წლისათვის ეს პროცესი გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს.

**3. ორ სიტყვიანი წინადადებების პერიოდი**

ორი წლის ბოლოს ბავშვი აგებს ორ სიტყვიან წინადადებას, რითაც გამოხატავს თავის სურვილს ან აღწერს მოვლენებს. უნდა ითქვას, რომ ამ წინადადებებში არ არის დაცული ენის გრამატიკული სტრუქტურა; ბავშვის მეტყველებას აქვს ტელეგრაფული ხასიათი, რაც გულისხმობს, რომ ბავშვები წინადადებებში იყენებენ ყველაზე ინფორმაციულ სიტყვებს – ზმნებს, არსებით სახელებს და ზედსართავ სახელებს.

ნიშანდობლივია, რომ მეტყველების პროცესში ბავშვები აქტიურად რთავენ ჟესტიკულაციას.

ბავშვის მეტყველების განვითარება სკოლამდელ პერიოდში სტადიურად მიმდინარეობს. ჯერ ბავშვები აყალიბებენ ორ სიტყვიან წინადადებებს. მეორე ეტაპზე ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ ფლექსიები – მაგალითად, ნავედი, ნახვედი, ნავიდა, ნავალ, მივიდევარ და ა. შ. მესამე სტადიაზე ბავშვები ცვლიან წინადადების ფორმებს. მაგალითად, ამბობენ კითხვით თუ ბრძანებით წინადადებებს. შემდგომ ეტაპზე ბავშვები ოპერირებენ რთული კონსტრუქციებით. ისინი მეტყველებენ რთული, დამოკიდებული წინადადებით.

სკოლის პერიოდში ძალიან ინტენსიურად ვითარდება ზეპირი, გაბმული მეტყველება. ამასთანავე, ენისა და მეტყველების განვითარებისათვის, უმნიშვნელოვანეს ასპექტს შეადგენს წერა-კითხვასთან დაკავშირებული ჩვევების ჩამოყალიბება.

**◆ მეხსიერება**

მეხსიერება წარმოადგენს ინფორმაციის შენახვის და აღდგენის უნიკალურ საშუალებას. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ცოცხალი ორგანიზმის არსებობისა და გარემოში ადაპტაციისა თუ გადარჩენისთვის. ჩვენი და ჩვენი წინაპრების წარსული გამოცდილება მეხსიერებაში ინახება და ჩვენ საშუალება გვძლევს საჭირო მომენტში გავიხსენოთ და გამოვიყენოთ ესა თუ ის ინფორმაცია.

მეხსიერების უამრავი კლასიფიკაცია არსებობს და ვერცერთი მათგანი ამომწურავად ვერ აღწერს დამახსოვრების უნიკალურ უნარს.

დამახსოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყოფენ მეხსიერების უნებლიე და ნებისმიერ ფორმებს: უნებლიე ფორმა გულისხმობს, რომ ამა თუ იმ მასალის დამახსოვრება ხდება სპონტანურად, უნებლიედ, ყოველგვარი წინასწარ განზრახვის გარეშე.

ნებისმიერი დამახსოვრების დროს, ადამიანი ამა თუ იმ ინფორმაციას მიზანმიმართულად, ნებისმიერად იმახსოვრებს; ეფექტური დამახსოვრებისთვის კი, დამახსოვრების მექანიზმებს იყენებს. იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოდალობის გრძნობათა ორგანოს გზით შემოდის ჩვენში დასამახსოვრებელი მასალა, გამოყოფენ მეხსიერების სამ სახეს – მხედველობითს, სმენითს და მოტორულს.

დამახსოვრების პროცესი შედგება სამი ნაწილისგან:

- 1) ინფორმაციის აღბეჭდვა;
- 2) გადამუშავება და შენახვა;
- 3) აღდგენა.

მეხსიერებაც სამი ნაწილისგან შედგება:

1. სენსორული რეგისტრი, რომელშიც აღიბეჭდება სენსორული ორგანოების მიერ მიღებული ინფორმაცია.
2. ხანმოკლე მეხსიერება, რომელიც ინახავს იმას, რასაც მოცემულ მომენტში ადამიანი აცნობიერებს.
3. ხანგრძლივი მეხსიერება, რომელიც ინახავს ინფორმაციას მთელი ცხოვრების მანძილზე.

ინფორმაცია აღიბეჭდება ჯერ სენსორულ რეგისტრში, სადაც ჩერდება 250 მწმ. განმავლობაში, აქედან ინფორმაცია ან იკარგება, ან გადადის ხანმოკლე მეხსიერებაში, სადაც ხდება მოცემული ინფორმაციის გაცნობიერება და ინახება 30 წამის განმავლობაში.

ხანგრძლივი მეხსიერებაში აღბეჭდილი ინფორმაცია, ზოგი მეცნიერის აზრით, არასდროს არ იკარგება.

გამოყოფენ ინფორმაციის სამ სახეს, რომელიც მეხსიერებაში აღიბეჭდება ან ინახება. ეს არის: ხატები, ქმედებები და სიტყვები. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ მეხსიერების სამ სახეს: მხედველობითს, მოტორულს და ვერბალურს.

მხედველობის მეხსიერება ფილოგენეტურად პირველია, ასევე, ძალიან ადრე იჩენს თავს მოტორული მეხსიერება. რაც შეეხება ვერბალ-

ლურს, იგი მხოლოდ 4-6 წლის ასაკში ყალიბდება. მეტყველების განვითარება, სკოლამდელი ასაკის ბავშვს, საშუალებას აძლევს უფრო დიდი ინფორმაცია ხანგრძლივად შეინახოს.

5-7 წლიდან დამახსოვრებული მასალის აღდგენა საგრძნობლად უმჯობესდება, იზრდება მეხსიერების მოცულობა. მოცემული ასაკიდან ბავშვები აქტიურად იყენებენ დამახსოვრების მექანიზმს და დამახსოვრებაც უკვე მიზანმიმართულ და ნებელობით ხასიათს იძენს.

ბავშვები მასალას მანამდე იყენებენ, სანამ არ დარწმუნდებიან რომ მოცემული მასალა ახსოვთ. მოგვიანებით ისინი ახდენენ კატეგორიზაციას და დასახსომებელი მასალის დაჯგუფებას; კიდევ უფრო გვიან – ადგენენ მოკლე მოთხრობებს და ვიზუალურ ხატებს, რათა უფრო ეფექტური გახადონ დამახსოვრების პროცესი.

◆ ყურადღება

როგორც წესი, ადამიანის გრძნობათა ორგანოებზე უამრავი გამალიზიანიებული მოქმედებს, მაგრამ ყველა ამ გამალიზიანებლის ერთობლივად აღქმა თუ შემჩნევა ფიზიკურად შეუძლებელია. ადამიანი ამჩნევს და ნათლად აღიქვამს მხოლოდ იმ გამალიზიანებელს, რომელიც მის ყურადღებას იქცევს და ეს გამალიზიანებელი, შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე.

აქედან გამომდინარე, ყურადღება წარმოადგენს ყოველი ობიექტის ნათლად და გარკვეულად განცდის პირობას. იგი უზრუნველყოფს ფსიქიკის მიმართვას, მის კონცენტრაციას გარკვეულ ობიექტზე.

ყურადღების ხასიათიდან გამომდინარე, ზოგჯერ, შესაძლოა, ძლიერი ინტენსივობის გამალიზიანებელი შეუმჩნეველი დარჩეს და ადამიანმა ნათლად განიცადოს სუსტი გამალიზიანებელი, რომლისკენაც წარმართავს ყურადღებას.

განასხვავებენ ყურადღების უნებლიე და ნებისმიერ ფორმებს. პირველ შემთხვევაში ყურადღება უნებლიედ, იმპულსურად, ყოველგვარი წინასწარ განზრახვის გარეშე წარიმართება გამალიზიანებლისკენ. მაგალითად, ძლიერი ინტენსიურობის ან ფრიად უჩვეულო გამალიზიანებელმა შეიძლება უნებურად მიიპყროს ჩვენი ყურადღება. მეორე შემთხვევაში ადამიანი მიზანდასახულად წარმართავს ყურადღებას (ნებისმიერად) გარკვეულ ობიექტზე ან შინაარსზე, რომელიც მოცემულ მომენტში შეიძლება არც იყოს საინტერესო.

ნებისმიერ ყურადღებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის და ზოგადად შემცვენებით პროცესებში. ნებისმიერი, ახალი ქცევა იქნება ეს თუ სხვა აქტივობა, მოითხოვს ყურადღების დაძაბვას მანამ, სანამ ეს ქცევა ძნელად შესასრულებელია.

ყურადღება შემდეგი თვისებებით ხასიათდება:

1. **ინტენსიურობა** – ყურადღების კონცენტრაცია ხდება ხან მეტი, ხან ნაკლები ინტენსიურობით, რაც განაპირობებს ყურადღების საგნის გაცდის მეტ-ნაკლებ სინათლეს (ნათლად განიცდება ან არც ისე ნათლად განიცდება).

2. **ცვალებადობა** – ყურადღების ინტენსიურობა ჩვეულებრივ პირობებში იცვლება, ხან იმატებს, ხან იკლებს. ფიზიკურად შეუძლებელია ერთი და იგივე საგანზე ან შინაარსზე მიმართული ყურადღების ინტენსიურობა იყოს ყოველთვის მაღალი, იგი პერიოდულად მცირდება და შემდეგ ისევ იმატებს.

3. **მოცულობა** – განისაზღვრება იმ შინაარსების რაოდენობით, რომელიც ერთდროულად აღმოჩნდება ყურადღების და შესაბამისად, ცნობიერების ფოკუსში. ზრდასრული ადამიანის ყურადღების მოცულობა შეადგენს 4-6 მარტივ შთაბეჭდილებას.

4. **ყურადღების განაწილება** – ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანს შეუძლია ერთდროულად დაკავდეს სხვადასხვა აქტივობით, მაგალითად, უყუროს ტელევიზორს და მოამზადოს სადილი. ამას ადამიანი ასრულებს ყურადღების განაწილების ხარჯზე. ცხადია, ერთდროულად, მისი ცნობიერების ფოკუსში ორივე აქტივობა ვერ მოთავსდება. ისინი ყურადღების ფოკუსში თავსდებიან მონაცვლეობით.

ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ორი სხვადასხვა აქტივობის გაერთიანება ერთ აქტივობად. მაგალითად, როიალზე დაკვრისას ორივე ხელის განსხვავებული აქტივობები ერთიანდება ერთ სტრუქტურაში და ერთ მთლიან აქტივობად აღიქმება. ამ შემთხვევაში ყურადღების განაწილება ერთი ხელიდან მეორეზე არ არის საჭირო და იგი ერთდროულად მიეპყრობა ორივე ხელის ერთიან აქტივობას.

5. **ყურადღების გადანაცვლება** – გულისხმობს ერთი შინაარსიდან ყურადღების სასწრაფოდ მონყვეტას და გადატანას სხვა, ზოგჯერ სრულიად განსხვავებულ შინაარსზე.

6. **ყურადღების შეგუება** – გამალიზიანების შემჩნევა მომენტალურად არ ხდება, იმისთვის, რომ გამალიზიანებული შევამჩნიოთ, მისი ზემოქმედების დაწყებიდან ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე, გარკვეული დრო უნდა გავიდეს (1-2წამი) ანუ ჩვენი ყურადღება გამალიზიანებულს უნდა შეეგუოს.

7. **ყურადღების სტაბილურობა** – გამძლეობა – ესაა ყურადღების სიმტკიცე ანუ გამძლეობა, რაც იზომება ერთი და იგივე შინაარსზე ყურადღების ფიქსაციის ხანგრძლივობით.

8. **სიმყარე ანუ გადაუზრადობა** – ეს არის ყურადღების მეტ – ნაკლები სიმყარე, ანუ ხელშემშლელი, უცხო გამალიზიანების მიმართ მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის ხარისხი.

9. **ყურადღების გავარჯიშება** – ყურადღების ვარჯიშის შედეგად, შესაძლებელია მისი ყველა თვისების განვითარება: იზრდება მისი ინტენსიურობა, გამძლეობა და ა. შ.

### ყურადღების განვითარება

ყურადღების ჩანასახოვან ფორმას წარმოადგენს საორიენტაციო რეფლექსი ძალიან ადრეულ ასაკში, სახელდობრ, რეფლექსური ხასიათის მიმართვა გამალიზიანების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს გამალიზიანების აღქმას. ასეთი მოქმედება სისტემატურ ხასიათს იძენს და ბავშვისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება 2 თვიდან.

სკოლამდელ ასაკში ყურადღება, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქცევა, იმპულსურ ხასიათს ატარებს, ანუ ყურადღება არ არის ნებელობით გაშუალებული და იგი წარიმართება გამალიზიანებისკენ ბავშვის უშუალო მოთხოვნის საფუძველზე.

თუმცა 4 წლიდან 6 წლამდე უკვე თავს იჩენს ნებისმიერი ყურადღების ჩანასახებიც.

სასკოლო ასაკიდან ყურადღების ნებისმიერი ფორმა კიდევ უფრო აქტიურდება ანუ სკოლის პერიოდი წარმოადგენს ნებისმიერი ყურადღების განვითარების პერიოდს.

სასკოლო ასაკიდან, განსაკუთრებით 11 წლიდან, აქტიურად ვითარდება ყურადღების ისეთი თვისებები, როგორცაა – ყურადღების მოცულობა, კონცენტრაცია, სიმყარე და სტაბილურობა.

ადრეულ ასაკში ბავშვის ყურადღების მოცულობა იტევს ერთ შთაბეჭდილებას. მას ერთდროულად არ შეუძლია არა თუ რამდენიმე ობი-

ექტის აღქმა, არამედ ობიექტის ერთზე მეტი მახასიათებლის გათვალისწინებაც. მაგალითად, პატარა ბავშვს, რომელსაც ხელში ვაშლი უჭირავს, ატამი რომ მივანოდოთ ვაშლი გაუვარდება, რადგანაც მისი ყურადღება მაქსიმალურად წარმართება ახალი ობიექტისკენ. საბოლოოდ ყურადღების ზრდასრულისთვის დამახასიათებელი მოცულობა ყალიბდება 16 წლის ასაკში. სასკოლო ასაკისთვის (ადრეულ სტადიაზე) ყურადღების მოცულობა 2-3-ს, 12 წლის ასაკში კი 3-4 მარტივ შთაბეჭდილებას იტევს.

რაც შეეხება ყურადღების სტაბილურობას – 1 წლის ბოლოს ბავშვს შეუძლია ყურადღების წარმართვა ერთი მიმართულებით 15 წუთი.

ოთხი წლის ასაკში, თამაშით გართული ბავშვის ყურადღება დაახლოებით ერთი საათი შეიძლება იყოს მიმართული ერთ შთაბეჭდილებაზე. 6 წლისათვის ეს დრო იზრდება საათნახევრამდე.

ყურადღების კონცენტრაციის (გადახრადობა-გადაუხრადობა) უნარი მნიშვნელოვნად იზრდება 5 წლის ასაკიდან.

სასკოლო ასაკიდან განსაკუთრებით ვითარდება ნებისმიერი ყურადღების კონცენტრაციის უნარი, მაგრამ საგრძნობლად მაღალ დონეს ის აღწევს 11 წლის ასაკიდან. განვითარების მაქსიმუმს კი – 14-15 წლისთვის.

სკოლის ასაკში სწავლის პროცესი ერთის მხრივ, ავითარებს ყურადღებას, მეორეს მხრივ, ნებისმიერი ყურადღების განვითარება უზრუნველყოფს სწავლის ეფექტურობას.



#### ◆ ემოციური განვითარება

ბავშვების ემოციური რეაქციები საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავენ. ზოგჯერ ისინი აღფრთოვანებულები და ბედნიერები არიან, ზოგჯერ დეპრესიულები და მოწყენილები, ზოგჯერ კი ძალიან ბრაზიანები.

ადრეული ასაკის ემოციური და სოციალური განვითარება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ემოციები შეიძლება განვიხილოთ როგორც კომუნიკაციის ფორმა, რითაც ბავშვი ახერხებს



სხვებისთვის საკუთარი განცდების, სურვილებისა და მოთხოვნილებების გადაცემას. ამას წარმატებით ახორციელებენ საკმაოდ პატარა ასაკის ბავშვებიც კი.

ჩვილებში ემოციების გამოვლენის დრო ინდივიდუალურია. შიში, ტკივილზე რეაქცია, რუდიმენტული ღიმილი დაბადებისთანავე ვლინდება. ეს რეაქციები ასე ვთქვათ წინაპირობაა სოციალური ღიმილისა და აღფრთოვანების ემოციისა, რაც მოგვიანებით იჩენს თავს. 4-6 კვირის ასაკში ბავშვს სოციალური ღიმილის რეაქცია უვითარდება ისეთ სტიმულებზე, როგორცაა ნაცნობი სახე და ხმა. 3-4 თვის ასაკში თავს იჩენს სიბრაზის, გაკვირვების, მონყენილობის ემოციური რეაქციები. შიშის ემოცია ჩვილებში 5-7 თვის ასაკში ჩნდება, მაშინ როცა სირცხვილი და სიმორცხვე 6-8 თვის ასაკის ბავშვებს უვითარდებათ. აღსანიშნავია, რომ ემოციური რეაქციები ბავშვებთან შემთხვევით არ აღმოცენდება. საკმაოდ ბევრი მეცნიერული ფაქტია იმის დამამტკიცებელი, რომ ემოციური რეაქციები ყალიბდება გარკვეული გარემო ფაქტორების გავლენით.

სანამ ბავშვს განუვითარდება მეტყველება, ის სოცოუმთან კომუნიკაციას ემოციების გამოხატვით ახერხებს. დედები შვილებთან ურთიერთობისას იყენებენ სხვადასხვა ემოციებს და ამდენად ასწავლიან თავიანთ ბავშვებს ემოციური გამომხატველობის „ტექნიკას“. ამასთან ბავშვები გაცილებით წარმატებულად ახერხებენ საკუთარი მიმიკის ემოციების გამოსახატავად გამოყენებას, ვიდრე სხვისი ემოციების დაფიქსირებას.

როდესაც ჩვილი აყალიბებს პოზიტიურ ემოციურ დამოკიდებულებას გარკვეულ ინდივიდებთან, იმავდროულად სწავლობს, როგორ მოიქცეს უცხოებთან.



ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარი, რომელიც ბავშვებმა უნდა შეიძინონ არის შიშითა და შფოთვით გამოწვეულ სტრესთან გამკლავების მექანიზმები. შიში და შფოთვა ორი განსხვავებული ემოციაა. შიში არის განსაზღვრულ სტიმულებსა და სიტუაციაზე რეაქცია (მაგალითად, ბავშვს ეშინია დიდი ძაღლის ან ჭექა-ქუხილის). შფოთვა, შიშისგან განსხვავებით, განუსაზღვრელი ხასიათისაა. ბავშვი შეიძლება შფოთავდეს, განიცდიდეს შიშს, თუმცა თვითონაც არ იცოდეს კონკრეტულად რისი ეშინია. ბევრი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ შფოთვა სოციალიზაციის განუყრელი ნაწილია, ვინაიდან ბავშვი ცდილობს აიცილოს არასასიამოვნო განცდები მშობლების მხრიდან უკმაყოფილების ან დასჯის შემთხვევაში.

შიშსა და შფოთვას ბევრი მიზეზი აქვს. პატარა ბავშვებს შეიძლება იმისაც ეშინოდეთ, რომ მშობლები მიატოვებენ, ან აღარ ეყვარებათ. მშობლებს, რა თქმა უნდა, უყვართ თავიანთი შვილები, თუმცა დასჯის მიზნით შეიძლება შვილს გარკვეული სითბო და ყურადღება მოაკლონ, რაც ბავშვში შფოთვას იწვევს. ფიზიკური დასჯის წინათგრძნობა ბავშვებში შფოთვის კიდევ ერთი წყაროა. ორი წლის ბავშვებს თავიანთი მშობლები ყოველშემძღვებად მიაჩნიათ და წარმოდგენა არა აქვთ იმის შესახებ, თუ რა შეუძლია მოიმოქმედოს მშობელმა. როდესაც გაბრაზებული დედა ბავშვს დაემუქრება: „თავს წაგაცლიო“, ბავშვი ფიქრობს, რომ მართლა ასე შეიძლება მოხდეს.

შიში და შფოთვა შესაძლოა გაძლიერდეს ან წარმოიშვას კიდევ, თავად ბავშვის წარმოსახვის წყალობით. ბავშვები ხშირად ფიქრობენ, რომ დის ან ძმის დაბადება მათ მშობლის სიყვარულს და მზრუნველობას წაართმევს. ხანდახან შფოთვას ბავშვებში თავიანთი აკრძალული გრძნობების (აგრესია, ზიზღი) გაცნობიერება იწვევს. ბავშვმა თავისი ფანტაზიის წყალობით შეიძლება ბევრი რამის მიმართ ჩამოიყალიბოს შიში. სიბნელის შიში, როგორც წესი ბავშვების ფანტაზიის ნაყოფია და არანაირად არ უკავშირდება რეალურ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს.

### ◆ ინტელექტი

ინტელექტი არის ადამიანის უნარი შეიძინოს და გამოიყენოს ჩვევები, რომელიც აუცილებელია კულტურასა და გარემოსთან ადაპტაციისთვის. მკვლევართა შორის ჯერაც არ არსებობს ერთიანი, შეთანხმებული აზრი იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა ინტელექტი მხოლოდ ზოგად უნარს, რომელიც ვლინდება ახალ ამოცანათა უმრავლესობის გადაჭრაში, თუ იგი სპეციფიკური კოგნიტიური უნარების ერთობლიობაა.

ინტელექტი გულისხმობს უნარს, თუ როგორ შეგვიძლია გადავჭრათ პრობლემური სიტუაცია და როგორ ვიყენებთ ამისთვის ახალ ინფორმაციას. ცხადია, ამისთვის საჭიროა რაღაც ცოდნის ფლობა და იმავდროულად, ლოგიკური განსჯა, დამახსოვრება, კავშირების დანახვა და დასკვნის გაკეთება.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არსებობს ინტელექტის რამდენიმე სახე და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდებიან. ამას მონობს ის, რომ ბავშვები, რომელთაც უხეში დარღვევა აქვთ ერთ სფეროში, შეიძლება წარმატებული იყვნენ სხვა სფეროში (აზროვნების მოზაიკური განვითარება).

◆ მე-ს კონცეფცია და თვითცნობიერების განვითარება

თვითცნობიერება ჩნდება ორი წლიდან. დაახლოებით თვრამეტი თვის ასაკში; ბავშვები იწყებენ საკუთარი თავის ცნობას სარკეში. ორი წლის ბავშვს აქვს „მეს„ და „ჩემის„ გაგება. ნიშანდობლივია, რომ შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები საკუთარი თავის დახასიათებისას ყურადღებას ამახვილებენ ფიზიკურ ნიშნებზე (თვალის ფერი, თმის ფერი და ა.შ.). შუა ბავშვობის პერიოდში კი იწყებენ აბსტრაქტული მახასიათებლების დაფიქსირებას (მე ჩხუბისთავი ვარ) და ფსიქოლოგიური თვისებების ჩამოთვლას. აცნობიერებენ რა საკუთარი გრძნობების და განცდების უნიკალურობას, ბავშვები აფიქსირებენ საკუთარ განსხვავებულობას.


აღსანიშნავია, რომ მე-კონცეფციის ფორმირების პროცესში ბავშვი შინაგანად აძლევს საკუთარ თვისებებს დადებით ან უარყოფით შეფასებას. ეს განცდები, საკუთარი კარგი თუ ცუდი თვისებების გამო, აყალიბებენ თვითშეფასებას.

თვითშეფასებისგან განსხვავებით, მე-ს კონცეფციას აქვს აღწერითი ხასიათი: თმის ფერი, ხმის ტემბრი, რომელიც არ ფასდება პლუს ან მინუს ნიშნით. თვითშეფასება პირიქით, უკავშირდება საკუთარი თვისებების განსჯას და შეფასებას.

როცა რვა წლის ბავშვი გეუბნებათ, რომ ის ჩხუბისთავია, იმ შემთხვევაში თუ ის თვლის, რომ ჩხუბისთავობა კარგი თვისებაა საკუთარი თავის დაცვის თვალსაზრისით, მისი თვითშეფასება მაღლდება. თუ მას ჩხუბისთავობა ანუხებს, თვითშეფასება მცირდება.

საქართველოს ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

### 1.3. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების ძირითადი მახასიათებლები



#### ◆ რას წარმოადგენს სწავლის უნარის დარღვევა?

სწავლის უნარის დარღვევა\* წარმოადგენს განვითარების დარღვევას, რომელიც ხასიათდება ინტელექტუალური ფუნქციონირების (შემეცნების უნარი, სწავლა) ნორმაზე დაბალი მაჩვენებლითა და ყოველდღიური უნარ-ჩვევების (კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სოციალური ჩვევები) შეზღუდვით. სწავლის უნარის დარღვევის დიაგნოსტიკება დაბადებიდან 18 წლის ასაკამდე ხდება. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, განვითარების ამ ტიპის დარღვევა მოსახლეობის დაახლოებით 2,5 – 3%-ში გვხვდება.

სწავლის უნარის დარღვევა განისაზღვრება ორი კრიტერიუმით, პირველი: პიროვნების ინტელექტის დონე — ინტელექტის დონის შეფასება ხდება ინტელექტის საზომი, სხვადასხვა ტიპის სტანდარტიზებული ტესტების საშუალებით, რომლებიც პიროვნების გონებრივი შესაძლებლობების ციფრობრივ მაჩვენებელს — „აიკიუ“ (IQ) კოეფიციენტს იძლევა. სწავლის უნარის დარღვევის დროს, IQ მაჩვენებელი 70 ქულაზე დაბალია.

\* დღესდღეობით არსებობს სწავლის უნარის დარღვევის მრავალი განსაზღვრება. მოცემულ სახელმძღვანელოში სწავლის უნარის დარღვევა გონებრივი ჩამორჩენილების სინონიმად გამოიყენება.

გონებრივი ჩამორჩენილობის მეორე კრიტერიუმს ადაპტაციური ფუნქციონირების ხარისხის მაჩვენებელი წარმოადგენს. ტერმინი „ადაპტაციური ფუნქციონირება“, ნიშნავს, თუ რამდენად შეუძლია პიროვნებას ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო მოქმედებების შესრულება. ეს შეიძლება იყოს კომუნიკაციური, საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევები, დასვენება, თვით-მოვლა და თვით-მომსახურება, სოციალური უნარ-ჩვევები, ასევე ფუნქციონალური აკადემიური უნარები (კითხვა, წერა, მათემატიკა). ადაპტაციური ქცევის შეფასება სპეციალური კითხვარების საშუალებით ხდება. მისი შეფასება ინტელექტის დონის შეფასებასთან შედარებით ბევრად რთულია, რადგან ბავშვების ქცევა ხშირად სხვადასხვა გარემოში განსხვავებულია. შესაძლებელია, რომ ადაპტაციური ქცევის შესაფასებელი კითხვარის მონაცემებით, ბავშვს არ ჰქონდეს ქცევის პრობლემები ერთ გარემოში, თუმცა სასკოლო გარემოში შესაძლებელია აღენიშნებოდეს ქცევის მნიშვნელოვანი პრობლემები.

ცნობილია, რომ სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები განვითარებაში იგივე საფეხურებსა და ეტაპებს გადაიან, იგივე თანმიმდევრობით, როგორც მათი თანატოლები, მაგრამ ბევრად უფრო ნელ ტემპში. ისინი გაცილებით გვიან აღწევენ განვითარების ისეთ მნიშვნელოვან ეტაპებს, როგორცაა სიარული, მეტყველების დაწყება, წერა – კითხვის ათვისება. მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობის დროს, ზოგჯერ დიაგნოზის დასმა არ ხდება ბავშვის სკოლამდელ დაწესებულებაში მიყვანამდე. ხშირად ბავშვებს პრობლემები აქვთ სოციალურ, ფუნქციონალურ და აკადემიურ სფეროებში, უჭირთ კომუნიკაცია. ამ ბავშვების წარმატებული სწავლებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდებიან ისინი ინფორმაციის გადამუშავების, მეტყველების განვითარებისა და სოციალურ – ემოციური უნარ-ჩვევების ათვისების თვალსაზრისით.

**ინფორმაციის გადამუშავების უნარი**

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების ერთ-ერთ თვალსაჩინო მახასიათებელს წარმოადგენს ინფორმაციის გადამუშავების უნარის განვითარების სირთულე. მათი განვითარება შეიძლება 3-6 კლასის დონეზე შეფერხდეს, განსაკუთრებით კი, მეტყველებაზე დამოკიდებულ საგნებში (კითხვა, ისტორია, გეოგრაფია). ამ ბავშვების დასახმარებლად აუცილებელია გვესმოდეს, თუ როგორ ფიქრობენ, აზროვნებენ ისინი.



მათ უმეტესობას აქვს ინფორმაციის ცენტრალური გადამუშავების პრობლემა, რაც ვლინდება ინფორმაციის კლასიფიკაციის სიძნელეში მესხიერების, მსჯელობისა და შეფასების გამოყენებით. კლასიფიკაცია – ინფორმაციის ორგანიზება – როგორც ჩანს, ამ ბავშვების სპეციფიკურ პრობლემას წარმოადგენს. სასკოლო ასაკის ბავშვები საკმაოდ სწრაფად სწავლობენ მნიშვნელოვანი საგნებისა თუ მოვლენების გარკვეულ ჯგუფებში გაერთიანებას: მაგიდა, სკამი და

დივანი ხდება „ავეჯი“; ბალი, ვაშლი და მარწყვი – „ხილი“. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებს ნაკლებად შეუძლიათ საგნების დაჯგუფება. მათ, მაგალითად, შეიძლება გაუჭირდეთ მატარებელსა და მანქანას შორის მსგავსების აღმოჩენა.

მესხიერების თვალსაზრისით, სირთულეს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც დასამახსოვრებელი ინფორმაციის გამოყოფა მთლიანი ინფორმაციული ნაკადიდან, ასევე დამახსოვრების სტრატეგიების ფლობისა და გამოყენების ნაკლებობა. კერძოდ, სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები ხშირად არ იყენებენ გამეორებას მასალის უკეთ დასამახსოვრებლად, ვინაიდან მათ უმეტესწილად ხანმოკლე მესხიერების მოცულობა აქვთ შეეინროვებული<sup>1</sup>

### მეტყველების ათვისებისა და გამოყენების უნარი

მეტყველება ადამიანების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს. მთელი ჩვენი ცხოვრება, გამოცდილება მეტყველებითაა გაშუალებული. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებში მეტყველების განვითარება გავლენას ახდენს კოგნიტურ განვითარებაზე

\* ხანმოკლე მესხიერებაში ინფორმაცია ინახება რამდენიმე წუთის განმავლობაში და ხანგრძლივ მესხიერებაში ინფორმაციის გადასასვლელად ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას გამოიყენებს წარმოადგენს. საზოგადოდ, ზრდასრული ადამიანის უშუალო მესხიერების მოცულობას  $7 \pm 2$  ერთეული წარმოადგენს.


(განსაკუთრებით, აზროვნებაზე, დაგეგმვასა და მსჯელობაზე), თუმცა კოგნიტური განვითარებაც, თავის მხრივ, მოქმედებს მეტყველების განვითარებაზე. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების მეტყველება განვითარების იგივე ეტაპებს გადის, რასაც მათი თანატოლების, მაგრამ, ბევრად ნელა. მაგალითად, 5 წლის ბავშვის მეტყველება შესაბამისი იქნება სწავლის უნარის დარღვევის მქონე 10 წლის ბავშვის მეტყველების, რომლის გონებრივი ასაკიც 5 წელს შეესაბამება.

თუმცა არსებობს გარკვეული ვარიაციები ამ ზოგად დებულებაშიც. მაგალითად, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მეტყველების განვითარება მათ გონებრივ განვითარებაზე უფრო დაბალია, მაშინ როდესაც ვილიამსის სინდრომის მქონე ბავშვების მეტყველება ბევრად უკეთესია მათ კოგნიტურ განვითარებასთან შედარებით.

**ემოციური და სოციალური უნარ-ჩვევების ათვისების უნარი**

სოციალური ადაპტაციის ხელისშემშლელად ხშირად ამ ბავშვებისთვის დამახასიათებელი 2 ნიშანი განიხილება: მიმდობლობა (სიადვილე, რომლითაც ეს ბავშვები ტყუვდებიან) და გულუბრყვილობა (არასწორი, მცდარი მტკიცებების დანახვის უუნარობა), რაც ამ ბავშვების კოგნიტური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვასწავლოთ ამ ბავშვებს სოციალური ნიშნების იდენტიფიკაცია და სოციალური კონტექსტის შესაბამისი გადაწყვეტილებების

ქმნილობა და სწავლა



მიღება. ასევე, სოციალური ადაპტაციისათვის მნიშვნელოვანია ისეთი უნარ-ჩვევების სწავლება, როგორცაა გაზიარება (საკუთარი ნივთის თხოვება სხვისთვის), რიგის დაცვა, ღიმილი, მონესრიგებულობა და სხვა საკლასო თუ სასკოლო აქტივობების და ინსტრუქციების მიყოლა.

სწავლის უნარის დარღვევის ხარისხი განსხვავებულია თავისი სიმძიმის მიხედვით. სწავლის უნარის დარღვევის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია დიაგნოზებისა და სტატისტიკურ სახელმძღვანელოში (DSM-IV)\*, რომლის მიხედვითაც, სწავლის უნარის დარღვევა კლასიფიცირდება ოთხი სხვადასხვა ხარისხით: მსუბუქი, საშუალო, მძიმე და ღრმა.

### სწავლის უნარის *მსუბუქი* დარღვევა

- IQ 50–დან 70–მდე;
- მოიცავს სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსახლეობის 85 %-ს;
- აღნიშნული კატეგორიის მქონე პირები ხშირად ითვისებენ აკადემიურ უნარებს დაახლოებით მე-6 კლასის დონემდე, შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება და ახლობლებისა და საზოგადოების დახმარებას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში საჭიროებენ.

### სწავლის უნარის *საშუალო* დარღვევა

- IQ 35–დან 50–მდე;
- მოიცავს სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსახლეობის 10 %-ს;
- აღნიშნული კატეგორიის მქონე პირები, ხშირად კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს ეუფლებიან ადრეულ ბავშვობაში და გარკვეული ზედამხედველობის პირობებში, ახერხებენ შედარებით დამოუკიდებლად ცხოვრებას;

### სწავლის უნარის *მძიმე* დარღვევა

- IQ 20–დან 35–მდე;
- მოიცავს სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსახლეობის 3 დან 4 %-მდე;
- აღნიშნული კატეგორიის მქონე პირებს, ხშირად შეუძლიათ ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ისეთი უნარ-ჩვევების ათვისება, როგორცაა მაგალითად, დასუფთავება და ჩაცმა. ისინი ყოველდღიურ დახმარებას საჭიროებენ ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში.

\* DSM - IV - Mental Retardation (გონებრივი ჩამორჩენილობა)

სწავლის უნარის ღრმა დარღვევა

- IQ 20-ზე ნაკლები;
- მოიცავს სწავლის უნარის დარღვევის მოსახლეობის 1 დან 2 %-მდე;
- აღნიშნული კატეგორიის მქონე პირებს, შესაბამისი ტრენინგითა და დახმარებით, შეუძლიათ ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევების ათვისება, თუმცა, მათ შემთხვევაში აუცილებელია კარგად ორგანიზებული და სტრუქტურირებული სისტემატიური ზედამხედველობა. სწავლის უნარის ღრმა დარღვევის მქონე პირებს, ასევე, ხშირად ახასიათებთ ფსიქიკური განვითარების სხვა დარღვევებიც.

◆ სწავლის უნარის დარღვევის ნიშნები

სწავლის უნარის დარღვევის ნიშნები, როგორც წესი, ადრეულ ასაკში ვლინდება. ხშირად სწავლის უნარის დარღვევას თან ახლავს ისეთი სიმპტომებიც, როგორიცაა აგრესია, თვით-საზიანო ქცევა, პიროვნული აშლილობები. ბავშვის ზრდასთან ერთად, სწავლის უნარის დარღვევის საუკეთესო მაჩვენებელს, მისი ინტელექტისა და ადაპტაციური ფუნქციონირების ხარისხის შეფასება წარმოადგენს. ძირითადად, სწავლის უნარის დარღვევისთვის დამახასიათებელია:

- ასაკისათვის შეუფერებელი ქცევა;
- ახალი ინფორმაციის თუ ჩვევების სწავლის ნელი ტემპი;
- ჩვევის ან ინფორმაციის განზოგადების სირთულე;
- აბსტრაქტული აზროვნების განვითარების ძლიერი ჩამორჩენა;
- ცნობისმოყვარეობის ნაკლებობა;
- სირთულეები სასკოლო-საგანმანათლებლო სტანდარტების დაძლევაში.

ქცევის ნორმების დარღვევა დამოკიდებულია სწავლის უნარის დარღვევის ხარისხზე. მსუბუქ ჩამორჩენილობას მეტად ახასიათებს ცნობის-მოყვარეობის ნაკლებობა, ხოლო მძიმე ჩამორჩენილობას ასაკისთვის შეუფერებელი ქცევა, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება.

◆ სწავლის უნარის დარღვევის გამომწვევი მიზეზები და რისკ-ფაქტორები

სწავლის უნარის დარღვევების შემთხვევათა ერთი მესამედის გამომწვევი მიზეზი უცნობია. დარჩენილი შემთხვევების ორი მესამედი კი



შეიძლება გამოწვეული იყოს: მემკვიდრეობითი, პრენატალური, პერი-ნატალური პრობლემებით, ბავშვობაში გადატანილი დაავადებებით ან გარემო ფაქტორების მავნე ზეგავლენით.

### გენეტიკური ფაქტორები

სწავლის უნარის დარღვევა შემთხვევათა 5% გამოწვეულია გენეტიკური ფაქტორებით, როგორცაა ქრომოსომული დაავადებები (მაგალითად, დაუნის სინდრომი) და მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დარღვევები (მაგალითად, ფენილკეტონურია). გენი ადამიანის უჯრედში არსებულ ქიმიურ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც უჯრედს „კარნახობს“, თუ როგორ უნდა „მოიქცეს“. ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვი მემკვიდრეობით იღებს მშობლის ნაკლოვან გენს, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს ბავშვის თავის ტვინის განვითარებაზე და სწავლის უნარის დარღვევა გამოიწვიოს.

### ◆ დიაგნოსტიკა

სწავლის უნარის დარღვევის პირველადი დიაგნოსტიკა ფიზიკური გასინჯვითა და სამედიცინო ისტორიის შედგენით იწყება. ზოგიერთ შემთხვევაში, პირველადი დაავადების დროული იდენტიფიკაციის შედეგად შესაძლებელია სწავლის უნარის დარღვევის თავიდან აცილება (პრევენცია). ამის მაგალითს წარმოადგენს ჰიპერთირეოზი, ე.წ. „ბაზედოვის დაავადება“, რომლის დროსაც ფარისებრი ჯირკვალის ჭარბი რაოდენობით გამოიმუშავენ ჰორმონებს. ამ დაავადების დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემთხვევაში, შესაძლებელია გონებრივი ჩამორჩენილობის ჩამოყალიბების თავიდან აცილება. სამედიცინო გამოკვლევების გარდა, სწავლის უნარის დარღვევის დიაგნოსტიკის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ინტელექტის შესაფასებელი ტესტებისა და ადაპტაციური ქცევების შესაფასებელი გამოკითხვის ჩატარება. მათი მიზანია განისაზღვროს ბავშვის ინტელექტის კოეფიციენტი და მისი ადაპტაციური ფუნქციონირების ხარისხი. ინტელექტის შესაფასებლად ყველაზე ხშირად გამოიყენება ინტელექტის შეფასების ვექსლერის შკალა (WISC-R) და კაუფმანის ბავშვთა შეფასების ბატარეა, ხოლო ადაპტაციური ფუნქციონირების ხარისხის დადგენა ხდება ადაპტაციური ქცევების შკალის (ABS) საშუალებით.

საბოლოო დიაგნოზისა და შემდგომი დახმარების განსაზღვრა ხდება პროფესიონალთა ჯგუფის მიერ (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი) ბავშვისა და მისი ოჯახის წევრების აქტიური მონაწილეობით.

### ◆ რეაბილიტაცია

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია სწავლის უნარის დარღვევის შედეგების შემცირება მიზანმიმართული პროგრამების საშუალებით. ამ სახის თერაპიული პროგრამების მიზანია დაეხმაროს სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებს მაქსიმალურად განავითარონ ინტელექტუალური და ფუნქციური უნარების დონე.

რეაბილიტაცია ასევე მოიცავს ოჯახურ თერაპიასაც. მისი მიზანია დაეხმაროს ოჯახის წევრებს უკეთ გაიგონ სწავლის უნარის დარღვევის ბუნება, გამოიმუშაონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთან ურთიერთობისას არის აუცილებელი. სასურველია მშობლებმა მიიღონ კონსულტაციები, ისეთი გრძნობების დასაძლევად, როგორიცაა სიბრაზე და თვით დადანაშაულება.

### ◆ გრძელვადიანი პროგნოზი

გასათვალისწინებელია, რომ სწავლის უნარის დარღვევა ქრონიკული მდგომარეობაა, რომელიც არ იკურნება. გრძელვადიანი პროგნოზი



საკმაოდ დადებითია მსუბუქი და საშუალო სწავლის უნარის დარღვევის დროს. სწორად დაგეგმილი და განხორციელებული დახმარებით, საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ, სოციალურ და პროფესიული გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის გზით, ამ ჯგუფის პირები გარკვეულწილად დამოუკიდებელნიც ხდებიან.

გაცილებით რთულია პროგნოზის გაკეთება სწავლის უნარის დარღვევის მძიმე და ღრმა ფორმის მქონე პირებთან მიმართებაში. ჩვეულებრივ, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით მოკლეა იმ სამედიცინო პრობლემებიდან გამომდინარე, რომელიც ხშირად მძიმე გონებრივ ჩამორჩენილობას ახლავს თან.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბევრ ბავშვს, დღეს შესაძლებლობა ეძლევა ჩართული იქნას ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში, სადაც ისინი აკადემიურ პროგრამებთან ერთად, სწავლობენ ყოველდღიურ საბაზისო ჩვევებს, ერთებიან სოციალურ აქტივობებში. მაშინ, როდესაც ბავშვები მოზარდობის ასაკს აღწევენ, მნიშვნელოვანია მათთვის დამოუკიდებელი ცხოვრებისა და მუშაობის უნარ-ჩვევების სწავლება. რა თქმა უნდა, ჩატარებული ტრენინგები უნდა შეესაბამებოდეს სწავლის უნარის დარღვევის დონეს.

### ◆ პრევენცია


სწავლის უნარის დარღვევის მრავალი ფორმის პრევენციაა შესაძლებელი. ფეხმძიმე ქალმა თავი უნდა შეიკავოს სიგარეტის მოწვევისგან, ალკოჰოლისა და ნაყოფისთვის მავნე მედიკამენტების მიღებისგან. დროულად და სწორად უნდა მოხდეს ინფექციების მკურნალობა. ფეხმძიმობისას, ნაყოფისთვის საუკეთესო გარემოს შესაქმნელად, მნიშვნელოვან ფაქტორს კარგი კვება წარმოადგენს.

არსებობს მრავალი გზა, რომლის საშუალებითაც ბავშვები შეიძლება დაეიცვათ სწავლის უნარის დარღვევისგან, მაგალითად, დროულად ჩავუთაროთ აცრები, რეგულარული სამედიცინო შემოწმებები, შევუქმნათ ტრავმებისგან მაქსიმალურად დაცული გარემო.



◆ ახალი უნარის ათვისება

ახალი უნარის ათვისება არის სწავლის პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდი ეცნობა მისთვის აქამდე ახალ ინფორმაციას, უნარს და მის



განხორციელებას გამოცდილებაში ნერგავს. ახალი უნარის ასათვისებლად, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნარის სწავლა უშუალო პრაქტიკითა და გამოცდილებით ხორციელდებოდეს. უნარის პრაქტიკაში გამოყენებას, სასურველია, პარალელურად, დეტალური ინსტრუქციები ახლდეს და ის შესაბამის გარემოში ხორციელდებოდეს. ამ საფეხურზე, ახალი ცოდნის მიღების წარმატებას, სასწავლი მასალის ღირებულება და მნიშვნელობა უფრო განსაზღვრავს, ვიდრე მისი სიმარტივე. ამ საფეხურზე, ასევე მნიშვნელოვანია დეტალური უკუკავშირის უზრუნველყოფა მოსწავლისთვის შესრულებული ახალი აქტივობის თაობაზე. სწავლის ამ საფეხურზე, ინტენსიური ინსტრუქციების, პრაქტიკის, სუპერვიზიის და უკუკავშირის შედეგად, მოსწავლე 50 %-ანი სიხშირიდან 85 % სიხშირით უნდა ახერხებდეს ახალი უნარის წარმატებით გამოყენებას. მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლება სწავლის ეს საფეხური წარმატებით განვლილად და უნარის გასავარჯიშებლად სწავლის ახალ საფეხურზე გაგრძელება მუშაობა.

### ◆ უნარში დაოსტატება და ავტომატიზირება


სწავლის ამ საფეხურზე ხორციელდება უნარის ავტომატიზირება და მისი შეუფერხებელი გამოყენების სწავლა. ცოდნის ათვისების ამ საფეხურის ნარმატივისთვის, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ინტენსიური პრაქტიკა. პრაქტიკისა და ცდების რაოდენობა განსხვავებულია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და დამოკიდებულია მოსწავლის ზოგად და სპეციფიკურ უნარებსა და სწავლების განვლილ ეტაპზე. მოსწავლეები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან სწავლის ამ საფეხურზე და ხშირია წარუმატებლობა ინტენსიური პრაქტიკის გარეშე.

### ◆ უნარის შენარჩუნება

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან ახალი ცოდნის ათვისებისას, გადამწყვეტია ათვისებული უნარი არ დაიკარგოს და არ გაქრეს, რასაც ხშირად აქვს ადგილი თუკი პედაგოგი შეწვეტს უნარზე ინტენსიურ მუშაობას და მიზანმიმართული განმტკიცების გამოყენებას. უნარი ხშირად შესაძლებელია გაქრეს ხანმოკლე პაუზის შედეგადაც, გამონვეული მოსწავლის ავადმყოფობით ან სასკოლო არდადეგებით. უნარის შესანარჩუნებლად, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ინტენსიური პრაქტიკა, რასაც შემდეგ უნარის რეალურ კონტექსტში გამოყენება და შესაბამისი უკუკავშირი უნდა მოყვეს. პედაგოგებსა და მშობლებს, ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ თუკი არ მოხდება უნარის ფუნქციურ და შესაბამის გარემოში გამოყენების ნახალისება, უნარი გაქრება, რა ინტენსიური და მიზანმიმართული პრაქტიკის შედეგადაც არ უნდა იყოს ის ათვისებული და თითქოსდა მტკიცედ ნასწავლი.

### ◆ გენერალიზება

გენერალიზების საფეხურის მიზანია, მოსწავლემ შესძლოს ათვისებული უნარის სხვადასხვა სიტუაციებში, გარემოსა და დროში გამოყენება. სწავლის შემდეგ, სასურველია უნარის მრავალფეროვნად გამოყენების ნახალისება. გენერალიზების საფეხური იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის გარეშე სწავლის პროცესი ნარმატივულად და დასრულებულად ვერ ჩაითვლება. გენერალიზების მიზანია მოსწავლემ ამოიცნოს შესაბამისი სტიმული და მასზე ათვისებული უნარით მოახდინოს რეაგირება. ანუ, თუკი მოსწავლე მარტივ არითმეტიკულ მაგალითებს კლასში ნარმატივ-



ბით ახორციელებს, მან უნდა შესძლოს იგივე ოპერაციის მაღაზიაში ნივთის ყიდვისას შესრულება.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან ხშირად ერთ გარემოში ნასწავლი უნარის ახალ გარემოში მექანიკურად გადატანა და გამოყენება არ ხდება, თუკი ამ უნარის გამოყენება მიზანმიმართულად არ გავარჯიშდა და ნახალისდა ახალ სიტუაციაში. საჭირო სტიმულის ან პედაგოგის მხრიდან კარნახის გარეშე, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები ხშირად ვერ ამოიცნობენ შესაბამის კავშირს სიტუაციასა და უნარს შორის და არ იყენებენ ერთ სიტუაციაში ნასწავლ და ხშირად საკმაოდ განმტკიცებულ უნარს ახალ სიტუაციაში.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან უნარის განმტკიცება იშვიათად ხდება ავტომატურად. თავდაპირველად, მასწავლებელის და/ან მშობლის მოვალეობაა გააცნოს მოსწავლეს, როგორ არის შესაძლებელი არსებული უნარის გამოყენება ახალ სიტუაციაში. ზოგიერთი პედაგოგი, სწავლის სანყის საფეხურზევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს უნარის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებას და გავარჯიშებას.

◆ ადაპტაცია

სწავლის ამ უკანასკნელ საფეხურს ადგილი აქვს თუკი მოსწავლე ახერხებს ათვისებული უნარის სახეცვლილი გზით ახალ სიტუაციაში შესაბამისი კარნახის გარეშე გამოყენებას. იმ შემთხვევაში, თუკი სტიმული, რომელიც წასწავლი უნარის გამოყენებას ბუნებრივად მოითხოვს, განსხვავდება სტიმულებისგან იმ გარემოში, სადაც სწავლება მიმდინარეობდა, მაშინ მოსწავლის ქცევაც მნიშვნელოვან სახეცვლილებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ბაზისური უნარი იგივეა, განსხვავებულია მისი გამოყენების მანერა. სწავლის წინა საფეხურების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მოსწავლე თავად ერგება სიტუაციას, თუმცა ამ საფეხურზე, თავდაპირველად, პედაგოგის მხრიდან კარნახი და წახალისება ხშირად სასარგებლოა.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის უნარის დარღვევის მქონე ყველა მოსწავლე ვერ ახერხებს სწავლის ამ საფეხურზე გადასვლას.

◆ წასწავლი უსუსურობა

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გასათვალისწინებელ ფაქტორს პედაგოგთა მხრიდან ჩარევის და დახმარების დონის სწორად განსაზღვრა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ასევე, დავალების სირთულის მიხედვით სწორად შერჩევაც. გადაჭარბებული მზრუნველობა ან რთული დავალება, ხშირად მოსწავლეს უმტკიცებს განცდას იმისა, რომ პედაგოგის და დამხმარე პირის გარეშე დავალება დაუძლეველია, ხოლო თავად ის მუდმივად წარუმატებელი. ამ ფენომენს წასწავლ უსუსურობას უწოდებენ. ხშირად, ეს მდგომარეობა ხდება მიზეზი იმისა, რომ მოსწავლე უარს ამბობს დამოუკიდებლად მუშაობაზე, მაშინაც კი, როდესაც უნარი და კონტექსტი მისთვის საკმაოდ ნაცნობი და მისაღებია. არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლე უჩვეულო მიჯაჭვულობას იჩენს დამხმარე პირების მიმართ, რუტინასა და ჩვევებს იმუშავეს და უარს აცხადებს უმნიშვნელო ცვლილებებზეც კი. მას ექმნება განცდა, რომ ის დამოუკიდებლად გარემოში ადეკვატურ და სწორ რეაგირებას ვერ გამოიწვევს და შეცდომას დაუშვებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, პედაგოგის მხრიდან დახმარების დონე, ინტენსივობა და ხანგრძლივობა სწორად იქნეს შერეული და მაქსიმალურად დროულად წახალისდეს მოსწავლის აქტიური და დამოუკიდებელი ჩართულობა ახალი აქტივობის განხორციელების პროცესში.



## 2.1. ეროვნული სასწავლო გეგმის არსი

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს ცოდნის მიღებისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს და არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ფიზიკური შესაძლებლობების თუ სხვა ნიშნის მიხედვით.

ამასთან, განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, საჭირო ცოდნის მიღებისთვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებისთვის.

მოზარდის ზემოთ აღწერილი უნარ-ჩვევების უზრუნველყოფისთვის, ზოგადი განათლების სისტემა ხელმძღვანელობს და ნერგავს სწავლების სრულიად ახალ პრინციპებს, რომლის მიხედვითაც:

- საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მიღწეული შედეგი;
- გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები;
- სწავლა ნიშნავს ინფორმაციის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების განვითარებას;
- მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი.

საქართველოს ყველა მოქალაქისთვის საპასუხისმგებლო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ამოცანები ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში (კურიკულუმში). მასში ეროვნულ მიზნებთან ერთად, განსაზღვრულია მოზარდისთვის გადასაცემი საჭირო ინფორმაციის ოდენობა და შესაბამისი უნარ-ჩვევები თითოეული საფეხურის. დამთავრებისას, ცოდნის განვითარების ზოგადი ხერხები, დაზუსტებულია მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელი ოდენობა და მითითებულია პრიორიტეტული საგნები სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში აღწერილია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოვე-

ლი მოსწავლე თითოეული კლასის დასრულების შემდეგ. ეს მოთხოვნები თითოეული მიმართულებისთვის შედეგებისა და ინდიკატორების სახითაა ჩამოყალიბებული.

## 2.2. სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეთა განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება, როგორც პრიორიტეტი 2004 წლიდან იქნა აღიარებული. ამით, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ აიღო ვალდებულება სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის უზრუნველყო ხარისხიანი განათლება ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში და შექმნას ხელსაყრელი პირობები ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად.

რამდენადაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებას ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება იგივე მიზნების მიღწევას ემსახურება, აუცილებელია მათი სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ხორციელდებოდეს. ამით, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებსაც თვითრეალიზაციის და წარმატების ისეთივე პირობები მიეცეთ, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის გამოყენებით, საგანმანათლებლო სისტემა შესძლებს სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას, იმ ცოდნის გადაცემას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მათ საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებაში დაეხმარება და ცხოვრების მაღალი ხარისხის განცდას მიანიჭებს.

ერთიანი სასწავლო გეგმა არის საუკეთესო საშუალება ჭეშმარიტად ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის.


ამ მიდგომის თანახმად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისთვის უნდა არსებობდეს ერთი განსაზღვრული (მიზნად დასახული, დოკუმენტირებული) სასწავლო გეგმა, რომლითაც იხელმძღვანელებს პედაგოგი განურჩევლად ყველა მოსწავლესთან.

შესაბამისად, მიუხედავად მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებისა, პედაგოგის უპირველესი ინტენცია, სურვილი უნდა იყოს გა-

სწავლის უნარის დახლევის მქონე ბავშვების სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში

ნავითაროს და გააძლიეროს მოსწავლე იმ ძირითად და პრიორიტეტულ საკითხებში, რაც ეროვნული საგანმანათლებლო მიზნებით არის განსაზღვრული. ის უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტად მიუახლოოს მოსწავლე გათვალისწინებულ სასწავლო შედეგებს, რადგან სჯერა, რომ დადგენილი სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის ყველა მნიშვნელოვან სასწავლო ასპექტს მოიცავს. შესაბამისად, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას, მათი სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იმავე შინაარსით უნდა იყოს დატვირთული, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული.

არსებული თანამედროვე მიდგომით, ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლებისას, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობები, უნდა გაუწიოს ანგარიში მოსწავლეთა ცხოვრებისულ გამოცდილებას და მოსწავლეთა სწავლებისას ეროვნული სასწავლო გეგმიდან მათთვის ყველაზე აქტუალურ სასწავლო მიზნებზე უნდა გააკეთოს აქცენტი. მასწავლებელმა, თავისი მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით, უნდა გააანალიზოს მათი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის, დამოუკიდებელი ცხოვრების მაქსიმალური დონის მიღწევისთვის რა სასწავლო შედეგების მიღწევაა პირველადი მნიშვნელობის, შესაბამისად, რა უნდა ისწავლებოდეს და რა ინტენსივობით.



იმავდროულად, დასაშვებია, მოსწავლეთა სწავლების პროცესში, მასწავლებელმა გადახედოს სასწავლო გეგმას და მოსწავლისთვის და/ან მოსწავლეთა გუნდის თავისებურებების გათვალისწინებით ხელახლა დაგეგმოს ის. მთავარია მასწავლებელმა სწორად განსაზღვროს თუ რა სასწავლო მიზანია ამ კონკრეტული მოსწავლისთვის მისი პიროვნული ფაქტორების და სამომავლო ცხოვრებისეული მიზნების გათვალისწინებით პრიორიტეტული.

ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას, რომ მასწავლებელმა თავად განსაზღვროს პირველადი, მეორეული, მესამეული მნიშვნელობის სასწავლო შედეგები კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის და დააზუსტოს მიზნების თანმიმდევრობა სასწავლო გეგმის ფარგლებში.

შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა იქნება მოსწავლისთვის ყველაზე შესაფერისი სასწავლო პროგრამა. მასწავლებელი აზუსტებს და ეროვნული სასწავლო გეგმიდან ირჩევს, საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, მოსწავლისთვის აქტუალურ მისაღწევ შედეგებს და განსაზღვრავს მიზნის მიღწევის (ცოდნის გადაცემის, უნარის გავარჯიშების) გზებს. დაზუსტებული სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად იგეგმება მასწავლებლის სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები (საკლასო და საშინაო), გამოყენებული მასალა, სახელმძღვანელოები. იმავდროულად ზუსტდება დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობას თუ მასალას. მასწავლებელი ცდილობს უფრო სპეციფიკური გახადოს სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის და მასში ასახოს ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო მიზანი.

თუკი, მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა ამ პერსპექტივიდან მოხდება, ეს დისკრეტული და იზოლირებული მიზნების დასახვისგან დაიცავს პედაგოგს და მის მოსწავლეს. მასწავლებელმა, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, რადგან შეუძლებელია იზოლირებულად დასახული მიზნებით ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა.

ხშირად მოსწავლის პიროვნული ფაქტორები აუცილებელს ხდის მოსწავლისთვის სასწავლო პროგრამაში არსებობდეს დამატებითი მიზნები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნაკლებად არის ხაზგასმული, მა-

გრამ მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის. ხშირ შემთხვევაში, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან, ასეთი მიზნები ყოველდღიური უნარების გაუმჯობესებით განისაზღვრება.

### **2.3. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების ტრადიციული მოდელი**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ფართოდ გავრცელებული მოდელის თანახმად, მოსწავლის ეფექტურ სასწავლო ჩართულობას, მისი პიროვნული უნარების გათვალისწინებით შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს. სასწავლო გეგმა, მოსწავლის შეფასების შედეგებს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს ეფუძნება და წლიური მიზნები, ამოცანები თუ სტრატეგიები ამ დეფიციტის შემცირებისკენ არის მიმართული. ამგვარად ფორმირებული სასწავლო გეგმა, მხოლოდ პიროვნული დეფიციტის გათვალისწინებით არის შედგენილი და ხშირად დასახული სასწავლო მიზნები, იზოლირებული პიროვნული უნარების ტრენინგს გულისხმობს, რასაც არაფერი აქვს საერთო სასწავლო გეგმასთან, რომლითაც ხდება მათი თანატოლების სწავლება. შესაბამისად, ამგვარად ფორმულირებული სასწავლო გეგმა, არ იწვევს სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლის ჭეშმარიტ ინკლუზიას სასწავლო პროცესში და იმთავითვე უზრუნველყოფს დაშვებას, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ვერ მიაღწევენ იმ სასწავლო მიზნებს და ამოცანებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული.

შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმისგან იზოლირებულად, მხოლოდ მოსწავლის პიროვნული უნარების გათვალისწინებით შექმნილმა სასწავლო გეგმამ შესაძლებელია არ შეუქმნას მოსწავლეს „პირობები ინფორმაციის მოპოვებისა და იმ უნარ-ჩვევებისა თუ დამოკიდებულებების გასანავითარებლად, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდება“. (დაწყებითი განათლების ძირითადი ამოცანა). შედეგად კი, იზოლირებულად გავარჯიშებული და/ან განვითარებული უნარი ყალიბდება, რომლის განზოგადება და შესაბამის გარემოში ადექვატური გამოყენება ვერ ხერხდება.

ახლად დამკვიდრებული მიდგომის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის საშუალება, რათა მოსწავლის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში მოხდეს და ამით უზრუნველყოს ჭეშმარიტი ჩართულობა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში.

ამ მოდელის თანახმად, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება მოსწავლის ფუნქციონირების დონის (ცოდნის და უნარების) შეფასებას საგანმანათლებლო კურიკულუმთან მიმართებაში. ინდივიდუალურ გეგმაში კი ხდება იმ საჭირო ღონისძიებების (აკომოდაციებისა და მოდიფიკაციების) განსაზღვრა, რაც მოსწავლეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნების მიღწევაში დაეხმარება.

## 2.4. ეროვნული სასწავლო გეგმის მოქნილობა

ეროვნული სასწავლო გეგმა მოქნილი დოკუმენტია და იძლევა შესაძლებლობას სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მასწავლებელი იყოს ორიენტირებული არა სტანდარტულად მოცემული ყველა შედეგის მიღწევაზე, არამედ, ინდივიდუალურ მოსწავლესა და კონკრეტულად მისთვის დასახულ მიზნებზე.

ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა შესაძლებლობას გათვალისწინებული იყოს მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურებები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები; იყოს ნამყვანი არა ცოდნის ოდენობა, არამედ ცოდნის ხარისხი; სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნას არა ერთი კონკრეტული სტრატეგია და მიდგომა, არამედ მოსწავლესთან ერთად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტი.

ამ პრინციპებზე დაყრდნობით, მასწავლებელს ეძლევა უფლება, ეროვნული გეგმის ფარგლებში, მოსწავლისთვის ინდივიდუალურად განსაზღვროს:

- სასწავლო შედეგი და ინდიკატორი;
- სასწავლო მასალა;
- სწავლისთვის განკუთვნილი დრო;
- სწავლების სტრატეგია;
- სასწავლო განრიგი;
- შეფასების სტრატეგია;
- სასწავლო გარემო (სწავლება მცირე ჯგუფში, ინდივიდუალურად, წყვილში და ა.შ.);
- პროფესიონალთა ჯგუფი (პედაგოგი, სპეც.პედაგოგი ან ფსიქოლოგი);

მასწავლებელი არ უნდა შეუშინდეს განსხვავებულობას მოსწავლეთა სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლისთვის გან-

სწავლის უნარის დახვეწის მქონე ბავშვების სწავლება ეხოვჯე  
სასწავლო ბეგმაზე დაყრდნობით



სხვაეგვარი სასწავლო გეგმის შემუშავებისას მასწავლებლის ყოველი გადაწყვეტილება იყოს არგუმენტირებული, ადეკვატურად დასაბუთებული და იმავდროულად, ეფუძნებოდეს არა სუბიექტურ მსჯელობას, არამედ პროფესიონალთა შეთანხმებულ ხედვას.

მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას, მასწავლებელმა, მთავარია, თავის სახელმძღვანელოდ გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმა, დაამუშაოს, გააანალიზოს მასში მოცემული სასწავლო შედეგები და პროფესიონალებთან შეთანხმების საფუძველზე, შეარჩიოს მოსწავლისთვის ყველაზე ოპტიმალური, თუნდაც შერჩეული შედეგი სტანდარტულად განსხვავებული საფეხურისთვის იყოს განვიწყობილი და ერთი შეხედვით შეუსაბამოდ გამოიყურებოდეს.

ეროვნული სასწავლო გეგმიდან მიზნების შერჩევის პროცესში, მასწავლებელი და პროფესიონალთა გუნდი მშობლის თანამონაწილეობით, უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი კრიტერიუმებით:

- მისაღწევი შედეგი უნდა იყოს მნიშვნელოვანი და სასარგებლო სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლისთვის;
- მისაღწევი შედეგი უნდა იყოს შერჩეული მოსწავლის განვითარების დონის და ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით;
- უნდა არსებობდეს შედეგის წარმატებით მიღწევის დიდი ალბათობა;

- მისაღწევი შედეგი უნდა იყოს მნიშვნელოვანი სასწავლო საგნის ფარგლებში.

მოსწავლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მთავარია ვიზუალური მხარეებით პრინციპით, რომ სკოლაში უნდა მოხდეს მოსწავლის ყველა პრიორიტეტული საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილება სკოლის რესურსებისა და სასწავლო გეგმის ფარგლებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლების ხანგრძლივი გეგმის შემუშავება იძენს.

მასწავლებელი, შესაძლოა, თანმიმდევრულად კი არ მიყვებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში სტანდარტულად მოცემულ მიზნებს, არამედ ირჩევდეს მოსწავლისთვის პრიორიტეტულებს. ამიტომ აუცილებელია მასწავლებელმა სასწავლო მიზნები გარკვეულ პერსპექტივაში გაანალიზოს და ამ მიზნების გათვალისწინებით, დროში განერილი გეგმა შეადგინოს. ანუ, დროის გარკვეული ეტაპისთვის მიზნის განსაზღვრის პარალელურად, მასწავლებელმა უნდა იცოდეს ამ მიზნის მიღწევის შემდეგ, კიდევ რა მიზანი ან მიზნები იქნება მისაღწევი და პრიორიტეტული.

ამ პერსპექტივით დაგეგმილი სასწავლო პროცესი დაიცავს მასწავლებელს მოსწავლის უნარების იზოლირებულად განვითარებისგან, მოსწავლეს კი გაუადვილებს განსხვავებულ დროში მიღებული ცოდნის გამოთვლიანებას.

გრძელვადიანი გეგმა დაეხმარება მასწავლებელს:

- გაითვალისწინოს მოსწავლის სპეციფიკური ინტერესები და საჭიროებები;

- გაითვალისწინოს მხოლოდ ის სტანდარტი და ინდიკატორი, რომელიც მნიშვნელოვნად განისაზღვრა მოსწავლისთვის;

- განსაზღვროს მისაღწევი შედეგების თანმიმდევრობა, რომელიც შესაბამისია მოსწავლისთვის;

გარკვეული თემების შესწავლა მოხდეს სიღრმისეულად, გარკვეულის კი შედარებით ზედაპირულად;

- პრიორიტეტულად განსაზღვრულ მიზნებს საკმარისი დრო დაეთმოს;

- მოხდეს რეგულარული კონცენტრირება (დაბრუნება) იმ პრიორიტეტულ უნარებზე, რომლებიც რეგულარულ, ხშირ პრაქტიკასა და სწავლას საჭიროებენ.



## 2.5. ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში დიფერენცირების შესაძლებლობები

- სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის სასწავლო გეგმის შედგენისას, მასწავლებელს აქვს უფლება, განსხვავებული საფეხურიდან განსხვავებული სასწავლო შედეგები შეარჩიოს და მათი მიღწევითვის იზრუნოს. ეს დასაშვებებს ხდის, რომ ერთ კლასში მასწავლებელი მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს, მათი პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, პირველი საფეხურის სასწავლო მიზნების შესაბამისად ასწავლიდეს, მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს კი სხვა საფეხურის შესაბამის მიზნებს ურჩევდეს.

- მასწავლებელს აქვს უფლება მოსწავლის გრძელვადიან გეგმაში გარკვეულ მიზნებს ტოვებდეს, რადგანაც შეუსაბამოდ მიიჩნევდეს კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებაში. მასწავლებელი არ უნდა შეუშინდეს ალბათობას, რომ მოსწავლემ კონკრეტული საფეხურისთვის განსაზღვრული ყველა შედეგი შესაძლებელია ვერ დასძლიოს. მასწავლებელს მუდამ უნდა ახსოვდეს შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპი: მთავარია ცოდნის ხარისხი და არა ოდენობა.

- ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში დიფერენცირების შესაძლებლობა, მასწავლებელს აძლევს საშუალებას მიზანზე მუშაობა მაშინაც კი გააგრძელოს, როდესაც მოსწავლე შემდეგ საფეხურზე გადადის და ერთი შეხედვით, მას ამ მიზანზე კონცენტრირება სტანდარტული მიდგომით აღარ უნდა მოეთხოვებოდეს. ასე მოსწავლეს ეძლევა საშუალება გაიწაფოს მისთვის პრიორიტეტულ უნარებში, სიღრმისეულად დაეუფლოს და განამტკიცოს ისინი, პარალელურად კი გარკვეული თემების შესახებ, მხოლოდ ზედაპირული ინფორმაცია და გამოცდილება შეიძინოს.

- მიზნების განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანია ინდიკატორების ფორმულირებაც.

იგივე მსჯელობაზე დაყრდნობით, პედაგოგს ეძლევა უფლება მოსწავლისთვის ინდივიდუალურად განსაზღვროს შედეგის შესაბამისი ინდიკატორი. მასწავლებელმა შესაძლებელია მოსწავლისთვის დასახული მიზანი მიღწეულად მიიჩნიოს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ინდიკატორი არ იყოს სახეზე. მოსწავლეს აქვს უფლება ყველა ინდიკატორი არ დააკმაყოფილოს. მასწავლებელი თავად განსაზღვრავს მო-

სწავლისთვის ინდიკატორს და მის რაოდენობას. მეტიც, მასწავლებელს შეუძლია შეამსუბუქოს ინდიკატორში წარმოდგენილი მოთხოვნები, ანუ გაამარტივოს ისინი.

ინდიკატორების შერჩევისას, მასწავლებელმა და მომუშავე გუნდმა, მშობელთან ერთად უნდა გააანალიზოს ყოველი ინდიკატორი, შეაფასოს მისი მნიშვნელობა კონკრეტული მოსწავლისთვის და მასზე დაყრდნობით გადაწყვიტოს, გამოდგება თუ არა ის შედეგების განსაზღვრისთვის.

- მოსწავლისთვის ოპტიმალური სასწავლო გეგმის შესაქმნელად, ეროვნული გეგმიდან შესაბამისი სასწავლო შედეგების შერჩევის პარალელურად, ხშირად, აუცილებელია მოსწავლისთვის დამატებითი სასწავლო შედეგების განსაზღვრა, რომლებიც სასწავლო გეგმაში არ არის მოცემული.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასწავლო მიზნები, რომელიც ცხოვრებისეული უნარების შექმნას და გაძლიერებას გულისხმობს. ასეთი უნარებია:

- ფულის მენეჯმენტი;
- უსაფრთხო ცხოვრების წესი;
- შესაბამისი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- დროში, ადგილსა და სივრცეში ორიენტაცია;
- პირადი ჰიგიენის დაცვა;
- ყოველდღიური ცხოვრების აქტივობები და ა.შ.

ხშირად, სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო გეგმებში აღნიშნული მიზნები სასწავლო კურიკულუმში გაფანტულად, სხვადასხვა საგნის ფარგლებში არის მოცემული. მასწავლებლებს კი, მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში, მათზე კონცენტრირება და მათი წამყვან სასწავლო მიზნებად განხილვა უნევთ.

შესაბამისად, პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია, სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეთა ჯგუფისთვის სასწავლო გეგმის დაზუსტების დროს, აქცენტს ეროვნული სასწავლო გეგმის იმ მიზნებზე აკეთებენ, რომლებიც მიზნად ისახავენ მოსწავლისთვის შემდეგი სფეროების განვითარებას:

- პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარება;
- კომუნიკაცია, მეტყველება და მართლწერა;
- მათემატიკური უნარები;

ცოდნა სამყაროს შესახებ (წვდომა);  
კრეატიულობა;  
ფიზიკური განვითარება.

- შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული მიზნების პარალელურად, დამატებითი თერაპიული მიზნების დაზუსტება და განსაზღვრა. ასე სკოლა შესძლებს მოსწავლის და სწავლისადმი ინტეგრირებული მიდგომის გამოყენებას, რადგან ხშირად, მოსწავლესთან გარკვეული პროგრესის უზრუნველყოფისთვის, შეუძლებელი ხდება თერაპიული და სამედიცინო მიზნების საგანმანათლებლო და სასწავლო მიზნებისგან დამოუკიდებლად განხილვა.

ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის შექმნილი დიფერენცირებული სასწავლო გეგმა იყოს დაბალანსებული და მასში ადეკვატურად გადანანილდეს აქცენტები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და მოსწავლისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრულ დამატებით მიზნებს შორის. პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრის შემდეგ, სავალდებულო და დამატებით მიზნებს შორის საჭირო ბალანსის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

რომელ მიზნებს სჭირდება რეგულარული მუშაობა, რა სიხშირით და ინტენსივობით;

რა სპეციფიკური დაგეგმარება სჭირდება მიზანზე მუშაობას;  
როგორ უნდა აისახოს ეს მოსწავლის ცხრილსა და განრიგში;  
შემდგომში რომელ მიზნებზე გაგრძელდება მუშაობა.

### 3.1. ძირითადი პრინციპები სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში მასწავლებელმა, მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, შემდეგი ძირითადი პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს:

- უნდა უზრუნველყოს ახალი უნარების განვითარება;
- უნდა უზრუნველყოს ახალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;  
უნდა უზრუნველყოს სასწავლო მიზნების შესაბამისობა მოსწავლის ასაკთან და უნარებთან;
- უნდა უზრუნველყოს შექმნილი უნარების ფუნქციური გამოყენების ნახალისება.

#### ახალი უნარების განვითარება

მოსწავლისთვის ახალი გამოწვევის დასახვა და ამით ახალი უნარის განვითარების უზრუნველყოფა, მასწავლებლის ძირითად სამუშაო მიზანს წარმოადგენს. თუმცა, უშედეგოა უნარების იზოლირებულად განვითარება, თუკი არ მოხდება მათი გენერალიზაცია და ბუნებრივად ასახვა სხვადასხვა აქტივობებსა და საგაკეთილო პროცესში. ამის გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ერთ კონტექსტში ნასწავლი და გავარჯიშებული უნარის სხვა კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობას. ასე, შესაძლებელი ხდება ერთ სპეციფიკურ საგანში ნასწავლი უნარით, მოსწავლემ შესძლოს სხვა საგნის უფრო კომპლექსურ აქტივობებში მონაწილეობის მიღება.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთთან უნარების განვითარება შესაძლებელია სულაც არ გულისხმობდეს ახალი უნარის შექმნას. ხშირ შემთხვევაში არსებული უნარის სპონტანურად ან რეგულარულად, თავდაჯერებით და მოქნილად გამოყენება ახალ სიტუაციაში ან უცნობ პირებთან, არის უნარის არსებობის დასტური.

იმავდროულად, რიგ შემთხვევებში, მოსწავლის მიერ უნარის შენარჩუნება (და არ დაკარგება, დაკარგვა გარკვეული პერიოდის შემდეგ), არის პროგრესის და მოსწავლის განვითარების სამართლიანი მაჩვენებელი.

### **ახალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

ახალი უნარების თანმიმდევრულად განვითარების პარალელურად, მასწავლებლის საზრუნავს სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლისთვის ცოდნის და ინფორმაციის არეალის გაფართოვება უნდა წარმოადგენდეს. მიუხედავად სწავლის სირთულეებისა, მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მოსწავლეს აქვს უფლება მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია, რათა შესაძლებლობის ფარგლებში, მოემზადოს ზრდასრული და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.


შესაბამისად, თუკი დანყებით საფეხურზე, მოსწავლე იღებს ინფორმაციას მცენარეთა და ცხოველთა გამრავლებისა და მათი შთამომავლობის შესახებ, საბაზო საფეხურზე (თინეიჯერობის პერიოდის დადგომისას), მოსწავლეს, შესაბამისად, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ადამიანის ფიზიკური და ემოციური ცვლილებების შესახებ ასაკის მატებასთან მიმართებაში.

### **სასწავლო მიზნების**


#### **შესაბამისობა მოსწავლის ასაკთან და უნარებთან**

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს აქვთ უფლებამიიღონ ახალი ინფორმაცია მათი ასაკის შესაბამის კონტექსტში. რასაკვირველია, სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებთან, თინეიჯერობის ასაკის დადგომის მიუხედავად, ხშირად ინტენსიურად ხდება მართლწერის უნარების განვითარებაზე მუშაობა, მაგრამ გაუმართლებელია ამ უნარების გავარჯიშება ასაკისთვის შეუსაბამო ტექსტების, მარტივი წინასასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის განსაზღვრული შინაარსების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, მართლწერის გავარჯიშებისთვის ტექსტის შერჩევისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს მოსწავლის ასაკის თავისებურებები და მისი ბუნებრივი ინტერესები ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ტექსტის სირთულე კი უნდა შეირჩეს მოსწავლის ლექსიკური მარაგის და მართლწერის არსებული უნარების გათვალისწინებით.

თუმცა, ეს მოსაზრება არ გამორიცხავს შემთხვევებს, როდესაც მოსწავლისთვის ამ ასაკობრივი ჯგუფისგან განსხვავებული და დაბალი



ასაკობრივი ჯგუფისთვის დამახასიათებელი სასწავლო კონტექსტი უფრო შესაბამისი აღმოჩნდება. მაგალითად: მიუხედავად თინეიჯერობისა, მრავალი მოსწავლე სიამოვნებით განაგრძობს საბავშვო სიმღერების მოსმენას და მათი ამისგან გადაჩვევა არ ღირს, მიუხედავად სიმღერების „ბავშვურობისა.“



სწავლის უწყობი დახმების მქონე მოსწავდეთა სწავლების სტრატეგიები  
 ეხმარები სასწავლო გეგმის იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად

მასწავლებლის მიზანს და ინტენციას, მოსწავლისთვის ახალი გამოცდილების შეთავაზება უნდა წარმოადგენდეს. ეს მოსწავლეს იმ ახალ ინფორმაციას და პერსპექტივას მიაწვდის, რასაც ის აქამდე მოკლებული იყო და დამოუკიდებლად ვერ წვდებოდა. ამ მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოზარდებთან, რომლებიც სპეციალიზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან პანსიონებში ცხოვრობენ და ამის გამო მოკლებულნი არიან შესაბამის მოდელს.

### **შეძენილი უნარების ფუნქციური გამოყენება**

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან, გადამწყვეტ მნიშვნელობას შეძენილი უნარების კლასისა და სკოლის გარეთ არსებულ კონტექსტში გამოყენება იძენს. იმავდროულად, არსებითია დამოკიდებულების დონის შემცირება და დამოუკიდებლობის, თვით ინიცირებული აქტივობების წახალისება.

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მოსწავლისთვის საგაკვეთილო კონტექსტში მიმატებისა და გამოკლების სწავლება თვითმიზანი არ არის. ეს უნარები მნიშვნელოვანი და სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც მათი საშუალებით ცხოვრებისეული და ყოველდღიური პრობლემების გადაჭრა და მოგვარება იქნება შესაძლებელი.

შესაბამისად, მასწავლებელი კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ მოსწავლე შესაძლებელია გაკვეთილზე უშეცდომოდ ანგარიშობდეს სათამაშო მონეტებით ათის ფარგლებში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგივე უნარს ის წარმატებით გამოიყენებს მაღაზიაში წვრილმანის შეძენის პროცესში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი სწორად სახავედეს ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც უნარის შეძენის და გამოყენების მანიფესტაცია მოხდება.

### **3.2. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა დიფერენცირებული სწავლება**


სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო პროცესი ხელმისაწვდომი მხოლოდ დიფერენცირებული სწავლების გამოყენებით ხდება შესაძლებელი. მოსწავლის ჩართვა ზოგად საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში და მისი სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში რეალობაა, თუკი სწორად დიფერენცირებული მიდგომა იქნება გამოყენებული.





რომელიც ერთნაირი სივრცითი მახასიათებლებით და ტექსტის სიბრტყეში ერთნაირი მდებარეობით ხასიათდებათ – თავდასაწყისად: „ა“, „ი“, „თ“, „ო“ ასოებს მოსდევდეს შექმნილი ასოები „ა“, „ა“, „ბ“, და ა.შ.

- ტემპი – შესაძლებელია მოსწავლისთვის განვსაზღვროთ მასალის ათვისების განსხვავებული ტემპი. მაგალითად, სასწავლო პროგრამა გავწეროთ თითოეულ საკითხზე მეტი დროის განსაზღვრით, ას ცალკეული თემების დამუშავებისას მოსწავლეს მეტი დრო მივცეთ.
- პასუხი – დასაშვები და მისაღები უნდა იყოს მოსწავლეებისგან განსხვავებული პასუხების მიღება. ეს ხშირ შემთხვევაში გარდაუვალია, თუკი მოსწავლისთვის განსხვავებული მასალა, შინაარსი და მიზანია განსაზღვრული.
- პერსონალის დრო – შესაძლებელია განისაზღვროს მოსწავლისთვის პედაგოგთან და/ან სხვა პროფესიონალთან დამატებით მუშაობის დრო და ეს დრო სხვადასხვა მოსწავლეებისთვის განსხვავებული იყოს.




- სწავლების სტილი – მოსწავლის თავისებურების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სწავლების მისთვის ყველაზე შესაბამისი სტილი, იქნება ეს დიდაქტიკური, გამოცდილებით მიღებული, პრაქტიკული აქტივობებით განმტკიცებული თუ ა.შ. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა ცოდნა

მიიღოს განსხვავებული საშუალებებით და გზებით — პასიური მოსმენით, აქტიური მონაწილეობით, კვლევითა და ექსპერიმენტებით და ა.შ.

- დაჯგუფება — ხშირად ცოდნის ათვისება და განმტკიცება ეფექტურია თუკი ცოდნა ინდივიდუალურად, წყვილში, მცირე ჯგუფებში ან ჯგუფურად მიიღება და გადამუშავდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსწავლისთვის მისი შესაძლებლობების და სასწავლი საკითხის გათვალისწინებით, სწორად იყოს განსაზღვრული სწავლა/სწავლება ინდივიდუალურად უნდა განხორციელდეს თუ ჯგუფურად.

### 3.3. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას რეკომენდირებული სახელმძღვანელოები



სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის გრძელვადიანი გეგმის შემუშავებისას, მასწავლებელმა იმავდროულად მათთვის ოპტიმალური სახელმძღვანელოები უნდა განსაზღვროს. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ „შერჩეულმა სახელმძღვანელომ უნდა უზრუნველყოს ეროვნულ სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში მოცემული შედეგების მიღწევა. ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ სახელმძღვანელო არ

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების სახელმძღვანელოები  
 უნივერსიტეტი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

არის თავისთავად პროგრამა, შესაბამისად, მასწავლებელი არ უნდა იყოს სახელმძღვანელოში მოცემული მასალის გავლაზე ორიენტირებული, არამედ აქცენტი გააკეთოს სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების, სავარჯიშოებისა და ილუსტრაციების გამოყენებაზე საგნობრივი სტანდარტების შედეგების მისაღწევად.

მასწავლებელს შეუძლია მიუდგეს სწავლების პროცესს შემოქმედებითად და არ გამოიყენოს რომელიმე ტექსტი ან აქტივობა სახელმძღვანელოდან, აქვს უფლება შეცვალოს დროის ხანგრძლივობა, რომელიც რომელიმე კონკრეტულ თემას ეხება, გადაანაცვლოს პარაგრაფების თანმიმდევრობა, დაამატოს საკუთარი აქტივობები და ა.შ.“

იმავდროულად, მასწავლებელს აქვს უფლება გამოიყენოს ნებისმიერი წიგნი, მაგრამ მათი არჩევისას უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად იქნება მიღწევადი ამ სახელმძღვანელოთი ის შედეგები, რომლებსაც მოსწავლისთვის განსაზღვრული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს.

შესაბამისად, თუკი რომელიმე საფეხურზე მოსწავლისთვის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ამ სკოლის მიერ შერჩეული, გრიფირებული სახელმძღვანელო არ უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას (მოსწავლის სწავლის თავისებურებებს არ ეხმაურება, სახელმძღვანელოში ნაკლებად არის მოცემული ილუსტრაციები, შრიფტია მცირე), მასწავლებელს აქვს სრული უფლება შეარჩიოს ამ მოსწავლისთვის სხვა შესაბამისი ფორმატის თვალსაჩინო მასალა, ან ცოდნა პრაქტიკული აქტივობების განხორციელებით გადასცეს.

ხშირად საგნის ათვისება გაცილებით უფრო ეფექტურად ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე აქტიურად არის ჩაბმული შესასწავლი საგნის თუ თემის პრაქტიკულად გამოცდის პროცესში. ამიტომ დასახული მიზნების მიღწევისას განსაკუთრებული ყურადღება პრაქტიკული აქტივობების გამოყენებას და უნარების ათვისებას უნდა ექცეოდეს. ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური ხდება საბუნებისმეტყველო საგნების ათვისებისას. საბუნებისმეტყველო მეცნიერების ათვისება აუცილებლად უნდა გულისხმობდეს სასიცოცხლო პროცესების, ფიზიკური და ქიმიური მოვლენების კვლევის გზით შესწავლას, შესაძლებლობის ფარგლებში პრაქტიკაში, რეალურ გარემოში გამოცდას და ცოდნის დაგროვებას არა მხოლოდ პასიურად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არამედ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

იმავდროულად, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლის საჯარო სკოლაში თანატოლებთან ერთად სწავლებისას, იგივე სახელმძღვანელო

ღვანელოს გამოყენება, რითაც სხვა მოსწავლეები ხელმძღვანელობენ, ხშირად ხელს უწყობს მოსწავლის ინკლუზიას სასწავლო აქტივობებში და კონტექსტში.

მაგალითად, თუ მოსწავლისთვის რეგულარულ კლასში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენილი, ანუ მისთვის განსხვავებული სასწავლო მიზნებია განსაზღვრული, მასწავლებელს აქვს უფლება, ამ მიზნის მისაღწევად, იგივე სახელმძღვანელო გამოიყენოს, რასაც ის დანარჩენი მოსწავლეებისთვის მიყვება, თუკი ამით მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს. მაგალითად, ასოების სწავლის პროცესში, მასწავლებელმა მოსწავლეს შესაძლებელია მესამე კლასის სახელმძღვანელო მიაწოდოს დავალებული ასოების შემოსახაზად.



თუ როგორ მოახერხებს მასწავლებელი განსაზღვრული სახელმძღვანელოს გამოყენებას დასახულის მიზნის მისაღწევად, ეს ხშირად მასწავლებლის კრეატიულ ბუნებაზე დამოკიდებული.

### 3.4. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიები

ნებისმიერი სასწავლო პროცესი მასწავლებლისა და მოსწავლის აქტიურ ურთიერთობას ემყარება, რომლის ძირითადი მიზანია ბავშვის განვითარება და საზოგადოების სრულუფლებიან და სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა სწავლების სხვადასხვა ფორმისა და სტრატეგიის გამოყენებით

სწავლის უნარზე დახედვით მსწავლეთა სწავლების სუბსტრუქტები ემოციური სასწავლო გეგმის შედგენისთვის უზრუნველყოფდა

ხორციელდება. სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების მიზანია მოსწავლეს, მისი შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მიანოდოს ის ინფორმაცია და ცოდნა, რომელიც მას დაეხმარება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ყოველი ახალი სასწავლო წელი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სიხარულითა და საუკეთესო მოლოდინებით იწყება, მაგრამ ყოველდღიური რუტინა, განმეორებადი წესები, თანდათანობით გართულებული სასწავლო მასალა თუ მასწავლებლების მზარდი მოთხოვნები სასწავლო პროცესს მოსაწყენს, უსიამოვნოს, ხშირად დაუძლეველს ხდის და მოსწავლეთა და მასწავლებელთა ენთუზიაზმიც იკლებს. ეს ყოველივე განსაკუთრებით სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებზე მოქმედებს, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, არ შეუძლიათ იმ პროგრამის დაძლევა, რასაც მასწავლებელი კლასისთვის სავალდებულოდ მიიჩნევს.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით, მასწავლებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ არ შეუძლიათ აკადემიური საგნების უმეტესობის იმ დონეზე ათვისება, რა დონეც მათ თანატოლებს მოეთხოვებათ. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის გამოყენება ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლის აკადემიური წინსვლისა და გაკვეთილში ჩართულობის უზრუნველსაყოფად. იგი სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის სასწავლო მიზნებს განსაზღვრავს, მაგრამ არა ამ მიზნების მისაღწევად საჭირო სწავლების სტრატეგიებს. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმით ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნების მიღწევა სწავლების იგივე სტრატეგიებით, რასაც ტიპიური განვითარების მქონე მოსწავლეებთან იყენებენ, ხშირად ძნელია ან შეუძლებელიც.

სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. მთავარი მოთხოვნაა, რომ მასწავლებელი იყოს შემოქმედებითი და კრეატიული, ასათვისებელი მასალის მიწოდების პასიური, ტრადიციული მეთოდის ნაცვლად, იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან აქტივობაზე დაფუძნებულ სტრატეგიებს, რაც ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმით დასახულ მიზნებს უფრო მიღწევადს გახდის.

ქვემოთ, ჩვენ განვიხილავთ სწავლების იმ სტრატეგიებს, რომელიც საერთაშორისო კვლევების თანახმად, სპეციალური საგანმანათლე-

ბლო საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლებისთვის ეფექტურ სა-  
შუალებებად ითვლება. სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული კვ-  
ლევები მოწმობს, რომ სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების  
სწავლების წარმატებულობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას შემდეგი  
ფაქტორები ახდენენ:

- მასწავლებლის ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობა;
- მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთ ნდობაზე და პა-  
ტივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა;
- გაკვეთილის სტრუქტურის ნაცნობობა;
- გაკვეთილების საინტერესო გეგმა;
- მოკლე სამუშაო პერიოდები;
- განსხვავებული აქტივობების ხშირი მონაცვლეობა;
- ინდივიდუალური ინსტრუქციები;
- სწავლების განსხვავებული სტრატეგიები;
- თვალსაჩინოებების გამოყენება;
- ადეკვატური დადებითი განმტკიცება;
- განვლილ მასალაზე ხშირი მიბრუნება კომპეტენტიურობისა და  
წარმატების გრძნობის ჩამოყალიბებისთვის;
- შეფასების სხვადასხვა ტექნიკა, რომელიც მიმართულია მოსწავ-  
ლის ამა თუ იმ უნარის განვითარებაზე და არა მხოლოდ შედეგის  
შეფასებაზე.

ამ ფაქტორებიდან ჩვენ უკვე ვისაუბრეთ რამდენიმეზე წინა თავებ-  
ში. მოცემულ თავში განხილული იქნება სწავლებისა და შეფასების სხ-  
ვადასხვა სტრატეგია, რომელსაც მასწავლებელი იყენებს, რათა:

- ა. უფრო გასაგები გახადოს მითითებები, ინსტრუქციები, შესასრუ-  
ლებელი დავალებები და შესძლოს გაკვეთილზე მოსწავლეთა ყურ-  
ადღების ხანგრძლივი შენარჩუნება;
- ბ. მოახდინოს კონკრეტული ბავშვის შესაძლებლობების გათვალ-  
ისწინებით სასწავლო მასალის მოდიფიკაცია – ადაპტაცია;
- გ. შესძლოს შეფასების სხვადასხვა ტიპის სტრატეგიების გამოყენე-  
ბა, რომელთა მიზანიც იქნება არა უბრალოდ მოსწავლის შრომის  
შედეგების შეფასება, არამედ ბავშვის სწავლის მოტივაციის გაზ-  
რდა და ამა თუ იმ უნარის განვითარების ხელშეწყობა.

სწავლის უნარის ფაქტორების შესახებ, მოსწავლეთა სწავლების სუსტეხები ემოციური სახსრების შედენის წინააღმდეგ, უნივერსიტეტში

\* \* \*

საკლასო ოთახში სწავლების პროცესი, როგორც წესი, რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ესაა სტრუქტურირებული გარემო, სადაც მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ახალ ინფორმაციას, მოსწავლეთა მხრიდან მიღებული უკუკავშირის საშუალებით (მოსწავლეთა კითხვები, მათი პასუხები მასწავლებლის კითხვებზე და ა.შ.) აფასებს, თუ რამდენად გაიგეს და აითვისეს მიწოდებული და განვლილი მასალა.

სწავლების სტრატეგიები პირობითად 3 ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს:

1. სტრატეგიები, რომელთა მიზანიაცაა მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნება გაკვეთილის მანძილზე;
2. სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეთა ჩართულობას უწყობს ხელს;
3. შეფასების სტრატეგიები.

#### **3.4.1. გაკვეთილზე მოსწავლეთა ყურადღების შემანარჩუნებელი სტრატეგიები**

წარმატებული გაკვეთილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელად მასწავლებლები მოსწავლეთა ყურადღების მდგრადობას მიიჩნევენ. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნება მთელი გაკვეთილის მანძილზე, განსაკუთრებით კი, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებისა, რომლებსაც ხშირად, ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობა ახასიათებთ, საკმაოდ ძნელია. ქვემოთ აღწერილია რამდენიმე სტრატეგია, რომელიც კვლევათა თანახმად, ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების მიქცევას, კონცენტრაციასა და ხანგრძლივ შენარჩუნებას გაკვეთილის მანძილზე.

#### **1. ყურადღების მიქცევის სტრატეგიები**


##### **ა) ყურადღების მიქცევა სენსორული სტიმულების გამოყენებით**

გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში არსებობს რამდენიმე მარტივი ვიზუალური და აუდიტორული საშუალება, რომელიც, გარდა ყველასთვის კარგად ცნობილი მიმართვებისა „ბავშვებო, მომისმინეთ“,

„გაჩუმდით, ახალი მასალა უნდა აეხსნათ“ და ა.შ. ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების მიქცევას მასწავლებლისადმი.

### ყურადღების მიქცევის ვიზუალური საშუალებები

გამოიყენეთ სხვადასხვა თვალსაჩინო ვიზუალური მასალა (ცხრილები, გრაფიკები, ვიზუალური წესები, შუქნიშნის ფერების შესაბამისი ფირნიშები), რაც გააუმჯობესებს მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციას და წინასწარი შეთანხმებისა და სწავლების შედეგად, გახდება



მათი ქცევის მაკონტროლებელი საშუალება. მაგალითად, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ნითელ ფირნიშს, ისინი ჩუმდებიან და ემზადებიან მოსასმენად. როდესაც მასწავლებელი რომელიმე მოსწავლეს მაგიდაზე დაუდებს მწვანე ბარათს, ეს ნიშნავს, რომ შემდეგ შეკითხვაზე მან უნდა გასცეს პასუხი და ა.შ.

ყესტები, საინტერესო გრაფიკული ნახატები და კომიქსები, ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღებისა და ინტერესის გაღვივებას.

გამოიყენეთ ილუსტრაციები. არაა აუცილებელი მასწავლებელი კარგად ხატავდეს, არაა აუცილებელი ნახატები იყოს რთული ან ზუსტი. ხშირად, რაც უფრო მარტივი და სასაცილოა ნახატი, მით უკეთესია ყურადღების გასაღვივებლად. ნებისმიერი მცდელობა ლექსიკონის, ცნე-


სწავლის უწყისის დახვეწის მიზნით მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიები  
 ექსპერტი სახსრადო სემინარის შედეგის წარმოდგენა



ბებისა და სხვა გაკვეთილების ილუსტრაციისა, ახდენს მოსწავლეთა ყურადღების ფოკუსირებას და აადვილებს ინფორმაციის შენახვას.

მნიშვნელოვანია მასწავლებელს ჰქონდეს მზერიითი კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა, რაც მერხების სწორი განლაგებით მიიღწევა. ამავე დროს, აუცილებელია, რომ ყველა ხედავდეს დაფას. მოსწავლეები მასწავლებლისკენ სახით უნდა ისხდნენ, როდესაც ის საუბრობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის დანახვის შესაძლებლობა, როდესაც ის აძლევს მითითებებს ან ინსტრუქციებს. მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს მერხების მოწესრიგების საშუალება და იმის აღნიშვნის შესაძლებლობა, რომ თავისი ადგილიდან ვერ ხედავენ დაფას.


ფერები ძალიან ეფექტურია ყურადღების მისაქცევად. გამოიყენეთ ფერადი მარკერები /ცარცები დაფაზე წერისას და სხვადასხვა ფერით დაბეჭდილი ტექსტები, მოახდინეთ ყურადღების ფოკუსირება ფერადი ქაღალდებისა და სანიშნეების საშუალებით. საკვანძო სიტყვები, ფრაზები, ამოცანის გადასაჭრელად საჭირო ნაბიჯები და სხვა მასალა შესაძლოა აღინიშნოს სხვადასხვა ფერით.



**ყურადღების მიქცევის აუდიტორული (სმენითი) საშუალებები**

მოსწავლეთა ყურადღების მიქცევა შესაძლებელია სმენითი გამაღიზიანებლების საშუალებით, მაგალითად, მუსიკისა და სხვადასხვა

აუდიტორული სიგნალების გამოყენებით (ქსილოფონი, მაგნიტოფონში რაიმე მუსიკალური მონაკვეთის შესრულება, ზანზალაკის ხმა, ბიპერები, ტაიმერები და ა.შ.).



ყურადღების მიქცევის კარგ საშუალებას წარმოადგენს ტაში და ტაშის განსაზღვრული რიტმი. მასწავლებელი უკრავს განსაზღვრულ რიტმს (ტაშით) და მოსწავლეები უბრუნებენ იგივე რიტმს ტაშის დარტყმით ან სხვა წინასწარ შეთანხმებული აქტივობით (მაგალითად, „ყველა მზად იყავით...“, ან „1, 2, 3, შემომხედეთ“).

**ბ) მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნება აქტიური მონაწილეობის გზით**

მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციისა და მდგრადობის შენარჩუნება მოითხოვს აქტიურ და არა პასიურ სწავლებას (Rief, 1998, 2003, 2005). აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს მოეთხოვებათ გაკვეთილის მანძილზე სწავლების სხვადასხვა ტიპის ფორმატისა და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება. 45-წუთიანი გაკვეთილის დაგეგმვა ისეა შესაძლებელი, რომ წარმოადგენდეს მთლიანი კლასის სწავლებისა და ინდივიდუალურ და მცირე ჯგუფებში მუშაობის კომბინაციას. ამ დროს, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა სახით მიიღონ მონაწილეობა საკლასო აქტივობებში.

სწავლას უნაჩივს, დახმების მქონე მოსწავლეთა სწავლების სპეციფიკაში უზრუნველყოფს სახსრების შენარჩუნების აქტივობების უზრუნველყოფას

**ახალი მასალის ახსნის წინმსწრები დისკუსია**

ნებისმიერი მითითებისა თუ დავალების მიცემამდე, ახალი ინფორმაციის მიწოდებამდე, ბუნებრივია, საჭიროა ყველა მოსწავლის ყურადღების მოპოვება და კონცენტრირება შესასრულებელ საქმიანობასა თუ ინფორმაციაზე.

მიმდინარე გაკვეთილისადმი ინტერესის გამოსაწვევად, ახალი ინფორმაციის მიწოდებამდე, სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს გაკვეთილის გეგმა, თუ რა უნდა გაკეთდეს მომდევნო 35-45 წუთის მანძილზე. გაკვეთილის გეგმა გაკვეთილს პროგნოზირებადს ხდის, რაც ხელს უწყობს როგორც ყურადღების შენარჩუნებას, ასევე ინტერესის გაღვივებას. ახალი მასალის ახსნამდე, მასწავლებელს შეუძლია დასვას ასახსნელ თემასთან დაკავშირებული კითხვა, აჩვენოს სურათი/სურათები, მოყვეს ისტორია, რომელზეც თემასთან დაკავშირებულ მცირე დისკუსიას ააგებს.


ყოველთვის, როდესაც შესაძლებელია, რეკომენდებულია ახალი მასალა, ინფორმაცია დაუკავშირდეს განვლილ მასალას, მოსწავლეთა ცოდნასა და გამოცდილებას. ახალი თემის წინმსწრები დისკუსია და შეკითხვები ეხმარებიან მოსწავლეებს წინა გაკვეთილებზე ათვისებული ცოდნა დაუკავშირონ ახალ ნასწავლსა და მოსმენილს, რაც ახალ ინფორმაციას უფრო გასაგებს ხდის და შესაბამისად, ყურადღების შენარჩუნებას უწყობს ხელს.

**- შესასრულებელი დავალების ხანგრძლივობის კონტროლი**

გაკვეთილზე შესასრულებელი დავალებებისა და აქტივობების შერჩევისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას, თუ რამდენი დროა საჭირო თითოეული დავალების შესასრულებლად, იქნება ეს ჯგუფური თუ ინდივიდუალური დავალებები. კვლევები მოწმობს — რაც უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს დავალება, მოსწავლეები მას მით ნაკლები ყურადღებითა და მონდომებით ასრულებენ. სასურველია, რომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა შესაძლებლობები და თავი აარიდოს, განსაკუთრებით სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების შემთხვევაში, ხანგრძლივ დავალებებს. ოპტიმალურია, თუ დავალება შედგება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული აქტივობისგან, რომელთაც მცირე დრო ესაჭიროებათ.

- გაკვეთილის ახსნის პროცესში არასრული გეგმების, დავალებების გამოყენება

მოსწავლეთა აქტიურობის შენარჩუნების კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს ე.წ. არასრული გეგმების გამოყენება. როდესაც მასწავლებელი ხსნის გაკვეთილს ან კითხულობს ახალ ტექსტს, მოსწავლეებს ევალებათ წინასწარ დარიგებულ ტექსტებში ან ნახატებში შეავსონ გამოტოვებული სიტყვები იმის საფუძველზე, თუ რა თქვა ან დანერა მასწავლებელმა.



**გ) მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნება დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში**

ზოგიერთ მოსწავლეს განსაკუთრებით უჭირს ყურადღების კონცენტრაციისა და პროდუქტულობის შენარჩუნება დამოუკიდებელი და მჯდომარე სამუშაოს შესრულების დროს (Rief, 2003, 2005). მათ შესაძლოა ეფანტებოდეთ ყურადღება, ავინყდებოდეთ დავალება, რომელიც უნდა შეასრულონ, ან არ შეეძლოთ დამოუკიდებლად მუშაობა. ამ შემთხვევებში შესაძლოა შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებამდე, სასურველია დანერილებითი ინსტრუქციის, მითითებების მიცემა თვალსაჩინოებების გამოყენებით, თუ რა უნდა გააკეთონ;

გადამოწმება, თუ რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა დავალება;

სწავლეთა ენობრივი უნარების განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაა მათთვის საინტერესო და სახალისო მასალების გამოყენება. მასწავლებელი უნდა შეძლოს მათთვის საინტერესო მასალების არჩევა და მათთვის საინტერესო მასალების გამოყენება.

- მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება დამოუკიდებელი სამუშაოს შერჩევისა და მიცემისას. მაგალითად, ნიკას 5 წუთი შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, ხოლო ნინის – 3 წუთი, შესაბამისად მიცემული დავალების ოდენობა სასურველია, რომ ამ დროში დასრულებადი იყოს;

დამოუკიდებლად მუშაობისთვის ყველა საჭირო მასალის არსებობა ნებისმიერი გამამართლებელი მიზეზის თავიდან ასაცილებლად. სასურველია მასწავლებელს ჰქონდეს დამატებითი მასალა/სახელმძღვანელო მოუმზადებელი მოსწავლეებისთვის;

ეფექტურია დავალების მიცემისას მოსწავლეების შესასრულებელი დავალების წერილობითი ნიმუშით ან აქტივობების ჩამონათვალით უზრუნველყოფა. დავალებათა ცხრილი ასევე ხელს შეუწყობს დამოუკიდებელ მუშაობას. შეიძლება მოსწავლეებს ვასწავლოთ დავალების იმ პუნქტის გადახაზვა, რომელიც უკვე შეასრულეს;

- დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას დამხმარეს როლში, შესაძლოა, ჩაერთონ თანაკლასელები (პეერ ტუტორინგ). როდესაც მასწავლებელი კლასში ერთ ჯგუფს აძლევს წერილობით დავალებას და მეორეს – წასაკითხს, შესაძლოა მას არ ჰქონდეს დრო გასცეს პასუხი წერილობითი დავალების შესრულებით დაკავებული მოსწავლის კითხვაზე. ამ შემთხვევაში დავალების შესრულების დაწყებამდე, სასურველია მიღწეულ იქნას შეთანხმება, რომ შეკითხვის გაჩენის შემთხვევაში, მოსწავლემ ჯერ კითხოს მის გვერდზე მყოფს და მხოლოდ შემდეგ შეაწყვეტიოს მასწავლებელს მუშაობა მეორე ჯგუფთან;

შესაძლებელია რაიმე ტიპის სიგნალზე შეთანხმება, რომელსაც მოსწავლე თავისი მერხიდან გამოიყენებს დახმარების საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, ფერადი ბარათების გამოყენება, რომელსაც მოსწავლე აღმართავს, რათა ხმაურის გარეშე შეატყობინოს მასწავლებელს, რომ დახმარება სჭირდება;

- მასწავლებელს სასურველია გამზადებული ჰქონდეს შესასრულებელ დავალებაზე მარტივი დავალება, რომელსაც მოსწავლეს მისცემს იმ შუალედში შესასრულებლად, სანამ შეძლებს მისთვის დახმარების განცევას;

- დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში რეკომენდებულია, მასწავლებელი აფასებდეს მოსწავლეთა მუშაობას, მიდიოდეს კონკრეტულ მოსწავლეებთან, დადიოდეს მერხებს შორის, დროულად რეაგირებდეს მოსწავლეთა ქცევაზე;



## 1. ჯგუფური მუშაობის დაგეგმვა

მცირე ჯგუფებში მუშაობის დაგეგმვისას მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს:

- აქტივობა/აქტივობები;
- ჯგუფური მუშაობისთვის საჭირო მასალები;
- ჯგუფებად დაყოფის პრინციპი და ჯგუფებში შემავალი მოსწავლეების რაოდენობა;
- ჯგუფში როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილების პრინციპი (შესასრულებელი დავალების/აქტივობის განაწილების პრინციპი ჯგუფის წევრებს შორის);
- განსაზღვროს, თუ რა დრო დაეთმობა ჯგუფურ მუშაობას;
- განსაზღვროს, თუ როგორ მოხდება მცირე ჯგუფში მიღწეული შედეგის გაზიარება კლასისთვის და როგორ დაუკავშირდება ეს გაკვეთილის თემას.

## 2. ჯგუფური მუშაობის განხორციელება

### - აქტივობის/დავალების არჩევა

მცირე ჯგუფებში შესაძლებელია ისეთი აქტივობის განხორციელება, რომელიც შემდეგ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს:

1. აქტივობა შედგება რამდენიმე დავალებისგან, რომელიც შეიძლება განაწილებულ იქნას ჯგუფის წევრებს შორის ან შეიძლება იყოს ერთი დავალება. მაგალითად, რაიმე საკითხთან დაკავშირებით გონებრივი იერიში<sup>2</sup>, სადაც ყველა მონაწილეს აზრი მნიშვნელოვანია;
2. აქტივობა ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და დისკუსიას, ერთობლივ მოქმედებას საჭიროებს.

მცირე ჯგუფებში შეიძლება მოხდეს ისეთი დავალებების შესრულება, როგორიცაა ახალი მოთხრობის შინაარსის გააზრება, მასალების გამოკვლევა – შესწავლა და ა.შ.

---

2 გონებრივი იერიში წარმოადგენს პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ მოსაზრებების ჯგუფური მოფიქრების პროცესს. ამ მეთოდის გამოყენებისას ჯგუფი ერთობლივად ფიქრობს პრობლემის გადაჭრის გზებზე და საშუალებებზე, როდესაც არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები.

**- მასალების მომზადება**

მასნაველებელმა შეიძლება თვითონ მოამზადოს, ან მოსნაველებს დაავალოს მცირე ჯგუფში სამუშაოდ საჭირო მასალების მომზადება. მაგალითად, თუ მასნაველებელს უნდა ბუნების მოვლენებზე გაკვეთილის ახსნა, მას შეუძლია მოსნაველებს დაავალოს შეაგროვონ და მოიტანონ ბუნების სხვადასხვა მოვლენის ამსახველი მასალა. მომზადებული მასალა ყველა ჯგუფისთვის საკმარისი უნდა იყოს.

**- ჯგუფის ზომა და შერჩევის პრინციპი**

ჩვეულებრივ მცირე ჯგუფში შემავალი მოსნაველების რაოდენობა მერყეობს 2-დან 5 მოსნაველემდე, მაგრამ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსნაველების შემთხვევაში, სასურველია ჯგუფში 3 მოსნაველეზე მეტი არ შედიოდეს და მასნაველებელმა ჯგუფებში მოსნაველეთა განაწილებისას, ეცადოს განსხვავებული შესაძლებლობების მქონეთა დაჯგუფება. ეს გაზრდის მათი ერთმანეთისგან სწავლებისა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების ალბათობას.

**- მოსნაველეთა ჯგუფში ორგანიზება**

სასურველია მასნაველებელმა ჯგუფის წევრებს შორის როლები მაქსიმალურად მკაფიოდ და ნათლად გაანაწილოს, რათა ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავისი შესაძლებლობების შესაბამისად შეიტანოს წვლილი ჯგუფურ მუშაობაში.

**- ჯგუფური მუშაობის დროის განსაზღვრა**

მასნაველებელმა მოსნაველებს მუშაობის დაწყებამდე უნდა აუხსნას, თუ როგორ მოხდება დროის კონტროლი, რამდენი დრო დაეთმობა დავალების შესრულებას და შემდგომ კლასისთვის გაზიარებას.

45 წუთიანი გაკვეთილის შემთხვევაში, სასურველია მცირე ჯგუფებში მუშაობას დაეთმოს სულ მცირე 25 წუთი, საიდანაც 5 წუთი ჯგუფებად დაყოფასა და მოსნაველეთა შესაბამის გადანაწილებას და დავალების ახსნას დაეთმობა, 10 წუთი გამოყოფილი იქნება უშუალოდ ჯგუფური მუშაობისთვის და მთლიანობაში 10 წუთი – მიღებული შედეგების კლასისთვის გასაზიარებლად.

სწავლის ენაობის დარღვევის შესახებ ინფორმაციის მქონე მისხარედევი სწავლების სპეციალისტები ერთმანეთს სხვადასხვა სახის წყვილად შეიძლება შეიქმნოს სხვადასხვა სახის წყვილად შეიქმნოს სხვადასხვა სახის წყვილად შეიქმნოს



— მცირე ჯგუფის მუშაობის შედეგების კლასისთვის გაზიარება

ჯგუფური მუშაობის დასრულება, როგორც წესი, კლასისთვის მიღებული შედეგების გაზიარებით ხდება, რაც მთავრდება მასწავლებლის მიერ ჯგუფების მუშაობის შეჯამებითა და გაკვეთილის თემასთან, განვლილ მასალასთან დაკავშირებით.

— ბ) მეთოდები წყვილებში სამუშაოდ და საპასუხოდ

წყვილებში მუშაობა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის გასაზრდელად (Rief, 2003, 2005). მოცემული ტექნიკა გულისხმობს მოკლე



დიალოგებს ორ მოსწავლეს შორის. წყვილებში მუშაობა სასარგებლოა შთაბეჭდილებების გაზიარებისთვის, ინფორმაციის შეჯამებისთვის, ინსტრუქციებისა და დავალებების უკეთ გაგებისათვის, დაზეპირებისა და გავარჯიშებისთვის (ლექსიკონი, სიტყვების ფონოლოგიური ანალიზი, მათემატიკური წესები), ტექსტის კითხვის განაწილებისთვის, წაკითხული მასალის განხილვისა და წერითი დავალებების გაზიარებისათვის. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია თქვას:

„მიტრიალდით თქვენს მეზობელთან და გაუზიარეთ თქვენი მოსაზრება... შესახებ“.

„დაეხმარეთ ერთმანეთს ამის გაკეთებაში“.

წყვილებში მუშაობა შეიძლება სტრუქტურირებული იყოს არაფორმალურად („მიბრუნდი შენს გვერდით მჯდომისკენ,) ან მასწავლებელმა შესაძლოა დანყვილების სხვა მეთოდი გამოიყენოს (1, 2-დ გათვლა, დაბადების დღეების მიხედვით დანყვილება და ა.შ.), შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია მენყვილებს სხვადასხვა დავალება მისცეს, მაგალითად, „1“, უთხარი შენს მენყვილეს შენი მოსაზრება შემდეგი გვერდის შესახებ,“

მენყვილებს შეუძლიათ ერთმანეთის ნაშრომის შემოწმება მასწავლებლისთვის ჩაბარებამდე.

დანყვილების პრინციპის გათვალისწინებით, მენყვილებს ეძლევათ ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლების საშუალება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებისთვის, რადგან ხელს უწყობს მათი ყურადღების შენარჩუნებასა და დავალებაზე პარტნიორთან ერთად პროდუქტულ მუშაობას.

**3.4.3. გამოკითხვის სტრატეგიები, რომლებიც აუშჯობესებენ მონაწილეთა მონაწილეობასა და ჩართულობას გაკვეთილის პროცესში**

✓ **ა) კითხვის დასმის ხერხები**

კითხვა-პასუხი საგაკვეთილო პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაწილია. კითხვაზე პასუხებით მასწავლებელს შეუძლია, როგორც მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება, ასევე ინტერესის აღძვრა, ახსნილი მასალის გაგების ხარისხის შემოწმება, ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა და ყველა მოსწავლის აქტიური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სწორად ფორმულირებული და გააზრებული კითხვები შეიძლება ძლიერი იარაღი გახდეს მასწავლებლისთვის სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის სწავლების პროცესში.

ტრადიციული კლასების უმრავლესობაში, მასწავლებელი კითხვას უსვამს ერთ კონკრეტულ მოსწავლეს, ხოლო დანარჩენი კლასი ამ დროს ჩუმად უნდა იყოს და მასწავლებელი – მოსწავლის საუბარს უნდა უსმენდეს. ზოგიერთ კლასში, შესაძლოა გავიდეს დღეები, კვირები და

სწავლის უნარის დახურვევის აქონე მისწავლეთა სწავლებლის სტილთუთიბი უთიქველი ხასწავნი აებების სერდამისაწდომილის უბიქველსაყილდე

ზოგჯერ თვეებიც, სანამ რომელიმე მოსწავლეს მიეცემა საშუალება დანარჩენ კლასს თავისი აზრები და იდეები სიტყვიერად გაუზიაროს. მასწავლებლები ხშირად ასეც იქცევიან:

- იძახებენ ერთ მოსწავლეს სახელით და უსვამენ კითხვას (ეს დანარჩენი კლასისათვის ავტომატური მინიშნებაა, რომ მათ არ უნდა გასცენ პასუხი ამ კითხვაზე).
- სვამენ კითხვას და მოელიან დაუყოვნებლივ პასუხს; მოსწავლეს არ ეძლევა დრო ინფორმაციის გადამუშავებისა და პასუხის მოფიქრებისთვის.
- ერთი და იგივე 6 ან 7 მოსწავლის გამოძახება, ვისგანაც მასწავლებელი მოისმენს სასურველ პასუხს.
- მოსწავლეთა უმეტესობის იგნორირება მათ მიერ ხელის აწევის შემთხვევაშიც კი.
- დაბალი მიღწევის მქონე მოსწავლეების უფრო იშვიათი გამოკითხვა მაღალი მიღწევის მოსწავლეებთან შედარებით.
- იმ კითხვების ძალიან მცირე ოდენობით დასმა, რომელიც მოითხოვს მაღალი დონის კრიტიკული აზროვნების უნარებს.

ხშირად მასწავლებლები მათთვის დამახასიათებელი გამოკითხვის პატერნს ვერ აცნობიერებენ და გაცემბულები რჩებიან, როდესაც აღმოაჩენენ, თუ რომელ მოსწავლეებსა და რა სიხშირით იძახებენ. გარდა ამისა, არსებობენ მოსწავლეები, რომლებიც გაკვეთილის მანძილზე, რაღაცა მიზეზთა გამო, უფრო პასიურები არიან, ვიდრე აქტიურები.

ქვემოთ მოყვანილია ზოგადი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს ყველა მოსწავლის ჩართვას გამოკითხვის პროცესში:

- გაკვეთილის ისეთი ფორმატი, რომელიც ითვალისწინებს მთელი კლასის, ჯგუფის, მენყვილესა და ინდივიდის პასუხებს;
- კითხვაზე პასუხის მოთხოვნამდე, ყველა მოსწავლეს ეძლევა საშუალება ჩაინერონ, მონიშნონ პასუხი მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვაზე. შემდეგ ხდება მოხალისეების გამოძახება კითხვაზე ზეპირი პასუხის მისაღებად;
- გაკვეთილის ისეთი ფორმატი, რომელიც მცირე ჯგუფებად ან ნყვილებად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა მოსწავლეთა მაქსიმალური მონაწილეობისთვის;
- შესაძლებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოძახების აღ-

ტერნატივების გამოყენება; მაგალითად, მოსწავლე პასუხს მენყვილეს აძლევს, პასუხობს წერილობით ან ხატვით;

- ეფექტურია ღია კითხვების დასმა, რომლებიც მსჯელობას მოითხოვენ და ახდენენ კრიტიკული აზროვნებისა და დისკუსიის სტიმულირებას;
- სასურველია მოსწავლეების არასრული პასუხების დაკონკრეტების მასტიმულირებელი შეკითხვების დასმა, მაგალითად, „მეტი მითხარი“, „როგორ მიხვედი ამ პასუხამდე?“ და ა.შ.;
- რეკომენდებულია მასწავლებელი რომელიმე კონკრეტული მოსწავლის გამოძახებამდე დაელოდოს, სანამ რამდენიმე მოსწავლე აიწევს ხელს პასუხის გასაცემად.

ძალიან მნიშვნელოვანია გამოკითხვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, რათა მოსწავლეებს სწავლების პროცესში ხშირად უწევდეთ პასუხის გაცემა. ქვემოთ მოცემულია ტექნიკები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას კლასში, მცირე ჯგუფებსა და წყვილებად მუშაობისას.

**- სწორი კითხვების დასმა მოსწავლეთა აზროვნების სხვადასხვა დონის სტიმულირებისთვის**

მასწავლებლებისთვის კარგად არის ცნობილი ბლუმის ტაქსონომია, სადაც ბლუმი აზროვნების 6 დონეს აღწერს, რომლის გააქტიურებაც შესაძლებელია შესატყვისი კითხვების დასმით. ეს დონეებია ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, შეფასება და სინთეზი. ბლუმის ტაქსონომია გვეხმარება, დავუსვათ მოსწავლეებს ისეთი კითხვები, რომლებიც მათ აზროვნებას ასწავლის. ქვემოთ დანვრილებითაა აღწერილი თითოეული დონის შესაბამისი აქტივობები, რომელთა საშუალებითაც მასწავლებელს შეუძლია წინასწარ, გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში განსაზღვროს, თუ რა ტიპის კითხვებს დასვა მს ყველა მოსწავლის ჩართვისა და აზროვნების ხელშეწყობისთვის.

- ცოდნა: თქვი, ჩამოთვალე, განსაზღვრე, დაარქვი სახელი.

გაგება: დაჯგუფება გარკვეული ნიშნის, მახასიათებლის მიხედვით, ახსნა, იდენტიფიკაცია, აღწერა, განხილვა, ჩვენება, განმეორებითი მოყოლა.

- გამოყენება: დემონსტრაცია, ჩაწერა, კონსტრუირება, ილუსტრირება, ინტერპრეტაცია, დიაგრამა, პრაქტიკა.

- ანალიზი: შედარება, კატეგორიზაცია, კლასიფიკაცია, გამოკვლევა, გადაჭრა.

სწავლის უზრუნველყოფის მხარე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიები  
უნივერსალი სასწავლო პედაგოგის სემინარი

- შეფასება: შეფასება, ღირებულების განსაზღვრა, დამტკიცება, ნი-  
ნასწარმეტყველება, გადანყვეტა, გადამონმება.

- სინთეზი: შედგენა, დიზაინი, შექმნა, ტრანსფორმაცია, ფორმუ-  
ღირება.

**- კითხვები ტექსტის გაგებისათვის**

ძალიან ხშირად ბავშვებს უჭირთ ნაკითხულის შინაარსის გაგება და მისი დაკავშირება საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან .ან იგივე ტექსტის წინა აბზაცთან. მოცემული ტექნიკა მასწავლებელს საშუალე-  
ბას აძლევს დასვას თვითონ და ასწავლოს მოსწავლეებსაც უშუალოდ კითხვის პროცესში დაუსვან საკუთარ თავს და კლასელს/მენყვილეს კითხვები, რომლებიც გაუადვილებთ ტექსტის გაგებას. ქვემოთ მოცე-  
მულია კითხვების ნიმუშები, რომელთა დასმაც ხელს უწყობს ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებას (Mooney, 1995; Schaffer, 1989).

„თქვენი აზრით, მერე რა მოხდება?“

„თქვენი აზრით, . . . რას ფიქრობს?“

„როდესმე გიგრძენიათ იგივე, რაც . . . ?“

„მოთხრობის რომელ გმირს აირჩევდით მეგობრად? რატომ?“

„თქვენი აზრით, რის თქმას ცდილობს ავტორი მოთხრობის მანძილზე?“

„მოთხრობაში რა ადგილები მიუთითებს ამაზე?“

„რა წიგნები ნაგიკითხავთ იგივე თემაზე?“

„რამ გამოიწვია . . . ?“

„როგორ ფიქრობთ . . . ჰგავდნენ თუ განსხვავდებოდნენ?“

„რამდენად განსხვავებული იყო. . . წიგნის ბოლოს? რამ გამოიწვია ეს?“

„რა გავლენა მოახდინა . . . ამაზე?“

„აბზაცის მიხედვით, რამ გამოიწვია . . . ?“

„თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა . . . ?“

„თქვენი აზრით, რომელ გმირს იცნობთ ყველაზე მეტად? რატომ? კიდევ ერთხელ ნაკითხეთ მოთხრობა, რათა დაინახოთ, თუ რისი პოვნა შეგიძლიათ კიდევ ამ გმირის შესახებ.“

„გადაკითხვისას, დაფიქრდით, თუ რა სიტყვები გამოიყენა ავტორმა რათა . . . (ეჩვენებინა ნაწარმოების გმირების ხასიათი, ემოციები და ა.შ. ).“

„როდესმე ყოფილხართ მსგავს სიტუაციაში?“


### ბ) პასუხის გაცემის ალტერნატივები

#### - კლასის ერთხმად პასუხის მეთოდები

დღის მანძილზე მასწავლებლები იყენებენ გაკვეთილისა და სწავლების სხვადასხვა ფორმატებს (მთელი ჯგუფი, მცირე ჯგუფი, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა). გაკვეთილი ისეა აწყობილი, რათა გამოყენებულ იქნას ყველაზე სასარგებლო ფორმატი სწავლის სხვადასხვა ამოცანების შესასრულებლად. მიუხედავად იმისა, რომ არაა რეკომენდირებული დიფერენციალური სწავლების საკლასო ოთახში მთელი ჯგუფის გამოკითხვის ჭარბი გამოყენება, ეს სტრატეგია საჭიროა და წარმატებული სხვადასხვა დროს, დღის ან გაკვეთილის მანძილზე (მაგალითად, დაწყება – დამთავრების აქტივობები, ახალი ცნებების ახსნა და ა.შ.). ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე რეკომენდირებული ტექნიკა, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას მთელი კლასის გამოკითხვის დროს (Rief, 2003, 2005).

#### - გუნდური პასუხები

მასწავლებელმა შეიძლება დაავალოს მოსწავლეებს ლექსის ან ტექსტის პატარა აბზაცის ხმამაღლა, ერთხმად წაკითხვა და/ან თქმა. სიმღერების ერთობლივი შესრულება, გადამონმება მთელ კლასთან ერთად



სწავლის ენაობის დახდენის, მქონე მოსწავლეთა სწავლების სუბსტრუქტურა  
 ეზონდენი სახსნადო გეგმის ხედობის წინდონის ეზონდენი

მათემატიკური ნესების ცოდნის, ასეთი გუნდური პასუხის მაგალითებია. მთელ კლასთან მუშაობის პროცესში ეფექტურია გუნდური პასუხის გამოყენება, როდესაც დასმულ კითხვაზე არსებობს ერთი სწორი და მოკლე პასუხი. გუნდური პასუხების დროს მთელი კლასი იღებს მონაწილეობას, აქტიურადაა ჩართული და ამ შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლესაც ეძლევა საშუალება მიიღოს აქტიური მონაწილეობა საერთო საკლასო აქტივობაში.

მნიშვნელოვანია მოსწავლეების მომზადება გუნდური პასუხებისთვის. კერძოდ, მასწავლებელი, ამ მეთოდის გამოყენებამდე, მოსწავლეებს ავარჯიშებს სიგნალის შემდეგ, ერთხმად პასუხის გაცემაში.

მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვებათ პირდაპირ მასწავლებელს უყურონ. მასწავლებელი, როდესაც სვამს კითხვას, ხელს ზევით ისე წევს, როგორც ტრანსპორტის გაჩერებისას. მასწავლებელს ხელი აწეული აქვს მცირე დროის მანძილზე, რათა მოსწავლეებს პასუხის მოფიქრების დრო მისცეს. შემდეგ მასწავლებელი იძლევა ვერბალურ სიგნალს (მაგალითად, „ყველა . . .“, ან „მზად ხართ . . .“), იცდის ერთი წუთი და შემდეგ აწვდის ვიზუალურ სიგნალს, რომელიც წინასწარ აჩვენა მოსწავლეებს, როგორიცაა ჟესტი ან აწეული ხელის ჩამოწევა. ამ სიგნალის მიხედვით, მოსწავლეები ერთხმად ხმამაღლა ამბობენ პასუხს (Engelmann, Hanner, & Johnson, 1999; Archer, Gleason, & Vachon, 2000). მოსწავლეთა გუნდური პასუხის შემდეგ შესაძლოა ინდივიდუალური პასუხის მისაღები კითხვის დასმა: „როგორ მიხვდი სწორ პასუხს?“

#### - ჯგუფური პასუხები ინდივიდუალური დაფების გამოყენებით

მოსწავლეთა უმეტესობას (განსაკუთრებით დასწავლის უნარის დაქვეითების, ჰიპერაქტივობისა და ყურადღების დეფიციტის სინდრომის მქონეთ, ანუ მათ, ვისაც ხშირად უჭირს დამოუკიდებელი დავალების შესრულება) მოსწონს ფერადი მარკერებითა და ფლომასტერებით სპეციალურ დაფებზე წერა. ჯგუფური პასუხების მიღების კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს კლასისთვის კითხვის დასმა, პაუზა მოსაფიქრებელი დროისთვის და შემდეგ მოსწავლეებისთვის დავალების მიცემა, ჩანერონ თავისი პასუხები ინდივიდუალურ დაფებზე. მასწავლებლის სიგნალის შემდეგ („დაანწყვეთ დაფები“), მოსწავლეები აწყობენ თავის დაფებს, რათა მასწავლებელმა ნახოს ისინი და სწრაფად შეაფასოს, რომელმა მოსწავლემ უპასუხა სწორად და ვის სჭირდება დამატებითი დახმარება.

ყველა ასაკის მოსწავლეს მოსწონს დაფებზე წერა, რაც შეიძლება ნებისმიერ გაკვეთილზე იქნას გამოყენებული მოკლე პასუხებისათვის (მაგალითად, მათემატიკური დავალებების ამოხსნა, ან სიტყვათა ფონოლოგიურ ანალიზში ვარჯიში). სწორი გამოყენების შემთხვევაში, ისინი ასევე ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის ათვისების შესაფასებლად და იმ მოსწავლეთა განსაზღვრისთვის, ვისაც დამატებითი დახმარება და ვარჯიში სჭირდება.

**- ჯგუფური პასუხები წინასწარ დამზადებული საპასუხო ბარათების გამოყენებით**

წინასწარ დაბეჭდილი პასუხის ბარათები და მარაოები ძალიან ეფექტური და პრაქტიკული საშუალებებია გაკვეთილებზე მოსწავლეთა აქტივობის გასაზრდელად. ნებისმიერი წინასწარ დაბეჭდილი საპასუხო ბარათი მოსწავლისათვის ადვილი გამოსაყენებელი უნდა იყოს. ეს შეიძლება იყოს ბარათები აცმული ლითონის რგოლზე, ან მარაოსავით დამაგრებული, ასევე შესაძლოა ერთი მუყაოს ფორმატის ქაღალდის გამოყენება, რომელიც დაყოფილია სექციებად პასუხების ვარიანტებით. პასუხის მითითება, ამ შემთხვევაში, მოსწავლის მიერ ხდება მაგალითად, ტანსაცმლის სამაგრის მიმაგრებით მისი აზრით სწორ პასუხზე.

როდესაც მასწავლებელი სვამს კითხვას, მოსწავლეები ირჩევენ პასუხს პასუხების ბარათებიდან რაიმე მანიშნებლის მიმაგრებით. ბარათებზე პასუხები ორივე მხრიდან უნდა ეწეროს, ისე, რომ მოსწავლე და მასწავლებელი ერთდროულად ხედავდნენ ნაწერს. მოცემული სტრატეგიის გამოყენება შესაძლოა ნებისმიერი შინაარსის გაკვეთილზე, ნებისმიერ დონეზე.

ქვემოთ მოცემულია წინასწარ დამზადებული საპასუხო ბარათების გამოყენების რამდენიმე სფერო მასალის გამეორებისთვის:

- ხმოვანი ბგერის გამოყოფა სხვადასხვა სიტყვებში (ა, ე, ი, ო, უ);
- კონკრეტული სიტყვის კუთვნილება მეტყველების ნაწილთან წინადადებაში (არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი, ზმნიზედა);
- მათემატიკის ამოცანა, რომელიც მოითხოვს პრობლემის (მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა) გადაჭრას;
- მრავალპასუხიანი დავალება (ა, ბ, გ, დ);
- მეტი ვიდრე, ნაკლები ვიდრე, ტოლი;
- ცნება, რომელიც შეესაბამება მოცემულ მაგალითს (იდიომა, პერსონიფიკაცია, ალიტერაცია).

სწავლის დახმარების მქონე მოსწავლეთა სწავლების სპეციალისტი  
ქრისტინა სანტანერა  
სტრატეგიების სერიაში



### გ) ცოდნის შემონახვის, გამოკითხვის სტრატეგიები

ყველა მოსწავლისათვის ცოდნის გამოვლენისა და მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების მიცემაში დასარწმუნებლად, სასურველია შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

- მოსწავლეთა გამოძახება სპეციალური სიის საშუალებით, რომელიც დღის ან კვირის მანძილზე ყველა მოსწავლის გამოძახებას უზრუნველყოფს, მთავარია მოსწავლეებმა არ შენიშონ გამოკითხვის სისტემატურობა;

- მოსწავლეებს მოსწონთ გამოძახების ახალი და უჩვეულო მეთოდები, როგორცაა მაგალითად, „ყველა, ვისაც უკეთია საყურე, ადგეს. ეს კითხვა თქვენთვისაა...“, „ნებისმიერს, ვისი დაბადების დღეცაა იანვარში, თებერვალში ან მარტში, შეუძლია პასუხის გაცემა ამ კითხვაზე“, და მხოლოდ დასახელებული ჯგუფების მოსწავლეებს შეუძლიათ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა;

- კითხვის დასმასა და პირველი მოსწავლის გამოძახებას შორის, პასუხის მოსაფიქრებლად აუცილებელია დროის გარკვეული შუალედის დატოვება. Meri Bad Rous (1974) და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევები მოწმობენ, რომ საშუალოდ კითხვის დასმასა და გამოკითხვის დაწყებას შორის, მასწავლებლები მისაღებ დროდ თვლიან 1-დან 3 წამამდე (Souca, 2001). თანამედროვე კვლევები მოწმობს, რომ პასუხის მოსაფიქრებლად აუცილებელია მოსწავლეებს, სულ მცირე, 5 წამი მაინც უტოვდეთ. მოსწავლეთა უმეტესობას, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს, კითხვის აუდიტორული გადამუშავებისთვის, საკუთარი აზრების თავმოყრისა და გადმოცემისათვის, მეტი დრო სჭირდებათ. წყვილებში მუშაობა ამ თვალსაზრისით ძალიან სასარგებლო სტრატეგიაა, რადგან საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ინდივიდუალურად პასუხის გაცემამდე თავისი მოსაზრებები გაუზიაროს მენწყვილეს. ეს ავტომატურად მეტ მოსაფიქრებელ დროს აძლევს კითხვაზე დასაფიქრებლად და პასუხის გასაცემად.

#### 3.4.4. შეფასების სტრატეგიები

როგორც წესი, მოსწავლის შეფასება ხდება დროის ერთი მონაკვეთიდან მეორემდე მიღებული ნიშნების საფუძველზე. შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ მოსწავლის მიღწევის დონე რამდენად შეესაბამება მისი თანატოლების დონეს, მისაღები დონის ზევითაა

თუ ქვემოთ, რამდენად აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს მოცემული საგნის სასწავლო მიზნებთან მიმართებაში.

დღეს არსებული ინკლუზიური განათლების მოდელი მასწავლებლისგან შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელოვან გადახედვას მოითხოვს. ყველაზე დიდი პრობლემაა განვითარების განსხვავებული დონეების, უნარებისა და ინტერესების მქონე მოსწავლეებისთვის საჭიროებების შესატყვისი სწავლებისა და როგორც აუცილებელი კომპონენტის, შეფასების შეთავაზება, რომელიც იქნება ობიექტური და არა დისკრიმინაციული. მასწავლებლები ყოველდღიურად ხვდებიან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებისამებრ სასწავლო გეგმის ან სწავლების მოდიფიკაციის აუცილებლობას და მუდმივად ორ საჭიროებას შორის არიან მოქცეულნი: ერთის მხრივ, მათ მოეთხოვებათ ყველა მოსწავლის სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სწავლება და შეფასება, ხოლო მეორეს მხრივ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების სწავლება ნებადართულია და მოთხოვნილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების შესაბამისად, რაც მათ შეფასებას სხვა, კლასის მიზნებისგან განსხვავებული მიზნებისა და აქტივობების შესაბამისად მოითხოვს. ხშირად ეს იწვევს ჩვეულებრივ საკლასო ოთახში და სწავლებაში ორი კონფლიქტური მოლოდინის დაკავშირებას, რაც განსაკუთრებით მძაფრად მოსწავლის შეფასებისა და ნიშნების მინიჭების დროს ვლინდება. მასწავლებელთა უმრავლესობას ესმის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის პირობების ადაპტაციის საჭიროება, როგორცაა, მაგალითად, ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავება, მაგრამ ხშირად ავიწყდებათ, რომ ალტერნატიული შეფასების სისტემატ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ადაპტაციის ერთ-ერთი სახე. დღეს მიღწეულია შეთანხმება, რომ საპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები ფასდებიან იგივე 10-ქულიანი სისტემით, როგორც მათი თანატოლები, მაგრამ შეფასება ხდება მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის მიზნებისა და აქტივობების შესაბამისად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს შეფასების ორი ფორმა – განმავითარებელი და განმსაზღვრელი და თითოეული თავის მხრივ შეიძლება იყოს მიმდინარე (სასწავლო პროცესის მანძილზე) და შემაჯამებელი (ტრიმესტრის, სასწავლო წლის ბოლოს მიმდინარე შეფასებებზე დაყრდნობით გაკეთებული საბოლოო შეფასება), მნიშვნელოვანია,

სწავლის უნახის დახვეწის მქონე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიები  
ერთმეორე სპეციალ სახეობის ბავშვებს სეიდმისხაუნდომობის უსწუნვდესთოდ

მასწავლებელს ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ რას აფასებს და რისთვის აფასებს, რა მიზანი აქვს იმ შეფასებას, რომელსაც ის კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული მოსწავლის მიმართ იყენებს.

**აუცილებელია შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება საგნის მიზნის, ამოცანებისა და სტანდარტების სწორი ასახვისათვის.**

65 მასწავლებლის მიერ დაგეგმილი 309 გაკვეთილის ანალიზისას Campbell-მა და Evans-მა (2000) აღმოაჩინეს, რომ მხოლოდ რამდენიმე მათგანი იყენებდა შეფასების უნივერსიტეტში სწავლის დროს ათვისებულ მეთოდებს. მკვლევარებმა ასევე აღნიშნეს, რომ მასწავლებლებს გაკვეთილების 23%-ში ან არ ჰქონდათ ან გამოყენებული ჰქონდათ არა-დაკვირვებადი მიზნები და ამოცანები. თუმცა 113 გეგმას გააჩნდა შეფასების ცხრილები, მხოლოდ 8 იყო შესრულებული. არ არსებობდა ქულების მინიჭების ობიექტური მეთოდებიც.

აქედან გამომდინარეობს, რომ მასწავლებლები შეფასების სწავლების მნიშვნელოვან ნაწილად აღიარების მიუხედავად (81%) სწავლებასა და შეფასებას განიხილავენ, როგორც გაკვეთილის განსხვავებულ ნახნაგებს და არა ერთი და იგივე პროცესის ნაწილებს. მაგალითად, პედაგოგიური ტესტის შედგენისას ყურადღება ეთმობა ტექნიკური ასპექტების დემონსტრირებას მოსწავლის პროგრესის შესახებ დასკვნების გაკეთების გარეშე.

დღეს მასწავლებლებისათვის უამრავი რესურსი არსებობს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის სწორი შეფასების განსახორციელებლად განსხვავებული მიდგომების გამოყენებით. მასწავლებელთა ამოცანად რჩება სწორად შეფასების ადეკვატური მეთოდის შერჩევა. მეთოდების ერთი ნაწილი უფრო ვალიდური და სანდოა, ვიდრე სხვა. აუცილებელია მოიძებნოს ხიდი განათლების მიზნებს, საკლასო ოთახში სწავლებასა და შეფასებას შორის კლასისა და საგნის მიზნებიდან და ინდივიდუალური მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. საუკეთესო სტრატეგიას წარმოადგენს გაკვეთილის სრული პაკეტის შედგენა, სადაც განსაზღვრული იქნება მოცემული დღის მიზანი და ამოცანები, ინსტრუქციების მიწოდების სისტემები და შესატყვისი შეფასების სტრატეგიები.

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე რეკომენდაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების და მათ შორის სწავ-

ლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების შეფასებასთან დაკავშირებით.

- ა) შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენება (ტექსტის მოყოლის მაგივრად სურათის აღწერა ან კითხვებზე პასუხის გაცემა, მათემატიკური მაგალითის ამოხსნის ნაცვლად, დათვლა 20-მდე და ა.შ.), მოწაფის ცოდნისა თუ უნარის დონის შესაფასებლად;
- ბ) ზეპირი გამოკითხვის გამოყენება წერილობითი მაგივრად ან პირიქით, თუ ეს დაეხმარება მოსწავლეს ყურადღების მობილიზებასა და ცოდნის უკეთ გამოვლინებაში;
- გ) შეფასება შესრულებაზე დაკვირვების გზით, როდესაც მასწავლებელი აფასებს მოსწავლის შრომის შედეგს;
- დ) დამატებითი დროის მიცემა დავალების დასასრულებლად;
- ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის დავალების შეფასება რამდენიმე კომპონენტის მიხედვით (მაგალითად, ორგანიზაცია, ნაწერის სისწორე, საგნის გამოვლენილი ცოდნა);
- ვ) მრავალპასუხიანი ტესტების გამოყენება მოსწავლის ცოდნის შესამოწმებლად.

### 3.5. მოდიფიკაციებისა და მხარდაჭერი ინსტრუმენტების გამოყენება სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების ეფექტური სწავლებისათვის მასწავლებლებს სწავლების, ქცევის მართვისა და შეფასების ადეკვატური სტრატეგიების გარდა, ხშირად სხვადასხვა დამხმარე საშუალებებისა და მოდიფიკაციების გამოყენება სჭირდებათ. ჩვეულებრივ მასწავლებლებს არ მოეთხოვებათ ყველა სტრატეგიისა და დამხმარე საშუალების ეფექტური გამოყენების ცოდნა. ამ მიზნით სკოლაში უნდა არსებობდნენ სპეციალური მასწავლებლები, ვინც მზად იქნება მასწავლებლების დახმარებისა და ხელშეწყობისათვის, მაგრამ ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

ქვემოთ მოყვანილია შესაძლო სტრატეგიებისა და დახმარებების ჩამონათვალი კითხვარების სახით, რომელიც მასწავლებლებმა შეიძლება გამოიყენონ განსხვავებული საჭიროებების მქონე ბავშვისთვის

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ

ინსტრუქციების, სწავლების დიფერენცირებისა და დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. სიაში მოცემული ნებისმიერი აკომოდაცია<sup>3</sup> თუ მოდიფიკაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა თუ ქცევის მართვის სტრატეგიების შემუშავების დროს.

### დავალებებისა და ინსტრუქციების ადაპტაცია

- შეცვალეთ ან მიუსადაგეთ ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს ამოცანებისა და დავალებების სიგრძე.
- შეამცირეთ სავალდებულო სამუშაოს ოდენობა სიზუსტისა და სამუშაოს ხარისხის სტანდარტების შენარჩუნებით.
- გაზარდეთ მასწავლებლის მიერ მოდელირება და გამოიყენეთ მასალის სხვადასხვა სენსორული არხის (მხედველობა, სმენა, შეხება) საშუალებით მიწოდების მეთოდი.
- გაზარდეთ ვარჯიშის მოცულობა თქვენი მეთვალყურეობის ქვეშ.
- უზრუნველყავით სწავლებასთან დაკავშირებული რჩევები, დამატებითი ორგანიზებები, ნაწილობრივი გეგმები და სხვა მსგავსი დამხმარე საშუალებები.
- გამოიყენეთ ტექნოლოგიები და თამაშები უნარების გასა-ვარჯიშებლად.
- უზრუნველყავით ხაზგასმული ტექსტები ძირითადი დებულებების ან სიტყვების თუ ინფორმაციის გამოყოფით.
- წინასწარ, ახალი თემის ახსნამდე, აუხსენით ახალი ლექსიკონი.
- გამოიყენეთ გამოკითხვის განსხვავებული სტრატეგიები მოსწავლეთა მონაწილეობის გასაუმჯობესებლად.
- გაზარდეთ პირდაპირი უკუკავშირის სიხშირე და რაოდენობა.
- გაზარდეთ ვარჯიშისა და გამეორების ოდენობა.
- ხელმეორედ ხაზი გაუსვით მთავარ იდეებსა და ძირითად დებულებებს.
- მიეცით დამატებითი მოსაფიქრებელი დრო (სულ მცირე 5 წამი მაინც).

3 აკომოდაცია წარმოადგენს მასალის, სწავლებისა თუ შეფასების სტრატეგიების მორგებას ბავშვის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე.

- უზრუნველყავით პირდაპირი, სისტემატური სწავლება გამოვლენილი სუსტი სფეროების ფარგლებში უნარების გასანვითარებლად.
- მოსწავლეს, დავალების შესრულებისას, ყურადღებით ადევნეთ თვალი, რათა დარწმუნდეთ, რომ მან სწორად გაიგო დასახული ამოცანა.
- დამოუკიდებელი მუშაობისას უზრუნველყავით მოსწავლე შესასრულებელი დავალებების ჩამონათვალით.
- დაამატეთ ფერი/ფერები სამუშაოზე ყურადღების კონცენტრაციის გასაზრდელად.
- გამოიყენეთ მზერით კონტაქტი და ხმის მოდულაცია ყურადღების შესანარჩუნებლად.
- დავალებები ისე დაყავით, რომ დანაწილებულ იქნეს პატარა სეგმენტებად. მიეცით თითო – თითო ნაწილი და მიანოდეთ უკუკავშირი თითოეული ნაწილის შესრულების შემდეგ.
- შეამცირეთ წიგნიდან გადანერის საჭიროება ქსეროასლების გამოყენებით.
- ზეპირ ინსტრუქციებს დაურთეთ წერილობითი ინსტრუქციები.
- გაამარტივეთ რთული ინსტრუქციები.
- დავალებების შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში, მიეცით დამატებითი დრო.
- მიუსადაგეთ დავალებას მოსწავლის კითხვის დონე.
- შესთავაზეთ დავალებების არჩევა (მაგ., განსხვავებული თემები და სირთულის დონეები, დამოუკიდებლად ან მცირე ჯგუფში მუშაობის შესაძლებლობა).
- დავალების მიცემისას, მიეცით ნიმუშები და მაგალითები.
- დავალებასთან დაკავშირებით წინასწარ გააცანით თქვენი მოლოდინები და დავალების შეფასების კრიტერიუმები.
- მიეცით სწავლების მანძილზე კონტროლირებადი ლაპარაკის საშუალება (მაგ., მენყვიელსთვის კითხვის დასმა განმარტებისთვის, აზრების გაზიარება).
- გააფორმეთ მოსწავლესთან ხელშეკრულება კონკრეტული ოდენობის დავალებებისთვის შესაბამისი ჯილდოს მითითებით.
- უზრუნველყავით მოსწავლე ცხრილებითა და გრაფიკებით,

სწავლის ენას ისტრუქციის დახვეწის მიზნით. სწავლების სტრატეგიები ექსპერტიზის სფეროებში. სწავლების სტრატეგიები. სწავლების სტრატეგიები. სწავლების სტრატეგიები.

- რომლებიც ასახავენ შესრულებული დავალებების პროცენტს.
- გამოიყენეთ დღიური ან რაიმე სხვა საშუალება მშობელთან კომუნიკაციისთვის მოსწავლის მიერ დავალებების შესრულების გასაზიარებლად.
  - გამოიყენეთ ტაიმერი ჯილდოთი საკლასო დავალებების შესრულების დასაწყებად და დროულად დასამთავრებლად.
  - გამოიყენეთ დავალებების ცხრილი ან შესასრულებელი საქმეების ჩამონათვალი (შესრულებული სამუშაოს შესამოწმებლად).
  - მიაწოდეთ მშობლებს ინფორმაცია (ყოველკვირეული ან თვეში ერთხელ) ბავშვის პროგრესის, ასევე შესრულებული, გამოტოვებული ან არასრულად გაკეთებული დავალებების შესახებ.
  - გაზარდეთ სწავლაში დახმარება (მასწავლებლისგან, თანაკლასელებისგან ან დამხმარე მასწავლებლისგან).

#### მასალის ადაპტაცია

- გაზარდეთ უკუკავშირის სიხშირე და უშუალობა (მოქმედებაზე უკუკავშირი მაშინვე უნდა მიანოდოთ).
- ნება დართეთ მოსწავლეს გამოიყენოს მაგნიტოფონი (დიქტოფონი), რათა შეეძლოს იმდენჯერ მოსმენა, რამდენჯერაც დასჭირდება ჩანაწერების, მაგალითად, ინსტრუქციების, ტექსტის კითხვების, ლექციების და საკლასო მიმოხილვების, ტექსტის თავების და თვით-ორგანიზირების.
- მასალა ისე დაადაგეთ, რომ გაზარდოს მოსწავლის ყურადღების კონცენტრაცია და ფოკუსი. მაგალითად, ტექსტის მიწოდებისას ფურცლის დაფარებით მოსწავლის ყურადღება გაამახვილეთ მხოლოდ ერთ აბზაცზე, გამოიყენეთ მარკერები, ჩარჩოები ან სხვადასხვა ფერის ცხრილები ძირითადი ინფორმაციის გამოსაყოფად.
- გაზარდეთ ტექსტში ასოების ზომა და სტრიქონებს შორის დაშორება.
- მიაწოდეთ მოსწავლეს მარკერები გვერდისთვის, როდესაც ის

კითხულობს – მაგალითად, მუყაოს სანიშნები, ფერადი ჩარჩოები და ა.შ..

- მიანოდეთ ჰენდაუტები, რომლებზეც თითოეულ გვერდზე ნაკლები ინფორმაციაა მოცემული და ადვილი ნასაკითხია.
- გამოიყენეთ პრაქტიკული აქტივობები, თამაშები და პაზლები, რომლებიც ავითარებენ უნარებს.
- გამოიყენეთ ტაქტილური მასალა (მაგალითად, წერა ქვიშაზე).
- გამოიყენეთ წიგნები და სასწავლო მასალები განვითარების სხვადასხვა დონისათვის.

**გარემოს აკომოდაცია**

- შექმენით მშვიდი, წინასწარმეტყველებადი გარემო.
- გაზარდეთ გარემოს სტრუქტურა.
- შეამცირეთ ან მოაშორეთ დისტრაქტორები<sup>4</sup>: ვიზუალური, აუდიტორული, სივრცითი ან მოძრაობითი.
- მოაწყვეთ სამუშაო კუთხე ან საოფისე ზონა დამოუკიდებელი მუშაობისას დისტრაქტორების რაოდენობის შესამცირებლად.
- გამოიყენეთ ვიზუალური სიგნალები, როგორცაა ჯიბის ფანარი და ვიზუალური ტაიმერები მოსწავლის ყურადღების მისაქცევად და მოსალოდნელი გადასვლების, რუტინის ცვლილების ან ტესტისა თუ დავალების დასრულების დროის მოახლოების შესატყობინებლად.
- გაზარდეთ მენეჯერის ან სწავლაში ამხანაგის მონაწილეობა დღის მანძილზე დავალებაზე მოსწავლის ყურადღების ფოკუსის გასაძლიერებლად ან ინსტრუქციების გაგების შესამოწმებლად.
- გაზარდეთ მასწავლებლის სიახლოვე მოსწავლესთან. ხშირად იმობრავით ქცევის პრობლემების ან ყურადღების დეფიციტის მქონე მოსწავლეებთან ახლოს, იდეკით მათ ახლოს ინსტრუქციების მიცემისას ან ლექციის ახსნისას.

<sup>4</sup> დისტრაქტორი – ხელის შემშლელი გამლიზიანებლები, იქნება ეს ხმაური, თანაკლასელი, კედლებზე სურათების რაოდენობა და ა.შ.



- დასვით მოსწავლე მასწავლებელთან ახლოს.
- გამოიყენეთ რუტინის, პროცედურებისა და საფეხურების ვიზუალური ან გრაფიკული გამოსახულება.
- შეამცირეთ აუდიტორული დისტრაქტორები ხელსაწყოების საშუალებით (მაგ., ყურსასმენები, თეთრი ხმაურის მუსიკა).
- შეამცირეთ მოძრაობა და ვიზუალური ხელისშემშლელი, განსაკუთრებით პირდაპირ ვიზუალურ ველში.
- დასვით მოსწავლე ფანჯრების, კარების, აქტივობებისა თუ გადაადგილების არეებისგან მოშორებით.
- დასვით მოსწავლე კარგი ყურადღების მქონე თანაკლასელებს შორის.
- გამოიყენეთ აუდიტორული მიმანიშნებლები (მაგ., ზანზალაკის ან სხვა მუსიკალური ინსტრუმენტის ხმა, აუდიტორული ტაიმერი) მოსწავლეების ყურადღების გასაძლიერებლად ინსტრუქციებისა თუ დავალების მიცემის ნინ.
- საშინაო დავალებები დაწერეთ ერთი და იგივე ადგილას ოთახში (მაგალითად, დაფის განსაზღვრულ მხარეს).

### **მეხსიერების დამხმარე საშუალებები და აკომოდაციები**

- გამოიყენეთ ვიზუალური ან გრაფიკული ინსტრუქციები რუტინის, პროცედურებისა და მოქმედებების საფეხურების დამახსოვრების გასაადვილებლად.
- გამოიყენეთ ასოციაციური სტრატეგიები და დამახსოვრების სხვა მეთოდები მეხსიერების დასახმარებლად მათემატიკური ფაქტების, სპელინგის, ლექსიკონისა და სხვა გაკვეთილების სწავლისას.
- გამოიყენეთ მელოდია და რითმი ინფორმაციის დამახსოვრებისას.
- გამოიყენეთ გასაკეთებელ საქმეთა სია.
- ინსტრუქციების მოსმენის შემდეგ, თანამწევილებმა კიდევ ერთხელ განსაზღვრონ, რა უნდა გააკეთონ.
- მნიშვნელოვნად გაზარდეთ გამეორებისა და ვარჯიშის შესაძლებლობები.

- უზრუნველყავით დამახსოვრების საშუალებები მათემატიკისათვის, როგორცაა რიცხვების რიგები, გამრავლების ტაბულა და ცხრილები, ფურცელი ფორმულებითა და მოქმედებების თანმიმდევრობით და კალკულატორი.
- გამოიყენეთ ჩეკლისტები, დავალებათა ბარათები, მოლოდინების შემხსენებლები და მითითებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

**ორგანიზაცია და დროის მართვის დამხმარე საშუალებები და აკომოდაციები**

- უზრუნველყავით დავალებების კალენდარი ან გეგმა ან დავალებების ცხრილი და მოითხოვეთ დავალებების ყოველდღიური ჩანიშვნა.
- უზრუნველყავით პირდაპირი დაკვირვება ან დახმარება (მაგ., თანატოლი სწავლაში დამხმარეს ან მასწავლებლის) რათა დარწმუნებული იყოთ, რომ დავალებები ყოველდღიურად არის ჩანიშნული და სახლში ნაღებული.
- გამოიყენეთ პროგრამა, რომელიც ასწავლის მოსწავლეებს ორგანიზებასა და სწავლების უნარებს, როგორცაა უნარები სკოლაში წარმატებისათვის.
- მოახდინეთ დავალებების დღიურში ან კალენდარში ჩანერის მოდელირება.
- მასწავლებელმა დღის ბოლოს შეამოწმოს სახლში წასაღები მასალები და დავალებები.
- გამოიყენეთ ფერადი რეგულაბი, ფერადი გამყოფები, რომლებიც საშუალებას მისცემენ ბავშვებს განასხვავონ და სწრაფად და ადვილად იპოვონ სხვადასხვა საგანი.
- მოსწავლის მერხზე დაამაგრეთ ყოველდღიური ან კვირეული დავალებების სია.
- შეზღუდეთ მერხის ზევიდან და მერხში არსებული საგნების რაოდენობა.
- გამოყავით დრო და დახმარება მერხის, ზურგჩანთისა და რეგულაბების დასალაგებლად.

ბავშვებისთვის უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დახედოთ მხარეთა დახმარების განყოფილების ვებ-გვერდს: [www.illustratedmathematics.com](http://www.illustratedmathematics.com)

- ნიმუშებად გამოიყენეთ კარგად ორგანიზებული რვეულები, პროექტები და ა.შ.
- დაეხმარეთ კლასში სივრცისა და მასალის ორგანიზებაში.
- უზრუნველყავით ჯილდოები და ბონუსები წესრიგისთვის.
- დაყავით გრძელი დავალებები შემადგენელ ნაწილებად. დანიშნეთ დავალების ნაწილების ჩაბარების შუალედური თარიღები და დაეხმარეთ დროის მართვაში და დავალების დროითი ლიმიტების მონიტორინგში.
- დაეხმარეთ მოსწავლეს დავალების დასრულებისათვის საჭირო დროის განსაზღვრაში.
- საჭიროების შემთხვევაში მოახდინეთ საშინაო დავალების მოდ-იფიკაცია, ყურადღებით მოეკიდეთ მშობლის უკუკავშირს.
- დაეხმარეთ მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულების დან-ყებაში სკოლაში.

### წერილი აკომოდაციები და მოდიფიკაციები

- შეამცირეთ წერილობითი დავალებების რაოდენობა.
- უზრუნველყავით წერაში სიძნელის მქონე მოსწავლე სხვა მოსწავლის საკლასო ჩანაწერების ასლით.
- მიეცით კომპიუტერის გამოყენების საშუალება წერილობითი დავალებების შესასრულებლად.
- მიეცით საშუალება გამოავლინოს ცოდნა წერის ალტერნატიული საშუალებებით (მაგალითად, ზეპირი გამოცდა, პროექტები, დემონსტრაციები, ვიზუალური გამოსახულებები).
- ნება დართეთ პასუხი გასცეს პირდაპირ ფურცელზე ან ტესტის ბუკლეტში, ვიდრე გადაწეროს პასუხები სხვა ფურცელზე ან პასუხების გვერდზე.
- მიეცით დამატებითი დრო წერილობითი პასუხებისთვის.
- მიეცით საშუალება მოსწავლემ უკარნახოს პასუხები, როდესაც ვინმე სხვა იწერს მათ.
- შეურჩიეთ ფანქრის გრიპი<sup>5</sup>, რათა ბავშვისთვის ფანქრის გამოყენება კომფორტული იყოს.

5 ფანქრის გრიპი – ფანქარზე ან პასტაზე გასაკეთებელი სპეციალური ჩამოსაცმელი, რომელიც აადვილებს ფანქრის ხელში დაჭერას.

- უზრუნველყავით მოსწავლე სპეციალური დაფით, რომელზეც შესძლებს ფურცლების დამაგრებას.
- სცადეთ ხაზებს შორის სხვადასხვა დაშორების მქონე ფურცლების გამოყენება: წერის პრობლემების მქონე ბავშვები ზოგი კარგად წერს ხაზებს შორის დიდი დაშორების მქონე ფურცელზე, ზოგი პირიქით – მცირე დაშორების მქონე ფურცელზე.
- უზრუნველყავით თქვენი მოლოდინების (რას ელით მათი ნაწერისგან) მოდელები და რუბრიკები.
- უზრუნველყავით გრაფიკული ორგანიზერები ყველა წერილობითი დავალებისა და ჟანრისთვის.
- უზრუნველყავით პირდაპირი დახმარება და მხარდაჭერა (მაგალითად, შემონშებასა და იდეების ორგანიზებაში).

**კითხვის აკომოდაციები**

- უზრუნველყავით მოსწავლე საკითხავი ლიტერატურით მისი კითხვის დონისა და ინტერესების გათვალისწინებით.
- გამოიყენეთ გრაფიკული ორგანიზერები ტექსტის გაგების უზრუნველსაყოფად.
- გამოიყენეთ აუდიო წიგნები.
- გამოიყენეთ პირდაპირი, სისტემატური ინსტრუქციები კითხვაში სიძნელეების დასაძლევად.
- გაზარდეთ კითხვის დრო და კითხვაზე სავარჯიშოები.
- ინსტრუქციები და დავალებები ხმამაღლა წაუკითხეთ მოსწავლეს და გადაამონშეთ, რამდენად გაიგო.

**ტესტირების აკომოდაცია**

- ტესტირებამდე გაიმეორეთ, გაიმეორეთ, გაიმეორეთ.
- უზრუნველყავით მოსწავლეები ტესტების ასლებით და მოკლე ანოტაციებით, რომლებიც ადვილი წასაკითხია.
- ტესტში მაქსიმალურად თავი აარიდეთ რთული, ორაზროვანი სიტყვების გამოყენებას.

სწავლის ენაის დახვეწის მქონე მოსწავდეთა სწავლების სუსტეხები  
- ექიმებზე: სასწავლო ბეჭდის ხედვისა და დიფერენციალური უზრუნველსაყოფად

- გამოტოვებულ ტექსტის ზოგიერთი დავალება.
- მიაწოდეთ მოსწავლეს ტექსტური კითხვების სხვადასხვა ტიპის ნიმუშები.
- სწავლების მანძილზე ხშირად გამოიყენეთ მოკლე ტექსტები, გამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფენ გავლილი მასალის გამეორებას და მოსწავლეებს დაეხმარებიან საკუთარი ცოდნის ადეკვატურ შეფასებაში.
- ხმამაღლა წაკითხვით ტექსტის სხვადასხვა ნაწილის წინმსწრები ინსტრუქციები.
- უზრუნველყავით დამატებითი სამუშაო ადგილი, განსაკუთრებით მათემატიკის შეფასებისას.
- მრავალ-ალტერნატივიანი კითხვების მიწოდებისას პასუხების ჩამონათვალი მიაწოდეთ ვერტიკალურად და არა ჰორიზონტალურად.
- შეამცირეთ ერთი ტექსტის ნიშნის წონა. გამოიყენეთ მოკლე ტექსტები, მაგრამ ტესტირება ხშირად განახორციელებთ.
- მიეცით მოსწავლეებს საშუალება ტესტი ჩაგაბაროთ ზეპირად წერილობით შესრულების შემდეგ, თუ ისინი გრძნობენ, რომ ზეპირად შეძლებენ საკუთარი ცოდნის უკეთ გამოვლინებას. ზეპირ გამოკითხვაში ისინი დამატებით შეფასებას მიიღებენ.
- არ შეაფასოთ გრამატიკული და სხვა სახის მექანიკური შეცდომები იმ ტექსტებში, რომელთა მიზანია სხვადასხვა საგანში შინაარსის ცოდნის შეფასება.
- ხმამაღლა წაკითხვით მოსწავლეს ტექსტის დავალებები.
- ტესტირება ჩაატარეთ განსხვავებულ ადგილას (მაგალითად, რესურს – ოთახში).
- ჩაუტარეთ სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეს ტესტირება დანარჩენი კლასისგან განსხვავებულ დროს.
- მიეცით დამატებითი დრო ტესტირებისათვის.
- მათემატიკაში მოსწავლის ცოდნის შეფასებისას ნება დართეთ კალკულატორისა და გამრავლების ტაბულის გამოყენებაზე, თუ ტექსტის მიზანია პრობლემების გადაჭრისა და არა ანგარიშის უნარის შეფასება.

- ტესტირება ჩაატარეთ პატარ-პატარა ინტერვალებით რამდენიმე სესიად.
- მიეცით ხანმოკლე შესვენების საშუალება ტესტირების მანძილზე.
- მიეცით ყურსაცობების გამოყენების საშუალება ხმაურის შესამცირებლად.

### 3.6. კლასის მართვა და პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგია

ინკლუზიური განათლების პრიორიტეტად აღიარებამ მასწავლებელთა უმეტესობა დააყენა სწავლის უნარის დარღვევების მქონე ბავშვების სწავლების აუცილებლობის წინაშე. არ არსებობს სკოლა, რომელშიც ერთი ბავშვი მაინც არ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და არ არსებობს სპეციალიზირებული, საჯარო სკოლა, რომელშიც ყველა ბავშვი თანაბარი და მსგავსი შესაძლებლობებისა და საჭიროებების იქნება. ინკლუზიური განათლების მოდელი ორიენტირებულია სწორედ განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე ბავშვების ეფექტურ და ხარისხიან სწავლებაზე ერთ გარემოში – ერთ საკლასო ოთახში, რაც მასწავლებლისგან კლასის მართვისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების ფლობას საჭიროებს, რათა არავინ არ დარჩეს ადეკვატური მიდგომისა და მოთხოვნების მიღმა.

შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს საკლასო ოთახი, სადაც მოსწავლეებს დროდადრო, ზოგს უფრო ხშირად, ზოგს იშვიათად, არ ექნებათ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც მასწავლებლის მხრიდან დამატებით ძალისხმევასა და ქცევის მართვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას მოითხოვს, სანამ მოხდება მოცემული კონკრეტული მოსწავლისათვის ადეკვატური მიდგომის შერჩევა.

სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენებით, შესაძლებელია ქცევის სერიოზული პრობლემების შემცირება და შესაბამისად, სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

მოცემული სტრატეგია მნიშვნელოვანი დამხმარე იარაღია მასწავლებლისთვის, რათა მიაღწიოს ძირითად მიზანს – ასწავლოს ყველა

სწავლის უნარის დარღვევების მქონე ბავშვების სწავლების აუცილებლობის წინაშე არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ეფექტური და ხარისხიანი სწავლება ერთ გარემოში – ერთ საკლასო ოთახში, რაც მასწავლებლისგან კლასის მართვისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების ფლობას საჭიროებს, რათა არავინ არ დარჩეს ადეკვატური მიდგომისა და მოთხოვნების მიღმა.

ბავშვს, მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, კეთილგანწყობილ, უსაფრთხო და ბავშვის კოგნიტიური და სოციალური, პიროვნული განვითარების ხელშემწყობ გარემოში.

### 3.6.1. კლასის მართვის სტრატეგიები

კლასის მართვის სტრატეგიების გამოყენების მთავარი მიზანია საკლასო ოთახში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და გააადვილებს მოსწავლეთა აკადემიურ და სოციალურ-ემოციურ სწავლებას მათი უნარებისა და შესაძლებლობების მიუხედავად, ე.ი. მათი განსხვავებული უნარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, კლასის მართვა ორ ამოცანას ემსახურება: 1. ის მიმართულია არა მხოლოდ მოწესრიგებული გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაზე, არამედ ყველა მოსწავლის ჩართვაზე სასწავლო პროცესში და 2. უზრუნველყოფს მოსწავლეთა სოციალურ და პიროვნულ ზრდას. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წესრიგის მიღწევა გაკვეთილზე, არამედ ის საშუალებებიც, რომლებსაც მასწავლებელი მიმართავს ამ წესრიგის მისაღწევად და შესანარჩუნებლად.



სწავლის განხორციელების მიზნით მოხდა დროის სწავლების სფეროში უწყვეტი განხორციელების მიზნით სწავლების სფეროში უწყვეტი განხორციელების მიზნით სწავლების სფეროში უწყვეტი განხორციელების მიზნით

კარგად ორგანიზებული საკლასო ოთახის მახასიათებლებია:

1. მოსწავლეები ჩართულნი არიან თავისი დავალებების შესრულებაში;
2. მოსწავლეებმა იციან, თუ რას ელიან მათგან და არიან წარმატებულნი;
3. ძალიან მცირე დრო რჩება არასტრუქტურირებული ან ხელისშემშლელი აქტივობებისთვის;
4. საკლასო ოთახის კლიმატი ორიენტირებულია მუშაობაზე, მაგრამ სასიამოვნო და კომფორტულია.

იმისათვის, რომ ეს მახასიათებლები თითოეული საკლასო ოთახის რეალობად იქცეს, მოსწავლეების საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, აუცილებელია:

**1. ფიზიკური გარემოს მონესრიგება და ორგანიზება:**

ხშირად თვით საკლასო ოთახის გარემო შეიძლება გახდეს პრობლემური ქცევის გამომწვევი. ძალიან მნიშვნელოვანია, საკლასო ოთახის მოწყობისას, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ყველა მოსწავლის ადგილიდან შესაძლებელი უნდა იყოს მასწავლებლის და დაფის დანახვა;
- საკლასო ოთახის კედლებზე გამოკრული მასალა არ უნდა ინევედეს მოსწავლეების ყურადღების გაფანტვას, მაქსიმალურად უნდა ავიცილოთ თავიდან სიჭრელე კედლებზე;
- სასურველია მერხებს შორის საკმარისი ადგილის დატოვება მოსწავლეთა (განსაკუთრებით ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების) დამოუკიდებელი გადაადგილების გასაადვილებლად;
- საკლასო ოთახში ბუნებრივი განათების უზრუნველყოფა და ანარეკლების, მკვეთრი, თვალისმომჭრელი შუქის, ჩრდილებისთვის თავის არიდება;
- ხმაურის წყაროების მინიმუმამდე დაყვანა.

**2. საკლასო რუტინის შემუშავება და სწავლება**

მოსწავლეებს სჭირდებათ იცოდნენ, თუ რას მოელის მათგან მასწავლებელი სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა აქტივობის შესრულებისას. საკლასო რუტინა წარმოადგენს პროცედურათა თანმიმდევრობას



დღის მანძილზე მოსალოდნელი აქტივობების შემთხვევაში, მისაღები მოქმედებებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში, მასწავლებლის მხრიდან მოსალოდნელი ჩარევის შესახებ.

საკლასო რუტინის შემუშავებაში თვითონ მოსწავლეებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას. მასწავლებელს შეუძლია მცირე დისკუსია მოაწყოს, თუ რაში გვჭირდება ისეთი წესები, როგორცაა მაგალითად, ხელის აწევა მასწავლებლისთვის კითხვის დასასმელად, გაკვეთილის დაწყებისას მოცემული საგნის წიგნებისა და რეგულაციების გამზადება, წერილობითი დავალების დამთავრებისას მასწავლებლის ყურადღების მიქცევა სხვებისთვის ხელი შეშლის გარეშე და ა.შ.

როგორც წესი, საკლასო რუტინაში განერილია ისეთ აქტივობებთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც კლასისა და ზოგადად, სკოლის, ყოველდღიურობას წარმოადგენს. წინასწარი ინფორმირებულობა მოსალოდნელ აქტივობებზე და ამ შემთხვევაში მასწავლებლისთვის მოსწავლის მისაღებ ქცევაზე, მნიშვნელოვნად ამცირებს კლასში პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობას.

საკლასო რუტინაში შესაძლებელია განერილი იყოს პროცედურები და წესები შემდეგი აქტივობებისთვის:

- დღის დაწყება;
- საკლასო ოთახში შესვლა და საკლასო ოთახიდან გასვლა;
- რეგულაციების დარიგება – აკრეფა;
- გაკვეთილის ახსნა;
- დავალების ადრე დამთავრება;
- კითხვების დასმა;
- საჭირო ოთახში გასვლა;
- დახმარების თხოვნა;
- გაცდენა.

### 3. ქცევის მართვის სტრატეგიების გამოყენება

მასწავლებლის მხრიდან ქცევის მართვის სტრატეგიების გამოყენების მთავარი მიზანია, საკლასო ოთახში და მის გარეთ პრობლემური ქცევის თავიდან აცილება და/ან მისი შემცირება.

რა ქცევას ვეძახით პრობლემურს? შეიძლება განსაზღვრებები იყოს მრავალფეროვანი და აღწერილობით განსხვავებული, მაგრამ ყველანი ვთანხმდებით – პრობლემურია ის ქცევა, რომელიც ხელს უშლის მო-

სწავლის სწავლას და/ან თანატოლებთან და უფროსებთან სოციალურ აქტივობებში ჩართვას. ამ განსაზღვრების ქვეშ ექცევა გახანგრძლივებული ტანტრუმები<sup>6</sup>, სიტყვიერი ან ფიზიკური აგრესია, ხელისშემშლელი ეოკალური ან მოტორული აქტივობა (ყვირილი, სტერეოტიპული მოძრაობები, როგორცაა რწევა, პასტის ხელში წვალბა), ნივთების გაფუჭება, თვითდაზიანება, დაუმორჩილებლობა, მასწავლებლის კითხვების იგნორირება და გაქცევა.

უკანასკნელ წლებში სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისა და მათი ქცევის მართვის ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად განიხილება პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგია, რომელსაც ჩვენ დანვრილებით შემდეგ თავში აღვწერთ. ერთადერთი, რაც აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ქცევის მართვაზე საუბრისას, ნებისმიერი მოსწავლის შემთხვევაში არის, რომ:

1. აუცილებელია მოსწავლეებს ავუხსნათ, თუ რა წესებია ჩვენს საკლასო ოთახში;
2. ძირითადი წესების რაოდენობა, რომელიც არ არის დამოკიდებული გაკვეთილის შინაარსზე და არეგულირებს საკლასო ოთახში მოსწავლეთა ქცევას, არ უნდა აღემატებოდეს 5-ს. მაგალითად, ჩვენ საზოგადოდ გვჭირდება, რომ მოსწავლე 1. ჩუმად ისმენდეს გაკვეთილს; 2. ხელის აწვეით პასუხობდეს მასწავლებელს კითხვაზე; 3. უსმენდეს თავის თანატოლს; 4. ხელის აწვეით სვამდეს კითხვას. წესები შეიძლება კლასიდან კლასამდე იცვლებოდეს მასწავლებლისა და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით;
3. აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა იცოდნენ, თუ რა მოხდება წესის დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, რა ჯარიმას, თუ სასჯელს დავანესებთ კონკრეტული წესის დარღვევისას, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებთ. ეს მოსწავლეებს დაეხმარება ისწავლონ, რომ მათ ქცევას მოყვება კონკრეტული შედეგი.

6 ტანტრუმი ინგლისური სიტყვიდან „ტანტრუმ“ დაფუძნდა ჩვენს ენაში და ნიშნავს მრისხანების, გაღოზიანების შეტევას, რასაც ხშირად „ისტერიკას“ ვეძახით. დამახასიათებელი ქცევითი კომპონენტებია: ტირილი, ყვირილი, იატაკზე გაგორება, ფეხების ბაკუნნი და ა.შ. ხშირად ბავშვები ტანტრუმს მიმართავენ რაიმეს (მაგ. სათამაშო, ტანსაცმელი და ა.შ.) მიღების მიზნით.

სწავლის უნარის დაზიანების მქონე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგია  
სწავლის უნარის დაზიანების მქონე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგია  
სწავლის უნარის დაზიანების მქონე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგია

### 3.6.2. პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგია

წლიდან წლამდე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება სწავლის, ქცევისა და სოციალური თუ ემოციური პრობლემების მქონე ბავშვების სწავლებისა და ქცევის მართვის სტრატეგიების ცვლილების აუცილებლობა. ხშირად სასწავლო მიზნების შესაბამისი მუშაობა თითქმის შეუძლებელია ბავშვის ქცევის პრობლემების გამო, რაც შეიძლება გამოვლინდეს როგორც აგრესიული, გამომწვევი ქცევის, ასევე შფოთვის, სოციალური გარიყულობის, დეპრესიისა და ნასწავლი უსუსურობის სახით. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს შეეძლოს მსგავსი ქცევების იდენტიფიკაცია და მოსწავლისთვის დროული დახმარების განევა.

უნდა გვახსოვდეს, რომ:

- ქცევათა უმრავლესობა ნასწავლია გარემოსთან ურთიერთქმედების შედეგად;

პრობლემური ქცევა ბავშვისთვის გარემოსთან ურთიერთობის ხშირად ერთადერთ ნაცნობ ფორმას წარმოადგენს. ბავშვი ამ ქცევით გვეუბნება, თუ რა უნდა, რას მოელის ჩვენგან;

ქცევათა უმრავლესობას აქვს თავისი ფუნქცია; როგორც კვლევებით მტკიცდება, ქცევათა მრავალფეროვნება ორ ძირითად ფუნქციაზე შეიძლება დავიყვანოთ; ესაა რაიმესთვის თავის არიდება და/ან რაიმეს მიღება;


- ქცევა არ ხორციელდება უმიზეზოდ და უმიზნოდ; წარმოიდგინეთ შემდეგი სიტუაცია: მასწავლებელმა მოსწავლეს საშინაო დავალების ჩვენება სთხოვა (პრობლემური ქცევის წინმსწრები მოვლენა), მოსწავლე ყვირის და ისვრის წიგნებსა და რვეულებს (პრობლემური ქცევა) და მასწავლებელი მას კლასიდან უშვებს (ქცევის შედეგი). ამ სიტუაციაში თვალსაჩინოდ ჩანს, რომ მოსწავლის პრობლემური ქცევის მიზანი იყო საშინაო დავალების ჩაბარებისთვის თავის არიდება. შესაბამისად, ნებისმიერ პრობლემურ ქცევაზე რაიმე დასკვნის გაკეთებამდე, მისი ფუნქციის განსაზღვრისთვის აუცილებელია უშუალოდ პრობლემური ქცევის წინმსწრები და შემდგომი მოვლენების აღწერა. ზუსტად ეს არის ქცევის შეფასების პირველი ნაბიჯი, დავინახოთ: პრობლემური ქცევის წინმსწრები მოვლენა – პრობლემური ქცევა – პრობლემური ქცევის განხორციელების შემდგომი მოვლენები;

- პრობლემური ქცევის იდენტიფიკაციის, ქცევის წინმსწრები და შემდგომი მოვლენების აღწერის შემდეგ, შესაძლებელი ხდება ქცევის ფუნ-

ქციის განსაზღვრა და შესაბამისი ჩარევის, ქცევის ცვლილების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება:

- პრობლემური ქცევის პრევენციაზე<sup>7</sup>(პრობლემური ქცევა არ ვლინდება, რადგან გარემოში აღარ არის მისი გამომწვევი მიზეზები – ნივთები მოვლენები);
- პრობლემური ქცევის სანაცვლოდ სოციალურად მისაღები ქცევის სწავლებაზე, რათა მოსწავლეს შეეძლოს იგივე მიზნის უკვე სხვებისთვისაც მისაღები გზით მიღწევა.

პრობლემური ქცევის სოციალურად მისაღები ქცევით ჩანაცვლების ყველაზე ეფექტურ გზად დღესდღეობით სწორედ პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგია ითვლება. მოცემული სტრატეგიის ძირითადი მიზანია პოზიტიური ქცევითი ჩარევების გზით მოხდეს ბავშვისთვის მისაღები ქცევის სწავლება. როდესაც მასწავლებლები საკლასო ოთახში მიმართავენ პოზიტიური ქცევის მართვის სტრატეგიას, მათ ეძლევათ საშუალება შექმნან პოზიტიური და წამახალისებელი გარემო, სადაც მხარ-



7 პრევენცია – სპეციალური ღონისძიებები, რომელიც გარემოდან პრობლემის შესაძლო გამომწვევების მოპოვებას გულისხმობს. მაგ. გრიპის ვაქცინაცია წარმოადგენს გაციების პრევენციის თვალსაჩინო მაგალითს.

სწავლის უწყისი დახმავების მქონე მოსწავდეთა სწავლების სპეციალური  
ეზონების სასწავლო პედაგოგის სტრატეგიის უწყისი დახმავების სპეციალური

დაჭერილი იქნება მოსწავლის აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში და სწავლებაში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქცევის მართვის ტრადიციულ მიდგომასა და პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიას შორის, მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ტრადიციული მიდგომა ეფუძნება მტკიცებულებას, რომ მოსწავლე მისაღები ქცევითვის უნდა დაჯილდოვდეს, ხოლო მიუღებელი ქცევითვის – დაისაჯოს. პოზიტიური ქცევის მხარდაჭერა კი პრობლემურ ქცევას განიხილავს, როგორც ჩვევის, ცოდნის ნაკლებობას და მიმართულია მოცემულ სიტუაციაში მისაღები ქცევის იდენტიფიკაციაზე, პრობლემური ქცევის პრევენციასა და მისაღები ქცევის სწავლებაზე (ტრადიციული და პოზიტიური ქცევის მართვის სტრატეგიების შედარებითი ანალიზი იხ. ცხრილი 1).

ტრადიციული მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, პრობლემური ქცევის ხანმოკლე შეწყვეტა მიიღწევა, მაგრამ არ ხდება მსგავს სიტუაციაში სასურველი, მისაღები ქცევის სწავლება, რაც პრობლემური ქცევის ხელმეორედ გამოვლინების ალბათობას ზრდის. ამის საწინააღმდეგოდ, პოზიტიური ქცევის მხარდაჭერა მოსწავლეს სასურველის მიღების პრობლემური ქცევის ალტერნატიულ, სოციალურად მისაღებ ქცევას სთავაზობს, რაც მომავალში ამცირებს პრობლემური ქცევის აღმოცენების ალბათობას.

ცხრილი №1: შედარებითი ანალიზი


პრობლემური ქცევის მართვისადმი ტრადიციული მიდგომა	პოზიტიური ქცევის მხარდაჭერა
<ul style="list-style-type: none"> <li>• ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში ჩარევის ერთნაირი სტრატეგია;</li> <li>• ჩარევა რეაგირების სახეს ატარებს;</li> <li>• აქცენტი კეთდება ქცევის შემცირებაზე;</li> <li>• აქ და ამჟამად პრობლემური ქცევის სწრაფი შეწყვეტა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩარევა ითვალისწინებს ქცევის მიზანს, ფუნქციას;</li> <li>• ჩარევა პროაქტიულია;</li> <li>• აქცენტი კეთდება ახალი უნარების სწავლაზე;</li> <li>• ჩარევას ხანგრძლივი ეფექტი აქვს.</li> </ul>

მოცემული მიგდომა რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპად ხორციელდება (იხ. გრაფიკი 2). უპირველეს ყოვლისა, როდესაც ესაუბრობთ პრობლემურ ქცევაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენება საჭირო ხდება ბავშვების მხოლოდ მცირე ჯგუფთან, ვისი ქცევაც არ ექვემდებარება სკოლის სივრცეში არსებულ წესებსა და პოზიტიურ მხარდაჭერ გარემოს და საჭიროებს ქცევის მართვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი №2: პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიის განხორციელების პროცესი.

- ნაბიჯი 1: ჯგუფის ჩამოყალიბება და მიზნების განსაზღვრა.
- ნაბიჯი 2: ინფორმაციის შეგროვება (ქცევაზე დაკვირვება).
- ნაბიჯი 3: შიპოთეზების ჩამოყალიბება.
- ნაბიჯი 4: ქცევის მართვის გეგმის შემუშავება.
- ნაბიჯი 5: გეგმის განხორციელება, მონიტორინგი, შედეგების შეფასება, გადახედვა.

გრაფიკი №3: სწავლების პირამიდა.



სწავლის უნარის დახვეწის მიზნით მისწავლეთ სწავლების სუბსტრუქტები  
ენოვანი სასწავლო გეგმის ხედვით განვიხილოთ უნარების განვითარება

**პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიის განხორციელების პროცესი**

**ნაბიჯი №1: ჯგუფის ჩამოყალიბება და მიზნების განსაზღვრა**

კვლევები და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მულტიდისციპლინური გუნდის ჩამოყალიბებისას აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- რწმენა, რომ ყველა ბავშვს შეუძლია სწავლა;
- ჯგუფის საქმიანობის ზუსტი განსაზღვრა;
- ჯგუფის წევრების როლებისა და ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა;
- ერთიანი მიზანი;
- თანამშრომლობაზე დაფუძნებული სამუშაო ურთიერთობები (ჯგუფში არ არის ექსპერტი);
- გადანყვეტილების მიღებაში თანაბარი პასუხისმგებლობა;
- თანაბარი პასუხისმგებლობა შედეგებზე;
- რეგულარული, წინასწარ შეთანხმებული შეხვედრები მომზადებული პროგრამით და დოკუმენტირებული სტრატეგიები და რეკომენდაციები;
- პრობლემის გადაჭრის მონაცემებზე დაფუძნებული ფორმატის გამოყენება. პრობლემის გადაჭრის ტიპური ფორმატია:

საფეხური 1: პრობლემის გარკვევა – რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემური ქცევა მოცემული მოსწავლის შემთხვევაში?

საფეხური 2: პრობლემის ანალიზი – რა იწვევს ამ ქცევას და რა ფუნქციას ასრულებს ის ბავშვისთვის – არიდებს რაიმეს თავს, თუ იღებს რაიმეს პრობლემური ქცევის შედეგად?

საფეხური 3: ქცევითი ჩარევის შესაძლო სტრატეგიების მოფიქრება/განსაზღვრა – როგორ შეიძლება შეიცვალოს პრობლემური ქცევა ჩვენთვის მისაღები ქცევით?

საფეხური 4: ქცევის მართვის სტრატეგიის შერჩევა – რა სტრატეგიას გამოვიყენებთ ამ მოსწავლის ქცევის სამართავად – იგნორირებას, შენიშვნებისა და ჯარიმების სისტემას, დაჯილდოების ახალ სისტემას და ა.შ.

საფეხური 5: დანერგვის პროცედურის გაანალიზება – ჯგუფის წევრების პასუხისმგებლობის განსაზღვრა – ვინ, სად და როგორ განახორციელებს შემუშავებულ და შეთანხმებულ ქცევის მართვის გეგმას?

საფეხური 6: ქცევის მართვის გეგმის განხორციელება

საფეხური 7: გეგმის ეფექტურობის შეფასება – შემცირდა პრობლემური ქცევის გამოვლენის სიხშირე, ხანგრძლივობა და/ან შეწყდა პრობლემური ქცევა?

საფეხური 8: საჭიროების შემთხვევაში გეგმის გადახედავა-ცვლილება – თუ პრობლემური ქცევის გამოვლენის სიხშირე, ინტენსივობა და ა.შ. არ შეიცვალა, აუცილებელია გეგმის გადახედავა და ცვლილებები.

**მულტიდისციპლინური გუნდის სტრუქტურა და ზომა**

მულტიდისციპლინური გუნდი იკრიბება მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე და შესაბამისად მასში უნდა გაერთიანდნენ ყველა ის ადამიანები, ვისი აზრიც მნიშვნელოვანი იქნება ქცევის მართვის სწორი გეგმის შესამუშავებლად. შესაბამისად, გუნდი შეიძლება აერთიანებდეს:

- მასწავლებლებს;
- მოსწავლეებს;
- მშობლებს;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებს;
- კონსულტანტებს (ფსიქოლოგი, სპეც. პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და ა.შ.);
- სხვა.

**ნაბიჯი №2: ინფორმაციის შეგროვება /ქცევაზე დაკვირვება/**

გუნდის შეხვედრაზე ხდება გადანყვეტილების მიღება, თუ რომელი ქცევა საჭიროებს მაქსიმალურ ყურადღებას, რომელი ქცევა წარმოადგენს ყველაზე პრობლემურს. ქცევის ზუსტი აღწერისა და მისი გამომწვევი და შემანარჩუნებელი ფაქტორების განსაზღვრის მიზნით, ხდება ქცევის ფუნქციონალური შეფასების გამოყენება, რომელიც ეფექტურია:

1. როცა ქცევა ხელს უშლის ბავშვს სწავლაში;
2. როცა სწავლება ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შესაბამისად არ/ვერ ხორციელდება და სასწავლო მიზნების მიღწევა არ ხდება დროის გარკვეული მონაკვეთის მანძილზე. ასეთ შემთხ-

სწავლის დასრულების შემდეგ მოსწავლის სწავლების სტრატეგიები ეხილეთ და შეაჯამეთ სწავლების შედეგები. შედეგების შეფასების მიზნით, გუნდის წევრებს უნდა შეეძლოს შეაჯამოს მათი მუშაობა და განსაზღვროს შემდეგი ნაბიჯები.



ვევაში ქცევის ფუნქციონალური შეფასების საფუძველზე შესაძლოა გამოვლინდეს ხელისშემშლელი ფაქტორები;

3. როცა არსებობს სადავო საკითხები მშობელსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის;
4. როცა ბავშვი იცვლის სასწავლო გარემოს: კლასს, სკოლას და ა.შ. პრობლემური ქცევის/ქცევების გამო.

ქცევის ფუნქციონალური შეფასება პროცესია, რომლის განმავლობაშიც ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვება მოსწავლის ქცევის მართვის გეგმის შესამუშავებლად. ქცევის სრული ფუნქციონალური შეფასება უზრუნველყოფს პრობლემური ქცევის შემანარჩუნებელი შედეგებისა და კონტექსტის იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს, კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში რა ფუნქციას ემსახურება მისი ქცევა (რაიმესთვის თავის არიდება თუ რაიმეს მოპოვება) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საშუალებას იძლევა ინფორმაციის შეგროვების პროცესშივე მოხდეს ჰიპოთეზების ფორმულირება, თუ როგორაა შესაძლებელი ამ ქცევის ჩანაცვლება სოციალურად უფრო მისაღები ქცევით. ასევე, ქცევის ფუნქციონალური შეფასება წარმოადგენს კარგ საზომს დაგეგმილი ქცევის მართვის სტრატეგიების ეფექტურობის შესაფასებლად და საჭიროების შემთხვევაში – შესაცვლელად.

#### **ქცევის ფუნქციონალური შეფასების ძირითადი დებულებებია:**

- პრობლემურ ქცევას აქვს კონკრეტული მიზანი და ფუნქცია;
- ერთ ქცევას (მაგ: დარტყმა) შესაძლოა ბევრი მიზეზი და ფუნქცია ჰქონდეს ერთი და იგივე ან სხვადასხვა სიტუაციაში/გარემოში;
- პრობლემური ქცევა ზოგიერთი ბავშვისთვის შესაძლოა კომუნიკაციის საშუალება იყოს (მაგ: ერთმა ბავშვმა შესაძლოა მეორეს დაარტყას ან ხელი ჰკრას ადგილის გასათავისუფლებლად და ასეთი სახით შეეცადოს თავისი მოთხოვნილების გამოხატვას; ხოლო სხვა ბავშვმა შესაძლოა იგივე ქცევით გამოხატოს იმედგაცრუება, რაიმე საგნის მოთხოვნა ან დასვენების საჭიროება);
- ქცევას აქვს მიზეზი, ის არ არის შემთხვევითი. უმრავლეს შემთხვევაში ქცევა უმიზეზოდ არ ვლინდება და შესაძლებელია ამ მიზეზის/მიზეზების გამოვლენა. პრობლემურ, ხელისშემშლელ ქცევას შესაძლოა სამედიცინო, ემოციური, ნევროლოგიური, ძილისა და სხვა ტიპის პრობლემები ედოს საფუძველად.

ქცევის ფუნქციონალური შეფასება გულისხმობს სწორედ ქცევისადმი ისეთ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს ქცევითი და აკადემიური სირთულეების განმამტკიცებელი ფაქტორების იდენტიფიკაციას და ამ შემთხვევაში პრობლემური ქცევა ბევრად გასაგები ხდება მისი წინმსწრები და შემდგომი მოვლენების გაანალიზების შემდეგ.

**ქცევის ფუნქციონალური შეფასების ოთხი ძირითადი ამოცანაა:**

1. აღწეროს ქცევა;
2. წინასწარ გათვალოს სად და როდის შეიძლება გამოვლინდეს მსგავსი ქცევა;
3. განსაზღვროს კონკრეტული ქცევის შესაძლო მიზეზები კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში, სხვადასხვა დროსა და გარემოში;
4. ქცევის მიზეზების გათვალისწინებით, ჩამოაყალიბოს ჩარევის სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემის გადაჭრას და პრობლემური ქცევის მაგივრად, სოციალურად მისაღები ქცევის სწავლებას.

**ქცევის ფუნქციონალური შეფასებისთვის ინფორმაციის მოპოვება ხდება ორი გზით; კერძოდ:**

1. არაპირდაპირი: ბავშვთან და იმ ადამიანებთან გასაუბრება, რომლებსაც მასთან პირდაპირი კავშირი აქვთ, ჩანაწერების (საბუთებისა და ცნობების) მიმოხილვა და შესაფასებელი სკალების გამოყენება;
2. პირდაპირი: ბავშვის ქცევაზე უშუალო დაკვირვება წინასწარ შეთანხმებული პერიოდის (1 კვირა, 2 კვირა, კონკრეტული გაკვეთილები/სიტუაცია და ა.შ.) განმავლობაში.

ქცევის ფუნქციონალური შეფასება 4 საფეხურისგან შედგება, რომელთაგან ბოლო ორი საფეხური პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიის მესამე და მეოთხე საფეხურების შესაბამისია (იხ. სურათი 3) და მათ მოგვიანებით განვიხილავთ.

ქცევის ფუნქციონალური შეფასების პირველ ეტაპს ქცევის აღწერა წარმოადგენს. ხდება შესაფასებელი ქცევის (პრობლემური ქცევის) შერჩევა და მისი აღწერა კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, როგორია პრობლემური ქცევის სიხშირე, როდის ვლინდება ეს ქცევა, სად, რა გარემოში, ვინ არიან მონაწილეები? რა უსწრებს უშუა-

სწავლის ეტაპის დასაწყისში ისინი მოსწავლეებს სწავლებას უწყობენ. სწავლის ეტაპის დასაწყისში ისინი მოსწავლეებს სწავლებას უწყობენ.

ლოდ წინ მოცემულ ქცევას (მაგალითად, მასწავლებელმა მოსწავლეს მისცა ინდივიდუალური დავალება, სთხოვა თანაკლასელისთვის პასტის თხოვება და ა.შ.) და რა მოყვება უშუალოდ ამ პრობლემურ ქცევას (მაგალითად, მასწავლებელმა მისცა ინდივიდუალური დავალება – მოსწავლემ დაიწყო ტირილი – მასწავლებელმა დაუწყო დამშვიდება დავალება შეუსრულებელი დარჩა). აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა ქცევის ფუნქციის განსაზღვრისთვის (მაგ. მოყვანილ მაგალითში მოსწავლემ ტირილით თავი აარიდა არასასურველი დავალების შესრულებას), რათა პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებით შემუშავდეს სწორი ჰიპოთეზა<sup>8</sup>, რაც ქცევის მართვის სწორი სტრატეგიის არჩევის გარანტიაა.

ქცევის ფუნქციონალური შეფასების მეორე ეტაპზე ხდება დამატებითი მონაცემების შეგროვება: პრობლემური ქცევის უკეთ გასაგებად მასწავლებლებმა და მშობლებმა შესაძლოა მიზანშეწონილად ჩათვალონ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება. კერძოდ, მოსწავლის სხვა მასწავლებლებთან, თანაკლასელებთან, მათ შორის თვით მოსწავლესთან გასაუბრება. ეფექტურია, აგრეთვე, ქცევაზე პირდაპირი დაკვირვება, დავალების ანალიზი, რომელმაც შესაძლოა გამოავლინოს მისი შეუსრულებლობის მიზეზები. მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მოვიპოვოთ ბავშვის პირადი საქმისა და სხვადასხვა საბუთების შესწავლით. სკოლისა და სამედიცინო საბუთებში შეიძლება მოვიძიოთ ინფორმაცია პრობლემური ქცევის გამოვლინების სიხშირისა და ინტენსივობის შესახებ, ბავშვის სკოლაში დასწრების, ტესტირების შედეგების, მხედველობისა და სმენის პრობლემების და ა.შ. შესახებ.

### **ნაბიჯი №3: ჰიპოთეზის ჩამოყალიბება**

ქცევის აღწერისა და დამატებითი მონაცემების შეგროვების შედეგად, გამოიყოფა ქცევის ჰიპოტეტური გამომწვევი: რაც უფრო სრულყოფილია მონაცემები, ჰიპოთეზა მით უფრო ახლოსაა რეალობასთან. ჰიპოთეზაში ასახულია თუ რა ინვესს ამ ქცევას, როგორია ეს ქცევა, რა მოქმედებს როგორც ქცევის შემანარჩუნებელი და რა არის ქცევის ფუნქცია.

### **ნაბიჯი №4: ქცევის მართვის გეგმის შემუშავება**

პრობლემური ქცევის ჰიპოთეზიდან გამომდინარე, დგება ქცევის

---

<sup>8</sup> ვარაუდი

მართვის ინდივიდუალური გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ქცევის ფუნქცია, თუ რას ემსახურება მოცემული ქცევა კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ქცევის მართვის ინდივიდუალური გეგმა შეიძლება მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემადგენელი ნაწილიც იყოს.

**რა არის ქცევის მართვის ინდივიდუალური გეგმა?**

ქცევის მართვის გეგმა არის წერილობითი, ინდივიდუალური, ქცევითი მხარდაჭერის გეგმა შემუშავებული მოსწავლის ქცევის ფუნქციონალური შეფასების საფუძველზე. ქცევითი მხარდაჭერის გეგმა იყენებს პოზიტიურ ქცევით მხარდაჭერას გამოვლენილი აკადემიური და ქცევითი პრობლემების დასაძლევად.

**ქცევის მართვის გეგმა:**

- ემყარება ქცევის ფუნქციონალურ შეფასებას;
- იმართება ჰიპოთეზებისა ან „საუკეთესო ვარაუდების“ საშუალებით;
- მიმართულია ჩვევის შემუშავებასა და გარემოს ცვლილებაზე;
- მრავალმხრივია ჩარევის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენების შედეგად;
- ფასდება არა მხოლოდ სამიზნე ქცევის ცვლილების საშუალებით, არამედ, დროთა განმავლობაში, ცვლილების მდგრადობისა და სხვა სიტუაციაში, გარემოში გენერალიზაციის შედეგებით.

როგორც ავლიშნეთ, ქცევის ფუნქციონალური შეფასების შედეგად ხდება ჰიპოთეზის ჩამოყალიბება. ჰიპოთეზა შეიძლება შემდეგნაირად იქნას ფორმულირებული:

ყველა არსებული მონაცემი ადასტურებს – როდესაც ადგილი აქვს წინმსწრებ მოვლენას, გარკვეულ გარემო მოვლენებთან ერთად, ბავშვი ახორციელებს პრობლემურ ქცევას განსაზღვრული მიზნის მისაღწევად (ქცევას აქვს ესა და ეს ფუნქცია).

**მაგალითად:**

ყველა არსებული მონაცემი ადასტურებს – როდესაც მასწავლებელი ეხმარება სხვა მოსწავლეს ინდივიდუალური დავალების შესრულებაში, მოსწავლე აგდებს თავის წიგნს იატაკზე, რათა მოიპოვოს მასწავლებლის ყურადღება.

მონიტორინგის მიზნით უნდა იყოს დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს შეაფასოს მოსწავლის ქცევის ცვლილება და დადგინდეს, თუ რამდენად ეფექტურია მხარდაჭერის გეგმა.



ქცევის მართვის გეგმა შეიძლება ისახავდეს მიზნად პრობლემური ქცევის სხვა ქცევით ჩანაცვლებას. მაგალითად, მოსწავლისათვის ხელის აწევის სწავლებას წიგნის იატაკზე დაგდების სანაცვლოდ. ხელის აწევა უფრო ადეკვატურად ემსახურება მასწავლებლის ყურადღების მოპოვების ფუნქციას. ქცევის მართვის გეგმა ასევე შეიძლება იყენებდეს დაჯილდოებას დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისთვის. გეგმა შეიძლება:

- მოიცავდეს გარანტირებულად წარმატებული დავალებების სიას, რომელსაც მოსწავლე შეასრულებს ხელის აწევისა და დამოუკიდებლად მუშაობის სწავლების დროს;
- აღწერდეს ამ მოსწავლის შესაბამის განმამტკიცებლებს (ჯილდოებს) და განმტკიცების (დაჯილდოების) ცხრილით იმართებოდეს;
- განსაზღვრავდეს ქცევის მართვის ინდივიდუალური გეგმის შეფასების კრიტერიუმს და ადგენდეს განხილვისა და გადახედვის დროს.

ერთი ჰიპოთეზა ან საუკეთესო ვარაუდი შეიძლება გეთავაზობდეს ჩარევის — ინტერვენციის განსხვავებულ საშუალებებს. მაგალითად, მოსწავლე შესაძლოა არ იყოს მოტივირებული უპასუხოს სასწავლო მოლოდინებს. ერთ — ერთი ხერხი მოსწავლის აქტივობის გასაზრდელად იქნებოდა წამახალისებელი სტიმულების გამოყენება, მოსწავლისთვის ჩვევის პერსონიფიცირებულ კონტექსტში სწავლება, ან მოსწავლისთვის არჩევანის მიცემა მსგავსი სასწავლო აქტივობების განსხვავებულად შესრულების შეთავაზებით (მაგალითად, წიგნის დამოუკიდებლად წაკითხვა, წიგნის პარტნიორთან ერთად წაკითხვა, წიგნის აუდიო — ჩანაწერის მოსმენა).



- მონაცემი არაა „რვა – ასოიანი“ სიტყვა. მონაცემებზე დაფუძნებული გადანყვეტილებები ქცევით ფუნქციონალურ შეფასებას განაპირობებენ და წარმოადგენენ უფრო ეფექტური ჩარევის სტრატეგიებისა და ქცევის ცვლილების შეცვლილი მიდგომის საფუძველს;
- დაამყარეთ კარგი ურთიერთობები, ხაზი გაუსვით პოზიტიურს. განსაზღვრეთ სამუშაო გუნდისა და მოსწავლის ძლიერი მხარეები და გამოიყენეთ ისინი;
- ჩართეთ პროცესში, რამდენადაც შესაძლებელია, ყველა ის პირი, ვისაც მოსწავლესთან ურთიერთობა აქვს და მონაწილეობა მიიღებინეთ მშობლებს მთელ პროცესში. განიხილეთ პოზიტიური და ნეგატიური ცვლილებები. ერთ ადამიანზე მეტი უნდა იყოს ჩართული გეგმის შემუშავებაში, დანერგვა და განხორციელებაში;
- როდესაც მოსწავლის პრობლემური ქცევა ვლინდება საკლასო ოთახში, განიხილეთ სწავლასა და ქცევას შორის შესაძლო კავშირი. როდესაც მოსწავლე აცხადებს „მე ამას არ გავაკეთებ“, გაითვალისწინეთ, თუ რამდენად მოტივირებულია მოსწავლე, აქვს საჭირო უნარ-ჩვევები ან ესმის დასმული ამოცანა. განსხვავებულ თანხმობა (არ მინდა ამის გაკეთება) კომპეტენტურობისგან (არ შემიძლია ამის გაკეთება);
- ინტერვენციები იზოლირებულად იშვიათად მუშაობს. სხვა მასწავლებლების ჩართვა, სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია და სწავლებისადმი მიდგომის შეცვლა ერთიანად ხელს უწყობენ პოზიტიურ ცვლილებას.

### – ქცევის მართვის სტრატეგიები

როგორც უკვე ავლენინეთ, პოზიტიური ქცევითი მხარდაჭერის სტრატეგია მიზნად ისახავს ერთი მხრივ, პრობლემური ქცევის პრევენციას და მეორე მხრივ, ქცევის ცვლილებას პრობლემური ქცევის ახალი ქცევით ჩანაცვლების გზით. შესაბამისად, არსებობს 2 ძირითადი სტრატეგია, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკლასო ოთახში პრობლემურ ქცევებთან გამკლავების მიზნით. ესენია:

1. პრობლემური ქცევის პრევენცია;
2. ახალი უნარ-ჩვევების, ქცევების სწავლება.

როდესაც ვსაუბრობთ პრობლემური ქცევის პრევენციაზე, აუცილებელია ქცევის ფუნქციონალური შეფასების შედეგების გათვალისწინებით პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რა უნდა შეიცვალოს გარემოში, რათა თავიდან ავირიდოთ პრობლემური ქცევა?
- რა უნდა გაკეთდეს, რათა პრობლემური ქცევა შეუსაბამო გახდეს მოცემულ სიტუაციაში?
- ბავშვის რა ძლიერი მხარეები შემიძლია გამოვიყენო?
- რა უნდა გაკეთდეს, რათა ბავშვს დავეხმაროთ არ ჰქონდეს პრობლემური ქცევის გამომწვევ მიზეზზე (ტრიგერზე) რეაქცია ან ისე შეეცვალოს ეს მოვლენა/სტიმული, რომ აღარ იწვევდეს პრობლემურ ქცევას.

უნდა გვახსოვდეს, რომ პრობლემური ქცევის პრევენციის სტრატეგიის გამოყენება პრობლემური ქცევის გამოვლენას შეუძლებელს უნდა ხდიდეს. თუ ბავშვის პრობლემური ქცევის ფუნქციას რაიმესთვის თავის არიდება წარმოადგენს, მაშინ პრევენცია ნიშნავს:

- გარემოს, დავალების, მასალის, ინსტრუქციების მოდიფიკაცია გაქცევის საჭიროების შესამცირებლად;
- წესების შეხსენებას;
- არჩევანის გამოყენებას – ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, თანატოლების მხარდაჭერით შესაძლებელია თვითონ ბავშვმა მიიღოს გადაწყვეტილება, მოცემული ორი დავალებიდან, რომელს შეასრულებს;
- ვიზუალური ცხრილებისა და აქტივობების ვიზუალური გამოსახულების გამოყენებას, რაც სიტუაციას ბევრად გასაგებასა და პროგნოზირებადს ხდის;
- და სხვა.

თუ ბავშვის პრობლემური ქცევა სასურველის, იქნება ეს ყურადღება, რაიმე ნივთი და ა.შ. მიღებას ემსახურება, ამ შემთხვევაში პრობლემური ქცევის პრევენცია ნიშნავს:

- გარემოს, დავალების, მასალის, ინსტრუქციების მოდიფიკაციას, დახმარების თხოვნის საჭიროების შესამცირებლად;
- თანატოლების ჩართვას დახმარების პროცესში, მიეცით ბავშვს მეტი ყურადღება ან სხვა ნებისმიერი სტრატეგია, რომელიც შეამცირებს დახმარების თხოვნას;

სწავლის ენაში დახმარების გეგმა მოსწავლეთა სწავლების სიტუაციებში  
ქრონიკის შედგენის მიზნით



- ვიზუალური ცხრილების გამოყენებას, რომლებიც მოვლენებს პროგნოზირებადს ხდის;
- მოქმედების დასრულების სტრატეგიის გამოყენებას: ჯერ – შემდეგ (ჯერ ვკითხულობთ, შემდეგ ვამონმებთ დავალებას);
- არჩევანის მიცემას ორ (მასწავლებლისთვის და ამავე დროს მოსწავლისთვის) სასურველს შორის – აირჩიე, დღეს მოთხრობას ნაიკითხავ თუ სურათს აღწერ; და სხვა.

პრობლემური ქცევის სანაცვლოდ ახალი, სოციალურად მისაღები ქცევის სწავლება არაა ადვილი პროცესი, მაგრამ შესაძლებელია და გენერალიზაციის, სხვა სიტუაციაში განზოგადების დიდ შესაძლებლობებს მოიცავს. შესაბამისად, ახალი ქცევის, უნარ-ჩვევის სწავლება ახალი პრობლემური ქცევების აღმოცენების შემცირებასაც უწყობს ხელს. ახალი ქცევის სწავლებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ რისი თქმა უნდა ბავშვს პრობლემური ქცევით და რა იქნებოდა მოცემულ სიტუაციაში იგივეს მიღწევის უფრო მისაღები ფორმა. შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ქცევის ფუნქციონალურ შეფასებაზე, აუცილებელია პრობლემურ ქცევაზე დაკვირვების პროცესშივე ვიფიქროთ მსგავს სიტუაციაში რა იქნებოდა ჩვენთვის უფრო მისაღები ქცევა და როგორაა შესაძლებელი ამ ქცევის სწავლება. ახალი ქცევის სწავლება ნიშნავს:

- პრობლემური ქცევის ალტერნატიული, მაგრამ მისაღები ქცევის სწავლებას;
- ახალი უნარ-ჩვევა ეფექტური და ბავშვისთვის ადვილად მისაღწევი უნდა იყოს;
- უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ძლიერ მხარეებს;
- უნდა შეირჩეს, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, სწორი ჯილდო მისაღები ქცევის განხორციელებისათვის (იხ. დანართი 1). მაგალითად, როდესაც ბავშვის პრობლემური ქცევის მიზეზი არასასურველი აქტივობებისთვის თავის არიდებაა, ახალი ჩამანაცვლებელი ქცევები შეიძლება იყოს:
- შესვენების თხოვნა;
- დახმარების თხოვნა;
- ცხრილის მიყოლა;

- არჩევანის გაკეთება;
- გრძნობების იდენტიფიკაცია და გამოხატვა;
- თქვი „არა“;
- თქვი „ყველაფერი გაკეთებულია“;
- ცვლილებების მიღება – „ჯერ – შემდეგ სტრატეგია“.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქცევის მართვის ინდივიდუალური გეგმის მიზანს წარმოადგენს ქცევის ფუნქციონალური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ამავე დროს ინტერესების გათვალისწინებით, პრობლემური ქცევის პრევენციისა და ახალი მისაღები ქცევების სწავლების სტრუქტურირებული, თანმიმდევრული გეგმის გაწერა.

ჩარევის ნებისმიერი სტრატეგიის გამოყენებისას, მთავარია დაცული იყოს თანმიმდევრულობა. არ უნდა შემოვიღოთ ისეთი წესი ან პირობა, რომელსაც ვერ შევასრულებთ. მნიშვნელოვანია, რომ მიღებული გადანყვებულება არ იცვლებოდეს ერთპიროვნულად, ჯგუფის წევრებთან შეთანხმების გარეშე, ბავშვის პრობლემური ქცევის გამწვავების მიუხედავად /დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.დანართი 1/.

**ნაბიჯი №5: გეგმის განხორციელება, მონიტორინგი, შედეგების შეფასება და გადახედვა**

პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიის ბოლო ეტაპს წარმოადგენს ქცევის მართვის ინდივიდუალური გეგმის უშუალო განხორციელება და წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გეგმური გადახედვა აუცილებელი ცვლილებებისა და წარმატება – წარუმატებლობის შეფასების მიზნით.

ამრიგად, პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენებით, შესაძლებელია პრობლემური ქცევის როგორც პრევენცია, ასევე ალტერნატიული, სოციალურად მისაღები ქცევის სწავლება ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

დანართში 1 მოცემულია მაგალითები, რომლებიც კარგი დამხმარე საშუალებაა ქცევის ფუნქციონალური შეფასების განსახორციელებლად


სხვაგვარი უნდა იყოს დასაწყისის შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელი უნდა შეაფასოს მოსწავლის მიზანმიმართულ სწავლებას და განსაზღვროს მისი მოტივები და ინტერესები.

და ქცევის ინტერვენციის გეგმის შესამუშავებლად. „აკადემიური და ქცევითი მხარდაჭერის საწყისი დაგეგმვა: 30-წუთიანი თანამშრომლობა“ (სამუშაო ფურცელი 1.1.) იძლევა დროში განსაზღვრულ სტრუქტურას პრობლემური ქცევის იდენტიფიკაციისათვის, ფუნქციური შეფასების განხორციელებისა და ინტერვენციის დაგეგმვისათვის. დროში განწერილმა, სტრუქტურირებულმა და ძირითადი პირების ფოკუსირებულმა თანამშრომლობამ, მათ შორის მოსწავლისა და მშობლების, შეიძლება გააუმჯობესოს ჰიპოთეზის შემუშავება და ხელი შეუწყოს უფრო ეფექტური, ინდივიდუალური ინტერვენციის დაგეგმვას. დარჩენილი ორი მაგალითი, „ფუნქციური შეფასება და ქცევის მართვის გეგმის სამუშაო ფურცელი“ (სამუშაო ფურცელი 1.2) და „ფუნქციური შეფასების კითხვარი მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის“ (სამუშაო ფურცელი 1.3) დაგეხმარებათ თანამშრომლობის გაუმჯობესებაში, როდესაც დაგეგმილი ინტერვენციები რამდენიმე ადამიანის მონაწილეობას გულისხმობს. თანამშრომლობითი მიდგომა ასევე იძლევა პასუხისმგებლობის გარანტიას, როდესაც ქცევის მართვის გეგმის შეფასება მოხდება მონაცემებზე დაფუძნებული გადახედვისა და გადამონმების საშუალებით.

მოცემულ თავში ჩვენ განვიხილავთ სწავლის უნარის დარღვევის მქონე ორი მოსწავლის რეალურ შემთხვევას<sup>9</sup>, რომლებიც მოცემულ მომენტში სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმებზე დაყრდნობით.

შემთხვევა №1: ქეთი<sup>10</sup>

მოცემული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენილ იქნა მშობლის მოთხოვნის საფუძველზე, მას შემდეგ რაც ბავშვი ინტეგრირებული



9 გამოყენებულია შემდეგი მასალები: USAID-ის მხარდაჭერით ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ მიერ განხორციელებული პროექტის „თანაბარი პირობების განვითარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის“ მასალები; „ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის“ მიერ მონოდებული მასალა. რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

10 პროფესიული ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე შეცვლილია როგორც ბავშვების, ასევე ყველა მონაწილე პირის სახელები, გვარები და სხვა პირადი ინფორმაცია.



კლასიდან<sup>11</sup> გადავიდა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში. პირველი შეხვედრის ორგანიზატორი იყო სპეციალური პედაგოგი, რომელიც ასწავლიდა ქეთის ინტეგრირებულ კლასში და კარგად იცნობდა ბავშვის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის აკადემიურ უნარ-ჩვევებსა და ქცევით მახასიათებლებს.

**მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

**ზოგადი ინფორმაცია**

მოსწავლე (სახელი, გვარი)	ქეთევან . . .
სკოლა (რომელ სკოლაში დადის ბავშვი)	36 საჯარო სკოლა
კლასი (რომელ კლასში ირიცხება ბავშვი)	VI კლასი
დაბადების თარიღი (ბავშვის დაბადების თარიღი)	11.12.1996 წ.
ასაკი (ბავშვის ასაკი)	12 წლის
მშობელი/მეურვე (ბავშვის მშობელი ან მასზე პასუხისმგებელი პირი)	ზეინაბ . . .
ტელეფონი (ბავშვის ოჯახთან საკონტაქტო ტელეფონი)	-----
მისამართი (ბავშვის სახლის მისამართი)	-----

მოსწავლის ისგ-ზე პასუხისმგებელი პირი: ჯანა -----

11 ინტეგრირებული კლასი წარმოადგენს ინტეგრირებული სწავლების სპეციალურ კლასს, რომელიც განლაგებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში და მასში ირიცხებიან მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები.



პირველივე შეხვედრაზე ხდება გადანყვეტილების მიღება, თუ ვინ იქნება ისგ-ს შედგენაზე პასუხისმგებელი პირი, ვინ გაუწევს კოორდინირებასა და ორგანიზებას მომავალ შეხვედრებს. პრაქტიკული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ისგ-ს შეხვედრის ორგანიზატორი სასურველია იყოს ბავშვის კლასის დამრიგებელი, რაც აადვილებს სხვადასხვა საგნის მასწავლებელსა და სპეციალისტს შორის ურთიერთობას.

მოცემულ ცხრილში აღინიშნება შეხვედრის ტიპი და თარიღი. მაგ., ქეთის შემთხვევაში ეს იყო ჯგუფის პირველი შეხვედრა, რომელიც გაიმართა 10 ნოემბერს. შესაძლებელია პირველივე შეხვედრაზე განისაზღვროს მომავალი შეხვედრების თარიღები (თუნდაც საეარაუდო), რაც მონაწილე მხარეებს დაეხმარება პრაქტიკულად განხორციელებადი მიზნებისა და აქტივობების განსაზღვრაში.

შეხვედრის ტიპი	X (მონიშნეთ)	თარიღი
საწყისი შეხვედრა	X	10.11.09
შეხვედრა საჭიროებით განსაზღვრული		
შეხვედრა I, II, III ტრიმესტრის ბოლოს	I	
	II	
	III	
საბოლოო შეხვედრა/შეფასება		

ისგ შეხვედრის თარიღი: 10.11. 09

ისგ — ს შეხვედრის მონაწილეები<sup>12</sup>

	მშობელი/მეურვე	სახელი-გვარი	
1	დედა	ზეინაბი . . .	
2	ბებია	ეკატერინე . . .	
	სკოლის გუნდი	სახელი-გვარი, ტელეფონი	საგანი
1	დამრიგებელი	. . .	ქართული
2	მასწავლებელი	. . .	ბუნება
3	მასწავლებელი	. . .	მათემატიკა
4	სპეციალური მასწავლებელი	. . .	. . .
	სხვა სპეციალისტები	სახელი-გვარი, ტელეფონი	
1	ფსიქოლოგი	. . .	
2	ოკუპაციური თერაპევტი	. . .	
3			

12 ყოველი ისგ შეხვედრისთვის ივსება ახალი ფურცელი იმ ადამიანების მითითებით, ვინც მონაწილეობას იღებს ამ შეხვედრაში. არ არის აუცილებელი ყველა დაესწროს შეხვედრას. შეხვედრის ტიპიდან გამომდინარე (შეხვედრა საჭიროებით განსაზღვრული, ტრიმესტრის ბოლოს, საბოლოო შეხვედრა სასწავლო წლის ბოლოს) ხდება შეხვედრის მონაწილეების განსაზღვრა. შესაძლებელია შეხვედრას არ დაესწროს ბავშვის ყველა მასწავლებელი ან რომელიმე სპეციალისტი (მაგ., ფსიქოლოგი ან სპეციალური პედაგოგი), თუმცა სასურველია, თუ მოხდება შეხვედრის შედეგების გაზიარება ბავშვთან მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებისთვისაც, ვისაც არ მიუღია მოცემულ შეხვედრაში მონაწილეობა.



პირველივე შეხვედრაზე ხდება მოსწავლის ის-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა ანუ ის-ს გუნდის ჩამოყალიბება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი). ცალკეულ შემთხვევებში სასურველია, თუ შეხვედრას დაესწრება თვითონ მოსწავლეც.

**მოსწავლის ის-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი:**

	მშობელი/ მეურვე	სახელი-გვარი	
1	დედა	ზინაბ . . .	
	სკოლის გუნდი	სახელი-გვარი, ტელეფონი	საგანი
1	დამრიგებელი		ქართული
2	მასწავლებელი		ბუნება
3	მასწავლებელი		მათემატიკა
4	სპეციალური მასწავლებელი		

თითოეულ შეხვედრაზე, განსაკუთრებით კი პირველ შეხვედრაზე, აუცილებელია განისაზღვროს, როგორც მშობლის (ან მოსწავლის), პრიორიტეტი თუ რას უნდა, რომ მისმა შვილმა მიიღოს დროის გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტულ აკადემიურ საგანში და ასევე, მასწავლებლის სურვილი, თუ რა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს, მისი აზრით, ბავშვს და რაში სჭირდება დამატებითი დახმარება.

**მშობლის პრიორიტეტი და ინტერესი: გამოსწორდეს ქეთის ქცევა კლასში, ასრულებდეს საშინაო დავალებებს.**



**ქართული ენის მასწავლებლის სურვილი: ასრულებდეს მითითებებსა და საკლასო დავალებებს.**

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებამდე აუცილებელია ბავშვის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე აკადემიური შეფასება, რათა განისაზღვროს მისი ფუნქციონირების დონე, ძლიერი და სუსტი მხარეები და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შემუშავდეს ბავშვისთვის ადეკვატური გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. ბავშვთან მუშაობის პროცესში ვეყრდნობით ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებს და მათი საშუალებით ვმუშაობთ მის საჭიროებებზე. თუ ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების შეფასება, საჭირო რესურსების (მაგ., სკოლის ფსიქოლოგი) ნაკლებობის გამო, შეუძლებელია, აუცილებელია გაკეთდეს მისი აკადემიური შეფასება – რა შეუძლია და რა არ შეუძლია და სპეციალური მასწავლებლის მიერ შეფასდეს შესაძლო ცვლილებები ბავშვის სასწავლო პროგრამაში და სწავლების სტრატეგიებში ბავშვზე დაკვირვების გზით.



### შეფასების შედეგები<sup>13</sup>

სფერო	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
აკადემიური უნარები:	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცავს რეგულში წერილას სიტყვებს შორის მანძილს.</li> <li>• იწერს ორმარცვლიან სიტყვას.</li> <li>• კარნახით წერს სამ ასოიან სიტყვს.</li> <li>• დაფიდან რეგულში იწერს სიტყვას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ასოები დამახინჯებულია, ძალიან დიდი.</li> </ul>
კითხვა	• შეუძლია სამ-ოთხ ასოიანი სიტყვის წაკითხვა.	• არ შეუძლია ორმარცვლიანი სიტყვის დამარცვლა.
თხრობა	• შეუძლია მოთხრობის გარშემო მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა.	• ვერ ყვება მარტივ მოთხრობას.
ანგარიში	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია შეკანიკური დათვლა 40-ის ჩათვლით.</li> <li>• საგნების რაოდენობის განსაზღვრა ხუთის ფარგლებში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ შეუძლია:</li> <li>• ერთიანების მიმატება 15-ის ფარგლებში.</li> <li>• რიცხვების წერა 20-იდან 40-ის ჩათვლით.</li> <li>• რიცხვების დალაგება 40-ის ჩათვლით.</li> <li>• 5-ის ფარგლებში მიმატება ნებისმიერი კომბინაციით.</li> <li>• მაგალითის შედგენა.</li> </ul>

13 მოცემულ ცხრილში იწერება ბავშვის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე აკადემიური შეფასების შედეგები ძლიერი და სუსტი მხარეების გამოყოფით

<p>შემცნებითი უნარები (ცურადლევა, მეხსიერება, აღქმა)</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფერის, ფორმისა და ზომის იდენტიფიკაცია;</li> <li>• მარტივი გეომეტრიული ფიგურების ჩვენება;</li> <li>• მსგავსი ფიგურების გარჩევა;</li> <li>• ყურადღების კონცენტრაცია;</li> <li>• მარტივი საგნების ერთ კატეგორიაში გაერთიანება (ვაშლი, ბანანი — ხილი) და ურთი კატეგორიის საგნებს შორის განსხვავებულის მოძიება. (ცაბლი, ბანანი, კიტრი).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ შეუძლია გეომეტრიული ფიგურების დასახელება;</li> <li>• მეხსიერების მოცულობა შევიწროვებულია (5 გაშეორების შემდეგ მსიტყვიდან იმახსოვრებს მხოლოდ 4-ს).</li> </ul>
<p>ემოციური სფერო და სოციალური უნარები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია მისაღებად დაშვადობა და მოუკიდებლად;</li> <li>• მოკითხვაზე პასუხის გაცემა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ახალ სიტუაციაში/ადამინთან უმოთუა და კომუნიკაციაზე უარი.</li> </ul>
<p>კომუნიკაციის უნარი ენა/მეტყველება</p>	<p>ყოველდღიური მეტყველება გრამატიკულად გამართულია და ადეკვატური.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვერ ყვება მარტივ მოთხრობასა და ამბავს;</li> <li>• თავს არიდებს ვერბალურ პასუხებს.</li> </ul>
<p>მსხვილი მოტორული უნარები</p>	<p>ასაკის შესაბამისადაა განვითარებული.</p>	<p>-</p>
<p>ნატივი მოტორული უნარები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია მარტივი გეომეტრიული ფიგურების გამოჭრა.</li> <li>• წერს ასოებსა და რიცხვებს.</li> <li>• შეუძლია გამოძიერება — გაფერადება.</li> </ul>	<p>-</p>

<p>ქვეა</p>	<p>ნაცნობ გარემოში ასრულებს მართვით ინსტრუქციებს.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უცხო გარემოში/ადამიანთან არ იცავს ნების, არ ასრულებს მართვით ინსტრუქციებს.</li> <li>• ადვილად იღლებს.</li> </ul>
<p>სავაგანათლებლო გარემო</p>	<p>რესურსი</p>	<p>ბარიერი</p>
<p>რესურს-ოთახი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოკლე საგუშაო პერიოდები;</li> <li>• მართვით, თვალსაჩინო ინსტრუქციები.</li> </ul>	
<p>ზოგადსავაგანათლებლო კლასი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქტივობების მოცავალფეროვნება;</li> <li>• კლასში დამხმარე თანაკლასელი.</li> <li>• მოსწავლეების რაოდენობა (კლასში 40 ბავშვია);</li> <li>• გაკვეთილის ხანგრძლივობა.</li> </ul>	

**ინდივიდუალური სასნავლო გეგმა <sup>14</sup>**

საგანი: ბუნება

მასნავლებელი: -----

გრძელვადიანი მიზანი/ები (მოცემულ გრაფაში ინერება ეროვნული სასნავლო გეგმის შესაბამისი მიზანი ბავშვის შესაძლებლობებისა და კლასის გათვალისწინებით, რომელსაც ბავშვმა წლის ბოლოს უნდა მი-აღწიოს).

- ბუნებრივი მოვლენების ამოცნობა და მარტივი პროცესების აღწერა;
- გამოსაკვლევე საკითხის შესახებ კითხვების დასმა.

მოკლევადიანი მიზანი/ები		თარიღი
1	ბუნებრივი მოვლენების ცნობა/დახასიათება;	30.12.2009
2	წელიწადის დროების ცნობა/დახასიათება;	15.02.2010

14 ეს ფურცელი შეიძლება გადამრავლდეს საგნების მიხედვით.



	მინის შესაბამისი აქტივობები	მასალა	სად სრულდება აქტივობა (კლასი, რესურს ოთახი)	მასალის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი (მშობელი, პედაგოგი, სკოლის ფსიქოლოგი და სხვა.)	აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
1	სურათებიდან მასწავლებლის მიერ დასაბუთებული ბუნებრივი მოვლენის შესაბამისი სურათის გამოჩვენება/თითის დადება.	სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის ამსახველი პლაკატები, ალბომები	კლასი	პედაგოგი	პედაგოგი
2	ბუნებრივი მოვლენის შესაბამისი სურათის გაფერადება.	გასფერადებლები	კლასი	მშობელი	პედაგოგი
3	ბუნებრივი მოვლენის დახატვა.	ფლომასტერები, კალაღი	რესურს-ოთახი	სპეც. პედაგოგი	სპეც. პედაგოგი
4	ბუნებრივი მოვლენის გარშემო დასმულ მარტივ შეკითხვაზე ერთსიტყვიანი პასუხის გაცემა.		კლასი	პედაგოგი	პედაგოგი
5	წელნადის დროების შეკენიკური ჩამოთვლა თანამიმდევრობის დაცვით.		კლასი	პედაგოგი	პედაგოგი

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავდეთა სწავლება

	მშობელი	სპეც. პედაგოგი
6	ნელინადის დროების შესაბამისი სურათის გაფერადება.	გასაფერადებლები, ფლომასტერები და/ან ფანქრები
7	სურათებიდან მასწავლებლის მიერ დასახელებული ნელინადის დროის შესაბამისი სურათის გამოჩვენება.	კლასი
8	ნელინადის დროების გარეშე დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.	კლასი
	პედაგოგი	პედაგოგი



## ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი<sup>15</sup>

განმხორციელებელი: \_\_\_\_\_

მიზანი: ბუნებრივი მოვლენების ცნობა/დახასიათება

მიზნის მიღწევის შეფასების პრინციპები:

0 – ვერ ასრულებს,

1 – ასრულებს დახმარებით;

2 – ასრულებს დამოუკიდებლად; (არ ვაკეთებთ არანაირ აღნიშვნას, თუ მოცემული აქტივობა ამ დღეს არ განხორციელდა. მიზანი მიღწეულად ითვლება, თუ ბავშვი სულ ცოტა 5-ჯერ შეასრულებს მიცემულ დავალებას სწორად და დამოუკიდებლად).

	მიზნის შესაბამისი აქტივობები	მიზნის შესაბამისი აქტივობები									
		19.11.	21.11	24.11	25.11	1.12					
1	სურათებიდან მასწავლებლის მიერ დასახელებული ბუნებრივი მოვლენის შესაბამისი სურათის გამორჩევა/თითის დადება.										
2	ბუნებრივი მოვლენის შესაბამისი სურათის გაფერადება.										
3	ბუნებრივი მოვლენის დახატვა.										
4	ბუნებრივი მოვლენის გარშემო დასმულ მარტივ შეკითხვაზე ერთ-სიტყვიანი პასუხის გაცემა.										
5	ნელინადის დროების მექანიკური ჩამოთვლა თანამიმდევრობის დაცვით.										
6	ნელინადის დროების შესაბამისი სურათის გაფერადება.										
7	სურათებიდან მასწავლებლის მიერ დასახელებული ნელინადის დროის შესაბამისი სურათის გამორჩევა.										
8	ნელინადის დროების გარშემო დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.										

<sup>15</sup> ეს ფურცელი შეიძლება გადამრადდეს ყოველკვირული აღრიცხვისთვის სხვადასხვა საგნების მიხედვით.

თსუ

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ინდივიდუალური სასწავლო გეგმა<sup>16</sup>

საგანი: ქართული

მასწავლებელი: \_\_\_\_\_

გრძელვადიანი მიზანი/ები (მოცემულ გრაფაში იწერება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი მიზანი ბავშვის შესაძლებლობებისა და კლასის გათვალისწინებით, რომელსაც ბავშვმა წლის ბოლოს უნდა მიაღწიოს).

მოთხრობის მოკლე შინაარსის დამოუკიდებლად გადმოცემა;  
გამოსაკვლევი საკითხის შესახებ კითხვების დასმა;  
მარტივი წინადადების კარნახით ჩაწერა.

მოკლევადიანი მიზანი/ები		თარიღი
1	მოთხრობის შინაარსის აბზაცებად დაყოფა და კითხვა-პასუხით გადმოცემა;	30.12.2009
2	სურათის შესაბამისად მარტივი კითხვების დასმა;	15.02.2010
3	ორმარცვლიანი სიტყვების კარნახით ჩაწერა.	30.12.2009

16 ეს ფურცელი შეიძლება გადამრავლდეს საგნების მიხედვით.



<p>მიზნის შესაბამისი აქტივობები</p>	<p>მასალა</p>	<p>(სვლად რეგისტრაცია 'სივლიანი' აღწერის დასრულების შემდეგ)</p>	<p>საქართველოს მთავრობის განცხადებით</p>	<p>საყარო სპონსორების დახმარებით -საინფორმაციო რესურსების</p>
<p>1 მარტივი მოთხოვნის ახსნის დაწყება და თითოეული ახსნისთვის შესაბამისი კითხვების დასმის</p>	<p>პროგრამის შესაბამისი მოთხოვნების ადაპტირებული (შემოკლებული და გამარტივებული) ვარიანტები</p>	<p>კლასი</p>	<p>საქართველო</p>	<p>საქართველო</p>
<p>2 მოთხოვნის ახსნის დაწყების</p>	<p>მოთხოვნების ადაპტირებული (შემოკლებული და გამარტივებული) ვარიანტები</p>	<p>კლასი</p>	<p>საქართველო</p>	<p>საქართველო</p>
<p>3 მოთხოვნის დასრულების დასრულების</p>	<p>სადასრულო ნაბიჯები</p>	<p>კლასი</p>	<p>საქართველო</p>	<p>საქართველო</p>
<p>4 მარტივი ინფორმაციის მიწოდების დასრულება</p>	<p>მარტივი ინფორმაციის მიწოდების დასრულება</p>	<p>სადასრულო-ინფორმაციო</p>	<p>საქართველო</p>	<p>საქართველო</p>
<p>5 მარტივი ინფორმაციის მიწოდების დასრულება</p>	<p>მარტივი ინფორმაციის მიწოდების დასრულება</p>	<p>კლასი</p>	<p>საქართველო</p>	<p>საქართველო</p>

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი<sup>17</sup>

განმხორციელებელი: \_\_\_\_\_

მიზანი: ქართული ენა

მიზნის მიღწევის შეფასების პრინციპები:

- 0 – ვერ ასრულებს,
- 1- ასრულებს დახმარებით;
- 2 – ასრულებს დამოუკიდებლად;

(არ ვაკეთებთ არანაირ აღნიშვნას, თუ მოცემული აქტივობა ამ დღეს არ განხორციელდა. მიზანი მიღწეულად ითვლება, თუ ბავშვი სულ ცოტა 5-ჯერ შეასრულებს მიცემულ დავალებას სწორედ და დამოუკიდებლად).

მიზნის შესაბამისი აქტივობები		19.11.	21.11	24.11	25.11	1.12		
1	მარტივი მოთხრობის აბზაცებად დაყოფა და თითოეული აბზაცისთვის შესაბამისი კითხვების დასმა							
2	მოთხრობის აბზაც-აბზაც მოყოლა							
3	მოთხრობის შინაარსის შესაბამისი ნახატის აღწერა							
4	მარტივი ორმარცვლიანი სიტყვების ნაკითხვა							
5	მარტივი ორმარცვლიანი სიტყვების კარნახით ჩანერა							

17 ეს ფურცელი შეიძლება გადამრავლდეს ყოველკვირეული აღრიცხვისთვის სხვადასხვა საგნების მიხედვით.



შემთხვევა №2:

მოსწავლე: ლევანი  
დაბადების თარიღი:  
23.01.96

ასაკი: 116 4თ

დიაგნოზი: ბავშვთა  
ცერებრული დამბლა  
გასათვალისწინებელი  
ინფორმაცია: - ლევანი  
დღეში 2-ჯერ (დილით  
და საღამოს) იღებს ან-  
ტიეპილეფსიურ მედიკა-  
მენტებს (გულყრები აღარ



აქვს), წამლის მიღებას აკონტროლებენ უფროსები. ლევანს დამხმარე საშუალებები არ ესაჭიროება

სოციალური ისტორია: ლევანი ცხოვრობს დედასთან, მამასთან და ბებიასთან ერთად, ლევანი დღის უმეტეს ნაწილს სახლში ან ეზოში ატარებს, მამასთან და მეზობლებთან ერთად. ხშირად მიდის მაღაზიაში (სახლთან ახლოს), სადაც დედა მუშაობს.

განათლება: ლევანი 1 წელი დადიოდა საჯარო სკოლაში, IV კლასში, რადგან ასაკობრივად ეს ჯგუფი ჩაითვალა შესაბამისად (დანაშვებით კლასები არ გაუვლია). სკოლაში 1 წელი იარა. დედამ სკოლიდან გამოიყვანა მასწავლებლების მხრიდან არადაამაკმაყოფილებელი მიდგომის გამო.

ლევანი ბოლო ერთი წლის განმავლობაში დადიოდა ყრუთა სკოლაში, სადაც 3 საათამდე რჩებოდა.

ლევანს თავდაპირველად გაუჭირდა სკოლასთან შეგუება. სკოლაში დედაც ბავშვთან ერთად რჩებოდა, დერეფანში ან კლასში. დედა ხშირად ეხმარებოდა მასწავლებელს მის დამშვიდებაში, ტუალეტში გაყვანაში, ემინოდა ბავშვი დერეფანში რომ არ წაქცეულიყო.

ლევანს დეკემბრის შემდეგ სკოლაში აღარ უვლია. დედა ამისი მიზეზად სკოლაში არადაამაკმაყოფილებელ პერობებს ასახელებს - სურს „უფრო თბილი გარმო, მასწავლებლები ხელფასის გამო არ მუშაობდნენ, ბავშვი უფრო წინ წავიდეს, ტრანსპორტირება ჯდებაოდა ძვირი“. გარდა ამისა დედა ამჩნევდა ლევანსა და სხვა ბავშვებს შორის ხშირად დაძაბულ ურთიერთობას - „ბავშვები ბრაზდებოდნენ, ლევანი რომ ლაპარაკობდა“.

ლევანი ითხოვს სკოლაში სიარულს, ხშირად ასხენებს შეგობარს, თანაკლასელს, რომელთან ერთადაც დიდ დროს ატარებდა.

ლევანი იმყოფება აღრიცხვაზე რეაბილიტაციის ცენტრში „ტონუსი“, სადაც წლინადში რამდენიმეჯერმე უტარდება ფიზიკური თერაპიის კურსი.

**შენიშვნა:** მშობლის სურვილის გათვალისწინებით და ორგანიზაცია „გადავარჩიოთ ბავშვების“ მხარდაჭერით, დაიგეგმა ლევანის ქუთაისის საჯარო სკოლაში ინკლუზია. სკოლაში წარმატებული ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობა, რომლიც შეიქმნა მონვეულ პროფესიონალთა (ფიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი) და სკოლის პედაგოგთა თანამშრომლობით. გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა აიღეს სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორმა და ლევანის პედაგოგებმა.

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა**

**ზოგადი ინფორმაცია**

მოსწავლე	ლევანი
სკოლა	ქ. ქუთაისი, № ..... საჯარო სკოლა
კლასი	IV კლასი
დაბადების თარიღი	23. 01. 96
ასაკი	11 წ 4თ
მშობელი/მეურვე	ნანა XXXXX
ისგ-ს შექმნის თარიღი	9.10.2008 – 16.30 სთ
მოსწავლის ისგ-ზე პასუხისმგებელი პირი	ელზა, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი

**ისგ-ს შეხვედრები**

შეხვედრის ტიპი	X (მონიშნეთ)	თარიღი
საწყისი შეხვედრა	X	9.10.2008
შეხვედრა საჭიროებით განსაზღვრული		
შეხვედრა I, II, III ტრიმესტრის ბოლოს	I	
	II	
	III	
საბოლოო შეხვედრა/შეფასება		



ისგ — ს შეხვედრის მონაწილეები <sup>18</sup>

მშობელი/მეურვე		სახელი-გვარი	
1	დედა	ნანა >>>>>>>	
2	ბებია	ცილა >>>>>>>	
	სკოლის გუნდი	სახელი-გვარი	საგანი
1	დამრიგებელი	ინგა >>>>>>>	ქართული, მათემატიკა, ბუნება
2	მასწავლებელი	ირინა >>>>>>>	ხელოვნება
3	ინკლუზიური განათლების კოორდინატორი	ელზა >>>>>>>	ი.ს.გ. ზე პასუხისმგებელი პირი
4	სკოლის დირექტორი	გიორგი >>>>>>>	
	მულტიდისციპლინური გუნდი	სახელი-გვარი	
1	ფსიქოლოგი	ნინო >>>>>>>	
2	სპეც პედაგოგი		
3	ლოგოპედი		
4	ოკუპაციური თერაპევტი	რუსიდან >>>>>>>	

18 ყოველი ისგ შეხვედრისთვის ივსება ახალი ფურცელი

თავი 1

ჩხივანო  
მედიცინის  
კვლევების  
ცენტრი

**მოსწავლის ისგ-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი:**

	მშობელი/მეურვე	სახელი-გვარი
1	დედა	ნანა >>>>>>>
2	ბებია	ცილა >>>>>>>
	სკოლის გუნდი	სახელი-გვარი
1	დამრიგებელი	ინგა >>>>>>>
2	მასწავლებელი	ირინა >>>>>>>
3	ინკლუზიური განათლების კოორდინატორი	ელზა >>>>>>>

**მშობლის პრიორიტეტი და ინტერესი**

დედას სურს ლევანმა სექტემბრიდან განაახლოს ისეთ სკოლაში სიარული, სადაც ბავშვს მეტ ყურადღებას მიაქცევენ. დედა თვლის, რომ „ბავშვი ზეპირ დავალებებს მოამზადებს, გაკვეთილზე კი აუცილებლად უნდა გამოკითხონ. მას უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო მასალა, დასურათებული წიგნები, რომ უფრო დაინტერესდეს.“

დედა მიიჩნევს, რომ მასწავლებელმა გარკვეული სიმკაცრეც უნდა გამოიჩინოს ლევანის მიმართ, რომ ბავშვი გაკვეთილზე კარგად მოიქცეს.

**მასწავლებლის სურვილი**

დამრიგებლის სურვილია, ლევანმა ათვისოს სკოლაში და კლასში ქცევის წესები და შეასრულოს მისთვის შერჩეული დავალებები. დამრიგებელი მიიჩნევს, რომ დროულია ლევანისთვის წერა-კითხვის უნარების ათვისებაზე მუშაობის დაწყება.



## შეფასების პროცედურა

- შემფასებელი:** ფსიქოლოგი  
ოკუპაციური თერაპევტი  
დამრიგებელი
- შეფასების მეთოდი:** შეფასება განხორციელდა შემდეგი  
მეთოდების საფუძველზე:  
The Learning Accomplishment  
Profile-Revised (LAP-R)  
შფოთვის ტესტი (Р. Темпл, М. Дорки,  
В. Амен,- Тест Тревожности)  
მშობლის ინტერვიუება  
ბავშვზე დაკვირვება

შეფასება განხორციელდა ბავშვთან ორჯერადი შეხვედრის საფუძველზე – სახლში და სკოლაში.

შეფასების პროცესში ლევანი იყო მოტივირებული და დაინტერესებული შეესრულებინა მიცემული დავალებები. გამოხატავდა იმპულსურობას, ხშირად ეფანტებოდა ყურადღება ტესტური დავალებების შესრულებისას, თუმცა შესაძლებელი იყო მისი ისევე მიცემულ დავალებაზე გადმორთვა. სჭირდებოდა თითო ინსტრუქციის ორჯერ გამეორება, დავალების არსის გასაგებად.



შუფასების შედეგები

სდერო	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
წერა	<p>ლევანს შეუძლია პერტიკალური და პორიზონტალური ხაზების გასმა, ლევანს შეუძლია ნეიტრლების შეერთება სწორი ხაზით, ხტავს ჯვარს, ოთხკუთხედს (ეს დავალებები მას სკოლაში აქვს გაარჯობებული).</p> <p>ლევანს შეუძლია მხოლოდ ცალკეული ციფრების — 1,2,3,4 დანერვა,</p>	<p>თუმცა ძალიან მალე კარგავს ინტერესს მიცემული ინსტრუქციის მიმართ და მიცემულ დავალებას აღარ, ან სხვაწიანადად ასრულებს.</p> <p>თუმცა ხშირად ეშლება და დაფალებული ციფრის ნაცვლად სხვას წერს.</p> <p>ლევანს არ შეუძლია ასოების ჩანერვა, დანერვლ ციფრებს გეგი ხშირად შეცდომით ასახელებს.</p>
კითხვა	<p>ლევანი ცნობს მხოლოდ ცალკეულ ასოებს — ა, ი, ო,</p>	<p>თუმცა ხშირად ეშლება მათი სწორად დასახელება.</p>
თხრობა	<p>ლევანს უყვარს ამბების გადმოცემა, ძირითადად ყველა დღის გამოცდრლებათა მიღებულ ისტორიებს.</p>	<p>ლევანს უჭირს ამბის გაგმულად და თანმიმდევრულად გადმოცემა. არ შეუძლია არც ნაცნობი ამბის, ზღაპრის გადმოცემა (ნითელუდას ყველა შუიდან, სჭირდება მუდმივი ნახალისება ამბის გასაგრძელებლად, დამატებით შეკითხვები არ ეხმარება, ხშირად ზღაპრიდან გადადის დღის გამოცდილების მოყოლაზე, სვამს სიტუაციურად შესაბამო შეკითხვებს. რთულია, მისი აღნიშნული შინაარსზე გადმოერთ-</p>
ანგარიში	<p>ლევანი ითვლის 10 მდე, თუმცა ხშირად ეშლება. სწორად მხოლოდებს მტტ საგანზე.</p>	<p>ლევანს საგნების გადათელი და მათი რაოდენობის განსაზღვრა არ შეუძლია.</p> <p>ლევანმა, ყურადღების კონცენტრაციის სირთულის გამო, ვერ მიუთითა ნაკლებ საგნებს ზუსტად.</p>

სტატუსი: სტატუსი

შემეცნებითი უნარები (ყურადღებობა, მესიყრება, აღქმა)

ლევანს შეუძლია სწორად განსაზღვროს დიდი და პატარა, მოკლე და გრძელი, ცარიელი ობიექტი. სწორად მიუთითებს მიწვევ, მსუბუქ, უხეშ და პრილა, მაღალ და დაბალ, რბილ და მაგარ საგნებზე.

ლევანს შეუძლია პირამიდის რგოლების ღერძზე ჩამოცმა, თუმცა პერიოდულად ეძლეოდა რგოლების თანმიმდევრობა მათი სიდიდის მიხედვით ჩამოცმისას.

ჩვენებისა და გაჯერვიუმების შემდეგ, შესძლო ფერების სწორედ დაწვეილება.

ლევანი ცნობს და სწორად მიუთითებს გეომეტრიულ ფიგურებს. ასახელებს წიგს, თუმცა იგივე დაეულებას, ყურადღების გადანტების შემდეგ, შეცდომით ასრულებს.

ლევანი არჩევს მარჯვენა, მარცხენას.

ლევანს შეუძალების პროცესში ყოველ ჯერზე სჭირდება ბიდა ინსტრუქციის ორჯერადი გაგონება, ზედმეტი განმარტების მიცემა დაეულების არის გასაცემა დაეულების შესრულების პროცესში, ხშირად უფანტე ბიდა ფურადღება, დაეულების შესრულების პარალელურად სვამდა შეკითხვებს, ყვებიდა ფრაგმენტულად ამბებს, ერთი თემიდან გადადიოზე მეორეზე.

ლევანი ცალკეულ მიცემულ ფიგურებს ვერ აღაგებს სიდიდის თანმიმდევრობის მიხედვით.

ლევანი ხშირად შეცდომით მიუთითებს და შეცდომით ასახელებს ძირითად ფერებს.

ლევანი ვერ მიუთითებს რიგში პირველ, ბოლო სურათს.

ლევანს არ შეუძლია კატეგორიის შესაბამისი საგნების ჩამოთვლა, თუმცა ნახალოსების შემდეგ, ბარათებზე მიუთითებს ცალკეულ გამოსახელებას სწორად (მაგ. მაჩვენებს რას ქვამთ); ლევანს უჭირს საგნებისთვის კატეგორიის დასახელება.

ლევანს არ შეუძლია საგნებს შორის მსგავსი და განსხვავებული ნიშნების დასახელება.

ლევანს არ შეუძლია საგნებს შორის კავშირის გამოვლენა და ერთმანეთთან დაწყვილება (ფეხსაცმლის ნიშნებთან დაწყვილება).

# მეტიხეჩქების განხილვა



<p>ემოციური სფერო</p>	<p>დღის გადმოცემაში, ლევანი კეთილგანწყობილი და თბილი ხავედია, თუმცა ხშირად ტირის თუკი უკრძალავენ სასურველ საქმიანობას.</p>	<p>ბეზია იხსენებს ლევანის ძლიერ აგრესიულ ქცევასაც — ყვირიდა, მაგდილად განაცარა ნიფთები, ჩამოვლიჯა ფარდა, რიდეცაც ბებიამ ხელის დახანა სისხოცა. ბავშვებთან სკოლაში კონდა ერთეული ნაკონკლავებები, იცოდა ხელის აქნევა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი ენა/მეტყველება</p>	<p>ენაპრაქსიული მეტყველება ლევანს შეუძლია აზრის კერბალურად გადმოცემა, შეუძლია თავის საჭიროების, დამოკიდებულებების გამოხატვა. ტელეფონზე საუბრისას, იყენებს მიღებულ რესალაკებს, თუმცა აზრის გადმოცემის მცდელობისას, წევრულად ეფანტება ყურადღება. ლევანი იძიხის ლექსს, თუმცა ფრაგმენტულად. ლევანი სოუვეტურ მოთხრობას აღწერს მხოლოდ ცალკეული გამოსახულებების დასახელებით, ხშირად გამოსახულებებზე არასწორ სახედლებას ახდენს. ცალკეულ მოქმედებებს ასახელებს, მხოლოდ კითხვის დამის შემხებევი. ლევანი საუბრობს 3-4 სიტყვიანი წინადადებებით, სვამს შეკითხვებს, გამოხტავს უარყოფას. საუბრისას აღენიშნება ავრომატიზმები. გარკვეულ წინადადებებს იძიხის გამართულად, ზოგში კი უშვებს გრაფიკულ და სინტაქსურ შეცდომებს. საუბრისას იყენებს მრავლობით რიცხვს, „მე, შენ“ ნაცვა-სახელებს. ლევანს შეუძლია ყოველდღიური მოხმარების საგნების მოქმედებების სწორად ჩვენება და დასახელება, ასახელებს სხეულის ნაწილებს. სწორად პასუხობს კითხვაზე „რა?, სად?“. შეუძლია ახსნას რა დანიშნულება აქვს ამა, თუ იმ ობიექტს, გრძობის ორგანიზებს, თუმცა ახასიათებს არა პირველადი ნიშნების გათვალისწინებით. ასახელებს ანტი-ინიშნებს, უშვებს ცალკეულ შეცდომებს.</p>	<p>ენაპრაქსიული მეტყველება ლევანი სხვის მიერ მიზიდებულ სოუვეტს ვერ გეზულობს. სოუვეტის მიზიდებისას, უჭირს მისი გამეორება და ამის მოყოლა, ეფანტება ყურადღება, არ შეულის დამატებითი შეკითხვები. უცხო სიტყვების წარმოთქმისას ლევანის მეტყველება ხდება დიზართოვლი. ლევანი შეცდომით იყენებს სიერციით მიმართვის აღმნიშვნელ თანხედებულებს.</p>

	<p><b>იმპერსონული მეტყველება</b></p> <p>ლევანს ესმის მიმართული მეტყველება. შეუძლია ერთსაფეხურიათი ინსტრუქციის მეორე პირისთვის სწორად გადაცემა, ორსაფეხურიათს გადასცემს ფრაგმენტულად, იმხის ცალკეულ სიტყვებს.</p>	<p><b>იმპერსონული მეტყველება</b></p> <p>ლევანს უჭირს გრძელი თანწყობილი წინადადების აზრის წყდობა.</p> <p>ლევანს არ შეუძლია ციფრითა რიგის დამახსოვრება და სწორად აღდგენა. სამსიტყვიან წინადადებას იმეორებს ზუსტად, უფრო მეტ წვერიანების გამოკეობისას ტოვებს წინადადების წვერებს, იმხის ცალკეულ სიტყვებს.</p> <p>არაზუსტად ესმის სივრცითი მიმართების აღმნიშვნელი თანდებულების მნიშვნელობა.</p> <p>ლევანი არაზუსტად აღადგენს მსგავსი ფლერადობის მეორე ბგერებს.</p> <p>ლევანს არ შეუძლია სიტყვაში შემავალი ასოების გამომდინარეუნიცირება და დასახელება.</p>
<p>მსხვილი მოტიორული უნარები</p>	<p>ლევანი გადაადგილდება დამოუკიდებლად, თუმცა სიარულისას ძლიერად იხრება მარცხნივ. კბეზე ადის ჩადის საზეღურზე ხელმოკიდებით, თითო კბეზე ორივე ფეხის ჩამოდგმით. ცდილობს სირბილს, თუმცა კარგავს წონასწორობას და ხშირად ეცემა. შეუძლია იატაკზე დამოუკიდებლად დაჯდომა, თუმცა სჭირდება დახმარება რომ ადგეს. წიეთის იატაკიდან ასაღებად იმუხლებს, დახრა არ შეუძლია.</p>	<p>ლევანს გადახტომა, სიმაღლიდან ჩამოხტომა არ შეუძლია. ვინრო ძელზე სიარულისას, კარგავს წონასწორობას.</p>

<p>ნატიფი მოტორული უნარები</p>	<p>ლევანი შემარკვენა. გეგის შუქძლა ორიე ხელის შე-თანხმეული გამოყენება აქტიუობისას, თუმცა წერისას რეველს არ აფიქსირებს მარცხენა ხელით, სჭირდება მითითება.</p> <p>შუქძლა 7 კუბიკიანი კოშკის აშენება, მეტ კუბიკიანი ენ-გრევა, შუქძლა მაშის მოხმარება საგნების ასაღებად და ჯამში ჩასაყრელად.</p> <p>შუქძლა ხელში რამდენიმე პატარა საგნის (მძივის) დაჭერა და მათი ბოილი ჩაყარა, აცმევს მძივებს ზონა-რე. სათლელით ოლის ფანქარს, კეცვის ქალაღს, მა-გრამ არაზუსტად (კუთხეებს ვერ ამიხევეს), კუბიკებით აშენებს ჭიქკარს, დებს ქალაღს კონვერტში (თუმცა დასჭირდა დიდი დრო), ქალაღი იგმუქნება.</p>	<p>ლევანს უჭირს თითების დოფერენცირებული მოძ-რაობების განხორციელება, (მუშტად მკერულ ხელზე ცერის ამოძრავება, ცერით თითოეული თითის წვერ-ზე შეხება).</p> <p>ლევანი ვერ ჭრის მაკრატლით სწორ ხაზზე.</p> <p>ლევანს არ შეუძლია ცალი ხელით ქალაღლის დაჭმუ-ჭენა და ბურთის ფორმის მიცემა.</p> <p>მას არ შეუძლია ძალის გამოყენება ვანალიანი კონს-ტრუქციის ასანყობად, თუმცა ნაწილებს ერთმანეთ-თან მიმართებაში წორად ადგამს.</p>
<p>ქცევა</p>	<p>ლევანი აქტიურად არის ჩართული ყოველდღიურ საქმი-ანობებში, უყვარს მამასთან ერთად საქმიაობა, ეზოში ფუსფუსი. უფროსები ცდილობენ სახლში ან ეზოში მარტო არ დატოვონ, არსებობს დაცემის საფრთხე. ლევანმა იცის რომ ეზოს გარეთ გასულია აკრძალულია, იცავს ამ აკრძალ-ვას. ლევანმა იცის დედის სამუშაო ადგილი, ხშირად მარ-ტო მიდის დედასთან ბალაზიაში, მოაქვს სახლში პური, თუკი საქორი თანხას ზუსტად გაატანვს.</p> <p>ქალაქიდან დაბრუნებისას ცნობს სახლის გზას და მარ-შუტს.</p> <p>სახლში ყოფნისას, დედას დაეცემა ოთახ-ოთახ, აკვირდ-ება საქმიაობისას, ესაუბრება.</p> <p>ლევანი ნაწილობრივ დამოუკიდებელია თვითმოვლის და ჰიგიენური აქტივობების განხორციელებისას.</p> <p>ამაგზად, ლევანი სახლში არ შეუცადინებს, დედა ვერ ითანხმებს, რომ ერთად იმეცადინონ.</p>	

საგანმანათლებლო გარემო	რესურსი	ბარიერი
	რესურსი ოთახი, სკოლაში არსებული თვალსაჩინოებები	კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა

**შენიშვნა:**

- ისგ — ს II შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა ისგ-ს განხორციელებაში ჩართული და მასზე პასუხისმგებელი ყველა პირი, ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შეირჩა და ლევეანისთვის განისაზღვრა წლის ბოლოს მისაღწევი სასწავლო შედეგი. გუნდმა სასწავლო შედეგად ლევეანის შესებების შედეგებიდან დასახული პრიორიტეტებიდან გამომდინარე (მიუხედავად იმისა, რომ გვერდით მითითებული) ლევეანისთვის მიზნად დაასაზღვრა / კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო მიზანი.
- დასახულ მიზნებზე მუშაობა განხორციელდება არა მხოლოდ ქართულის გაკვეთილზე, არამედ ყველა იმ გაკვეთილზე, რომელსაც დაესწრება ლევეანი დამატებით რესურს ოთახში.

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

1. გრძელვადიანი მიზანი (ეროვნული სასწავლო გემის ფარგლებში):

მოსწავლე ისმენს და ადექვატურად აღიქვამს მარტივ ინფორმაციას, სწორად რეაგირებს მარტივ სამეტყველო სიტუაციაში.

მოკლევადიანი მიზანი		მიზნის მიღწევის თარიღი
1	ლევანი ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციას	
2	ლევანი ამოიცნობს და იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა და ა.შ.)	

2. გრძელვადიანი მიზანი (ეროვნული სასწავლო გემის ფარგლებში):

მოსწავლე სათანადოდ აღიქვამს წაკითხული მარტივი ტექსტის შინაარსს.

მოკლევადიანი მიზანი		მიზნის მიღწევის თარიღი
1	ლევანი კითხულობს ხმამაღლა საკუთარ სახელს და გვარს	
2	ლევანი ცნობს ანბანის 3 ასოს – ა.ი.თ	



მიზნის შესაბამისი აქტივობები	მასალა	სად სრულდება აქტივობა (კლასი, რესურსი ოთახი)	მასალის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი (შრობელი, პედაგოგი, სკოლის ფსიქოლოგი და სხვა.)	აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
1 მასწავლებელი ესაუბრება კლასს და თუ ლევაანი არ უპასუხებს მას, მასწავლებელი პირადად ესაუბრება მას და ელოდება საპასუხო მისაღმებლს, შემდეგ აქვებს.	ფერადი სტიკერი ლევაანის დასაჯილდოებლად სასურველი ქვეყნის შემდეგ	ყველა გაკვეთილი		ლევაანის ყველა მასწავლებელი
2 მასწავლებელი უსწინს ლევაანს, რომ ის მის დაძაბულზე გამოიხდება და მასთან მივა, თუკი ლევაანი მას „მასწავლებელს“ დაუძახებს და სახელით, ან „აუნ“-ით არ მიმართავს. სწორედ დაძაბვის შემთხვევაში კი აუცილებლად მიუახლოვდება და მოუსმენს.  სხვა შემთხვევაში ლევაანი გაფრთხილებულია, რომ მასწავლებელი მისი ქვეყნის იფიორებს განახორციელებს.	ფერადი სტიკერი ლევაანის დასაჯილდოებლად სასურველი ქვეყნის შემდეგ	ყველა გაკვეთილი		ლევაანის ყველა მასწავლებელი



3	<p>მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას, რომ მან განმეორდოს დაფა, გამოადლოს კარი, საკიდზე ჩამოკიდდეს ტილო, სთხოვს გამოართვას ამხანაგს ნივნი შემდეგ დაუბრუნოს და გადაუხადოს მადლობა. ყოველივე ამის შესრულებისას მასწავლებელმა შეაქოს (ყოჩაღ, რომ ეს შეასრულე)</p>	<p>ფერადი სტიკერი ლევენის დასაჯილოებლად სასურველი ქცივის შემდეგ</p>	<p>ყველა გაცემილი</p>	<p>გემის ყველა მასწავლებელი</p>
4	<p>იმსკამისსწორადარჩევა, რომელზეც ლევენის სახელია აღნიშნული</p> <p>მისი სახელის და გვარის წარწერით რეგულარულად ამორჩევა 2-3 რეგულარულ მომენტში</p>		<p>ყველა გაცემილი</p>	<p>დამრიგებელი</p>
5	<p>ფურცელზე დანერგილი მისი სახელისა და გვარის გამოჩენვა სხვა წარწერებისგან</p> <p>საკუთარ ნამუშევარზე მისი სახელის მიკვრა</p>	<p>ფერადი ფურცლები</p>	<p>ქართულის და ბუნების გაცემილი</p>	<p>დამრიგებელი</p>
6	<p>ა, ი, თ ასოების გაფერავება, გამომკვრა, დაგვარვება,</p>	<p>ფერადი ფანქრები, თაბახის ფურცლები, კლასტელინი,</p>	<p>ქართულის გაცემილი, რესურს ოთახი</p>	<p>დამრიგებელი</p>



ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი<sup>19</sup>

განმხორციელებელი:

მიზანი:

მოკლევადიანი მიზნები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1					
2					
3					
4					
5					

შენიშვნა: აღწერეთ ქცევა შესაბამისი დღის სექტში

19 ეს ფურცელი შესაძლებელია გადამრავლდეს და დაურიგდეს ყველა იმ პედაგოგს და სპეციალისტს, რომლებიც მოსწავლესთან შესაბამისი მიზნის მიღწევაზე მუშაობს.

**დაწართი №1:**

პრობლემის გადაჭრის პროცესის საკონტროლო სია  
სწავლისა და ქცევის პრობლემების ფუნქციონალური შეფასება  
მოცემული საკონტროლო სია ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის  
პროცესის სტრუქტურირებას.

**ნაბიჯი 1:**

სამიზნე ქცევის (-ების) იდენტიფიკაცია

- პრობლემური აკადემიური დავალებები ან ქცევა (-ები), აღწერილი შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:
- სიხშირე;
- სიდიდე;
- ხანგრძლივობა;
- ლატენტური დრო;
- ინტენსიურობა;
- ადგილმდებარეობა;
- როდის და სად ხდება და სად არ ხდება;
- ალტერნატიული, იგივე სიტუაციაში მისაღები ქცევის აღწერა.
- საწყისი მონაცემები, შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინებით:
- წინმსწრები მოვლენები;
- შედეგები;
- უნიკალური ან ტიპიური;
- ხანგრძლივობა; ვითარება დროის ამ მონაკვეთში;
- გააანალიზეთ დროის, ადგილის, პიროვნების ცვლადების გათვალისწინებით;
- საჭიროების შემთხვევაში გააანალიზეთ უნდა იქნას დამატებითი მონაცემები.
- ინტერვიუები: მშობლის, მოსწავლის, სკოლის პერსონალის, მოსწავლის ცხოვრებაში ჩართული სხვა პირების;
- პირდაპირი დაკვირვება;
- მიმდინარე ჩანანერი;
- დროებითი შერჩევა;
- მოვლენის შერჩევა;
- მონაწილე აკადემიური დავალების ან ჩვევის მიზნის ანალიზი;



- მოსწავლის ისტორიის/პორტფოლიოს განხილვა;
- სკოლების შეცვლის ისტორია;
- დასწრების/დაგვიანებების ისტორია;
- ცვლილება ოჯახის შემადგენლობაში;
- შესრულებული სამუშაოს ხარისხი;
- სამედიცინო ისტორიის გავლენა;
- კულტურული, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების გავლენა;
- ინდივიდუური და ჯგუფური ტესტირების შედეგები;
- მასწავლებლის კომენტარები დავალებებზე;
- სპეციალური განათლების სერვისები;
- ბავშვის შემსწავლელი გუნდის ანგარიშები;
- სხვა: \_\_\_\_\_

**ნაბიჯი 2:**

განიხილეთ არსებული მონაცემები და ჩამოაყალიბეთ ჰიპოთეზები (ერთზე მეტი ჰიპოთეზა შეიძლება შეესაბამებოდეს სხვადასხვა ვი-თარებას)

*არსებული ჯანმრთელობის / ნევროლოგიური / სამედიცინო მდგომარეობა, რომელიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს მოსწავლის ქცევაზე*

- იდენტიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობები;
- მობილურობა;
- მსხვილი და/ან ნატიფი მოტორული უნარები;
- გულყრები;
- მედიკამენტოზური მკურნალობა (ტიპი, დოზა, სიხშირე, მიზანი);
- მედიკამენტოზური მკურნალობის არასასურველი გვერდითი ეფექტები;
- ამჟამინდელი ან წარსული თერაპია ან მკურნალობა;
- ჰოსპიტალიზაციები;
- წარსული შეფასებები;
- ძილის მახასიათებლები;
- ჭამის მახასიათებლები;
- ალერგიები;
- კანკალი (ტრემორი);
- დაღლილობა;

- მეხსიერება;
- იმპულსურობა;
- მდგრადი ყურადღება;
- ვიზუალური/მოტორული/სმენითი დავალებების ინტეგრაცია;
- სხვა \_\_\_\_\_
- სხვა \_\_\_\_\_

**სწავლასთან დაკავშირებული მახასიათებლები:**

- არაკომპეტენტური ქცევა თუ წინააღმდეგობრივი ქცევა (მაგ. „არ შემიძლია“, „არ მინდას“ წინააღმდეგ)?
- სასწავლო გეგმა ზედმეტად მარტივია თუ რთული?
- შეესაბამება მოსწავლის ცოდნასა და გაგების უნარს?
- მიწოდებულია მოსწავლის ძლიერი მხარეების ან სწავლების უპირატესი სტილის გათვალისწინებით?
- სწავლების ტემპი შესაბამისია?
- საკმარისი დრო ეთმობა ახალი ინფორმაციის, ჩვევების ათვისებას?
- გაკვეთილის სიგრძე შეესაბამება ყურადღების მოცულობას?
- სასწავლო გეგმა საკმარისად ფართოა (მაგალითად, მხოლოდ ფონემები, თუ ფონემები სხვადასხვა ტიპის დავალებებში)?
- ტესტირება თუ შესრულებით შეფასება?
- მასწავლებლის მოლოდინები ზედმეტად მაღალია, დაბალია?
- უკუკავშირი არ შეესაბამება ინტენსივობას ან სიხშირეს?
- დაჯილდოება ძალიან მცირეა?
- საჭიროებს შინაარსის მეტ სწავლებას?
- მასწავლებელი არ იცნობს მოსწავლის საჭიროებების შესაბამის სწავლების სტრატეგიებს?
- საკლასო ოთახში ზედამხედველობის დონე არაადეკვატურია?
- საკლასო ოთახში სწავლების სტილი ბავშვის სუსტ მხარეს შეესაბამება?
- სხვა \_\_\_\_\_

**რა სოციალური/კულტურული/ემოციური ცვლადები შეიძლება ახდენდნენ გავლენას მოსწავლის ქცევაზე?**

- მშობლების მიერ დანესებული დისციპლინა არაადეკვატურია, ზედმეტად მკაცრია?



- კონფლიქტი/აგრესია მშობლებს შორის?
- კონფლიქტი/აგრესია უბანში?
- სკოლასა და სახლში განსხვავებული ღირებულებები/მოლოდინები?
- მშობლის აკადემიური უნარები იმდენად დაბალია, რომ ვერ ეხმარება შვილს?
- მშობელს არ შეუძლია ან არ უნდა დააჯილდოს სკოლასთან დაკავშირებული აკადემიური/ქცევითი სტრატეგიები?
- თანატოლები ახდენენ გავლენას შეუსაბამო ქცევაზე?
- თანატოლები არ უზრუნველყოფენ ადეკვატურ მოდელს?
- თანატოლები დასცინიან/აღიზიანებენ მოსწავლეს?
- თანატოლების ჯგუფის მოლოდინები/ღირებულებები ახდენენ გავლენას მოსწავლეზე?
- მოსწავლის რწმენები/თვისებები ახდენენ გავლენას ქცევაზე/სწავლაზე?
- მოსწავლის სოციალური ჩვევები არაადეკვატურია?
- მოსწავლეს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს იმპულსების თვით კონტროლის?
- ქართული მეორე ენაა?
- სხვა \_\_\_\_\_

*როგორია მოსწავლის კომუნიკაციური მახასიათებლები?*

- ცდილობს თანატოლების ყურადღების მოპოვებას?
- ცდილობს სკოლის თანამშრომლების ყურადღების მოპოვებას?
- ცდილობს მოიპოვოს რაიმე აქტივობის შესაძლებლობა?
- ცდილობს რაიმე ობიექტის მოპოვებას?
- აპროტესტებს?
- ითხოვს შესვენებას?
- ითხოვს დახმარებას?
- აღნიშნავს, რომ ცუდად გრძნობს თავს?
- მიაინიშნებს გუნება-განწყობაზე?
- სხვა \_\_\_\_\_

*რა არის პრობლემური ქცევის მოტივი, მიზანი (მოტივაციური ცვლადები)?*

- კონტროლის/ძალაუფლების საკითხები?

- შურისძიება?
- ყურადღების ძიება?
- სიტუაციისთვის თავის არიდება?
- საჭიროებს სენსორულ უკუკავშირს?
- საჭიროებს მატერიალურ ობიექტს?
- სხვა \_\_\_\_\_

### ნაბიჯი 3

ჰიპოთეზების დაკავშირება ინტერვენციებთან

*განიხილეთ აკადემიური/ქცევითი პრობლემები სასწავლო გეგმაში დახმარების საჭიროების თვალსაზრისით*

- სწავლაში დამხმარე თანატოლი;
- ყოველდღიური/კვირეული ორგანიზაციული შეხვედრები;
- მოცულობის შემცირება შესატყვის ზომამდე;
- საშინაო დავალება, როგორც პრაქტიკა;
- სახლში ნიგნების დამატებითი ნაკრები;
- სტრუქტურირებული და პირდაპირი ინსტრუქციები;
- საკლასო რუტინები;
- რთული დავალებები დილით;
- ინდივიდუალური ან მცირე ჯგუფური სწავლება;
- თავის არიდება არასტრუქტურირებული სიტუაციებისთვის;
- საკონტროლო სიების, რუქების, ან სხვა გრაფიკული ორგანიზაციების გამოყენება;
- მოსწავლესთან ერთად მიზნების დასახვა;
- მოსწავლის მიერ დავალების შესრულების ხელშეწყობა მიმანიშნებლების, დამატებითი მასალის საშუალებით;
- აქტიური დანერგვა მეხსიერების სტრატეგიების;
- ჩანიშვნების ქსერო-ასლები;
- საშინაო დავალების სისტემატური მიწოდება, შეგროვება და შემოწმება;
- დავალების დაყოფა ნაწილებად;
- სხვა \_\_\_\_\_

*განიხილეთ აკადემიური/ქცევითი პრობლემები სწავლაში დახმარების საჭიროების თვალსაზრისით შინაარსის მიწოდება*



- მოსწავლის/მშობლის ჩართულობა;
- ტექნოლოგია;
- სიგნალები;
- ტაიმერები;
- ნაწილობრივი დავალებები (დანყვილებული ხშირ უკუკავშირთან);
- მერხის, დღიურის და ა.შ. მონესრიგება;
- საკლასო მასალების ორგანიზება;
- გრაფიკული ორგანიზაციები;
- სწავლის სტრატეგიები (მაგ., რა ვიცი, რა მინდა ვიცი და რა ვისწავლავ მდგომარეობის გამოყენება);
- მსჯელობა, დანყვილება, გაზიარება, გასწორება;
- მულტი-მოდულური გამოცდილება;
- ჯგუფური პასუხი;
- თვალებით ხშირი კონტაქტი;
- მოსწავლის სახელის გამოყენება მარტივ კითხვებზე პასუხის გასაცემად და დავალებზე ყურადღების გასამახვილებლად;
- ინსტრუქციების გამარტივება და მოსწავლის პერიფრაზირება;
- სახლი/სკოლის კომუნიკაცია;
- რუტინა საშინაო სწავლებისთვის;
- მასალის გაგების ხშირი გადამოწმება;
- საკმარისი დრო პასუხის გასაცემად;
- მომენტის შესაბამისი სოციალური ჩვევების სწავლება;
- მოსმენის ჩვევებისა და ინსტრუქციების მიყოლის ჩვევების სწავლება;
- თანატოლების დახმარება;
- სხვა \_\_\_\_\_

**განიხილეთ აკადემიური/ქცევითი პრობლემები ქცევითი დახმარების საჭიროების თვალსაზრისით**

- წინმსწრები მოვლენების ადაპტაცია;
- ხელშეკრულების დადება;
- პოზიტიური როლური მოდელების უზრუნველყოფა;
- სოციალური უნარების ტრენინგი;
- თანატოლების მიერ შუამდგომლობა;
- თამაშის ან მეგობრების შექმნის სწავლება;



- ჯგუფური მუშაობისა და შესაბამისი ჩვევების სწავლება კლასგარეშე დამატებითი აქტივობების საშუალებით;
- ხშირი უკუკავშირი;
- ენთუზიაზმით სავსე უკუკავშირი;
- მოსწავლისთვის მოსალოდნელი, სასურველი ქცევის აღწერა;
- დაწყების დებულებების გამოყენება და შეჩერების დებულებებისთვის თავის არიდება;
- თვალბით კონტაქტის გამოყენება;
- არჩევანის შესაძლებლობის მიცემა;
- შედეგების განხილვა;
- პოზიტიური განმტკიცების გაზრდა;
- წესები ამბობენ . . . წესების შემუშავება;
- მართვადი პრაქტიკა;
- სიახლოვე;
- თვით-მონიტორინგი;
- წესები;
- განსაზღვრული საზღვრები;
- დაგეგმილი შესვენებები;
- სხვა \_\_\_\_\_

*განიხილეთ აკადემიური/ქცევითი პრობლემები ეკოლოგიური დახმარების საჭიროების თვალსაზრისით: გარემოს ადაპტაცია*

- დროის ორგანიზება: გაკვეთილების ცხრილი;
- მიმანიშნებლები რუტინისა და პროცედურებისთვის:
  - საჭირო ოთახში წასასვლელად;
  - წყლის დასალევად;
  - კითხვის დასასმელად;
  - ფანქრის გასათლელად;
  - მასალის მისაღებად;
  - ნაგვის გადასაყრელად;
  - საშინაო დავალების ჩასანიშნად;
  - ჭამა, დაღევა;
  - კლასში შესასვლელი ქცევა;
  - ადგილებზე დაჯდომა;
  - რა უნდა გააკეთო, თუ გაკვეთილზე დააგვიანე;



- ჯარიმა დაგვიანებული სამუშაოსთვის;
- შეფასების სისტემა;
- ტესტების შესრულების პროცედურა;
- დახმარების თხოვნა;
- დღის ბოლოს კლასის დატოვების რუტინა.
- საკლასო ოთახის გამოკრული წესები;
- საკლასო ოთახის მონესრიგება: მერხები, სამუშაო ადგილის მისაწვდომობა;
- მასალის მონესრიგება – ორგანიზება;
- წინასწარმეტყველებადი რუტინები;
- ადაპტირებული ცხრილები;
- შემოკლებული სამუშაო დღე;
- სივრცის ორგანიზება;
- ფიზიკური მისაწვდომობა;
- გარემოში ვიზუალური და სმენითი სტიმულაციის მართვა;
- სხვა \_\_\_\_\_

**განიხილეთ აკადემიური/ქცევითი პრობლემები ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების თვალსაზრისით**

- გაგზავნა ფსიქოლოგიური კონსულტაციისათვის;
- მშობელთა ჯგუფები;
- ბიბლიოთერაპია/სოციალური ისტორიები;
- სოციალური უნარების ტრენინგი;
- შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ცოდნა და მიმღებლობა;
- ინდივიდუური ან ჯგუფური თერაპია;
- დაძლევა: სიბრაზის მართვა, სტრესის მართვა;
- კომპეტენტურობის სფეროების იდენტიფიკაცია;
- კომპეტენტურობისა და პასუხისმგებლობის გამოვლენის შესაძლებლობები;
- ჩამანაცვლებელი ქცევა მოტივაციური ცვლადებისათვის;
- კონსულტაცია მშობელთა გაშორებასთან, სიკვდილთან მიმართებაში;
- სხვა \_\_\_\_\_

*განიხილეთ აკადემიური/ქცევითი პრობლემები ფარმაკოლოგიური ჩარევის საჭიროების თვალსაზრისით*

- განიხილეთ, როგორც მულტიდისციპლინური მიდგომის ერთ-ერთი ელემენტი;
- განიხილეთ დახმარების საჭიროება წამლების მიღების ცხრილის შესრულების მისაღწევად;
- სხვა \_\_\_\_\_

*მონაცემები აჩვენებენ, რომ დახმარება არა ეფექტურია და საჭიროა დამატებითი ინფორმაცია*

- განიხილეთ ალტერნატიული ჰიპოთეზები ქცევითი/აკადემიური პრობლემების შესახებ;
- გადაამოწმეთ აკადემიური/ქცევითი პრობლემების შეფასება;
- განსაზღვრეთ, თუ რა არის გამოტოვებული ძველ შეფასებაში;
- გადაამოწმეთ დახმარების გეგმა;
- სხვა \_\_\_\_\_

### **სამუშაო ფურცელი 1.1.**

აკადემიური და ქცევითი მხარდაჭერის საწყისი დაგეგმვა: 30-წუთიანი თანამშრომლობა

**აკადემიური და ქცევითი მხარდაჭერის საწყისი დაგეგმვა:**

#### **30-წუთიანი თანამშრომლობა**

მოსწავლე: \_\_\_\_\_ თარიღი: \_\_\_\_\_

მონაწილეები: \_\_\_\_\_

დააყენეთ ტაიმერი 10 წუთზე.

**I ნაბიჯი:** ანმყო მდგომარეობის აღწერა.

პრობლემურ სფეროში მოსწავლის ფუნქციონირების ქცევითი აღწერა. დასვით კითხვა „რას აკეთებს მოსწავლე?“ და „რას არ აკეთებს მოსწავლე?“



შეაფასეთ პრობლემური ქცევა:

1	დიახ	არა	საშიშია ქცევა მოსწავლის ან სხვათა სიცოცხლისთვის?
2	დიახ	არა	საშიშია ქცევა მოსწავლის ან სხვათა ფიზიკური კეთილდღეობისთვის?
3	დიახ	არა	ხელს უშლის ქცევა მოსწავლის საგანმანათლებლო პროგრესს?
4	დიახ	არა	ხელს უშლის ქცევა სხვათა საგანმანათლებლო პროგრესს?
5	დიახ	არა	ინვეს ქცევა მასალების დაზიანებას ან განადგურებას?
6	დიახ	არა	ინტერვენციის გარეშე ქცევა უფრო პრობლემური გახდება?
7	დიახ	არა	ხელს უშლის ქცევა თანატოლების ან მოზრდილების მხრიდან მიმღებლობას?

ძლიერი მხარე ქცევაში:

შეისწავლეთ რამდენად ხშირია, რამდენ ხანს გრძელდება და რა ინტენსივობისაა ქცევა. მაგალითად, იკითხეთ, „რამდენად ხშირად არტყამს მოსწავლე?“, „რამდენ ხანს გრძელდება ეს?“, „რამდენად ხელისშემშლელია მოსწავლის ქცევა?“

- ა) სიხშირე (რამდენად ხშირად?)
- ბ) ხანგრძლივობა (რამდენ ხანს?)
- გ) ინტენსივობა (რა ინტენსივობით?)
- დ) ეს ქცევა უნიკალურია თუ ტიპიურია მოცემული მოსწავლისათვის?

მდებარეობა:

მოიპოვეთ გარემოს აღწერა. იკითხეთ, „სად მოიქცა ასე მოსწავლე?“ „კიდევ სად მოიქცა ასე?“ „სად არ იქცევა მოსწავლე ასე?“

დრო:

დღის მანძილზე როდის ვლინდება პრობლემური ქცევა? როდის არ იქცევა მოსწავლე მიუღებლად?

**განსაზღვრეთ წინმსწრები მოვლენები/პირობები:**

უნდა განისაზღვროს ის მოვლენები, რომლებიც უშუალოდ წინ უსწრებს სამიზნე ქცევას. უნდა დაისვას კითხვა, „რა ხდება ზუსტად პრობლემური ქცევის წინ?“ „რა ჩანს ამ ქცევისთვის ბიძგის მიმცემად?“

**განსაზღვრეთ უშუალო (სინქრონული) პირობები:**

უნდა განისაზღვროს სიტუაციური ან გარემო მოვლენები, რომელიც შესაძლოა ხელს უწყობს პრობლემურ ქცევას. უნდა დაისვას კითხვა, „კიდევ რა ხდება მაშინ, როდესაც პრობლემური ქცევა ვლინდება?“

**განსაზღვრეთ თანმდევი პირობები:**

უნდა განისაზღვროს, თუ რა მოვლენებს აქვთ ადგილი უშუალოდ პრობლემური ქცევის შემდეგ. უნდა დაისვას კითხვა, „რა ხდება პრობლემური ქცევის გამოვლენის შემდეგ?“ „რა აჩერებს პრობლემურ ქცევას?“

**სავარაუდო მიზნის განმსაზღვრელი კითხვა:**

უნდა განისაზღვროს, თუ საერთოდ მისაღებია, ქცევის რა დონე ან ხარისხია მისაღები. მაგალითად, უნდა დაისვას კითხვა, „რამდენად ხშირად შეუძლია მოსწავლეს თავისი მერხის დატოვება პრობლემის გამოწვევის გარეშე?“ პრობლემური ქცევა მისაღებია სხვა რაიმე პირობებში?

**სწავლებისადმი ან სხვა არსებული პროცედურებისადმი მიდგომა:**

